ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

31 იანვრიდან!
„ახალი თაობა“ +
სერია „დიდი ქართველები“
აკაკი
წერეთელი
ფასი გაზეთთან ერთად 3 ლარი




ხუთშაბათი, 31 იანვარი, 2013 №25 (6026) ფასი: 30 თეთრი

# დავით ბაქრაძე: „პრეზიდენტი „ქართულ ოცნებასთან“ დებატებისთვის მზადაა“



გვ.5

## დიმიტრი ლორთქიფანიძე: „პარლამენტმა სააკაშვილს არ უნდა მოუსმინოს!“

რატომ ეშინია ყოფილ დეპუტატს ნაციონალების ნამოქმედარის გამომზეურების

გვ.3





გვ.5

## ვანო მერაბიშვილი: „არ დააბრუნოთ კანონიერი ქურდების ბატონობის ხანა!“



გვ.6

## შედგება თუ არა წულუკიანის და კუბლაშვილის დებატები



## ნანა კაკაბაძე: „ხალხს ნაციონალების ნამდვილი სახე უნდა ვაჩვენოთ“

გვ.2





## გია ბარამიძე: „მიამიტი ვიყავი, საქართველოს ნატო-ში შესვლას მხარს რომ ვუჭერდი“

გვ.5

## დავით კეზერაშვილი მილიონობით ქრთამის აღებისთვის ბრალდებულად ცნეს

გვ.3



## სასამართლომ ლალი მოროშკინა 2500 ლარით დააჯარიმა

მცხეთის რაიონულმა სასამართლომ, მოსამართლესთან კომუნიკაციის წესის დარღვევის ფაქტთან დაკავშირებით, საქმის მასალები განიხილა, რომლის თანახმადაც, მასალებიდან და მხარეთა ახსნა-განმარტებებიდან გამომდინარე, სასამართლომ, საჯარო მოსამსახურე ლალი მაროშკინას მიერ, მოსამართლესთან 2013 წლის 24 იანვარს, 23.31 საათზე განხორციელებული სატელეფონო საუბარი მოსამართლესთან კომუნიკაციის წესის დარღვევად ცნო და, შესაბამისად, საჯარო მოსამსახურე ლალი მოროშკინა 2500 ლარით დააჯარიმა. სოზარ სუბარის მრჩეველისა და მოსამართლის საუბარი, კონკრეტული პირების მიმართ, ამნისტიის აქტის დაჩქარებით განხორციელების მითითებას შეეხებოდა.

საქმის განხილვისას, სასამართლომ ჯარიმის თანხის განსაზღვრის პროცესში, ლალი მაროშკინას მიერ, ჩადენილი ქმედების აღიარება გაითვალისწინა.

**ნიუსპრესი**

23 იანვრიდან!
„ახალი თაობა“
+
მარია კიური
8 ლარი




9 771987 938006

**7** რატომ დაიჭირეს ვაგან ჩახალიანი

**2** სამარშრუტო ტაქსების გაფიცულ მძღოლებს უმუშევრად დარჩენა ემუქრებათ

**4** გია ცაგარეიშვილი: მერაბიშვილი ბოცვრების ფერმაში კვირაში ერთხელ მიდიოდა და კურდღლების გამრავლებას აკვირდებოდა“

**7** ჯანდაცვის მინისტრმა არ იცის, რატომ იღუპებიან საქართველოში ბავშვები

ლურჯი წითელი ყვითელი შავი

# ნანა კაკაბაძე: „ხალხს ნაციონალების ნამდვილი სახე უნდა ვაჩვენოთ“

ნონა ცაბაძე

## ინტერვიუ უფლებადამცველ ნანა კაკაბაძესთან

*— ქალბატონო ნანა, საუბარია, რომ არსებობს ახალი სია და პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტი კიდევ განიხილავს პოლიტპატიმრების და პოლიტდევნილების საქმეებს. დაახლოებით 80 ადამიანი ითხოვს ამ სტატუსის მინიჭებას და ამ სიაში იგორ გიორგაძეც შედისო...*

— არსებობს ახალი განაცხადები, პოლიტპატიმრების და პოლიტდევნილობის სტატუსი უნდათ ადამიანებს, რომლებიც თვლიან, რომ ამ 9-წლიანი პერიოდის განმავლობაში, ისინი იყვნენ პოლიტიკურად დევნილები და პოლიტიკური პატიმრები. ასეთი განაცხადები შევიდა პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტში და როგორც მე ვიცი, 70-ზე მეტია უკვე ასეთი განაცხადი. ეს რომ აუცილებლად განსახილველია, ფაქტია. იმიტომ, რომ ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტმა გამოაცხადა ვადები, რა ვადებშიც ადამიანებს უნდა ჰქონოდათ საშუალება, რომ თუ ისინი თვლიდნენ, რომ იყვნენ პოლიტპატიმრები და პოლიტდევნილები, გარდა იმ ადამიანებისა, რომლებიც არასამთავრობო ორგანიზაციების სიებში იყვნენ წლების განმავლობაში, როგორც პოლიტპატიმრები, გარდა ამ ადამიანებისა, ისინიც, ვინც ამ ხნის მანძილზე ვერ საუბრობდა თავის პოლიტიკურ დევნაზე იმის გამო, რომ მათ კიდევ უარესი დევნა და შევიწროება ემუქრებოდათ. ნაწილმა ადამიანებისა გარისკეს და წავიდნენ მძიმე მოპყრობაზე და ეს განაცხადეს, ხოლო ნაწილმა ვერ გაბედა და ეს ვერ განაცხადა. ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტმა მიზანშეწონილად ჩათვალა, რომ იმ დანარჩენ ადამიანებსაც, რომლებიც ამაზე წლების განმავლობაში ვერ საუბრობდნენ და თავს არიდებდნენ, დღეს უნდა მისცემოდათ მათ ამისი დაფიქსირების საშუალება. ამიტომ ეს განაცხადები შესულია ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტში და სავარაუდოდ მას შემდეგ, როდესაც ქალბატონი ეკა დაბრუნდება და ჩვენი კომისია შეიკრიბება, ჩვენ დავიწყებთ ამ სიებზე მუშაობას.

*— განაცხადის შემოტანა არ ნიშნავს იმას, რომ ყველა მათგანს მიენიჭება პოლიტპატიმრის და პოლიტდევნილის სტატუსი, ხომ, ქალბატონო ნანა?*

— რასაკვირველია. შეიძლება ნებისმიერი ადამიანი თვლიდეს, რომ ის არის პოლიტიკურად დევნილი, ან თუნდაც იყენებდეს დღეს ამ სიტუაციას და ფიქრობდეს, რა ვიცი, რაში გამომადგება და თუ ასე რიგდება, მოდით და მეც შევიტან. ყველაფერი შეიძლება. ეს ნამდვილად არ ნიშნავს იმას, რომ ამას აუცილებლად მიიღებს. თუმცა, უკვე პატიმრებმა ციხეებში კარგად იციან, რომ ეს არ არის სწორი და ასე არ იქნება. 23 ათასი პატიმარი იყო ციხეებში და მხოლოდ და მხოლოდ 200 ადამიანს ჰქონდა მომართული ჩვენთვის, დანარჩენებს არ მოუმართავთ. იმიტომ, რომ კარგად იცოდნენ, ყველაზე დიდი კომისია და გაცხრილვა თვითონ ციხეა. პატიმარი როდესაც ამბობს, რომ პოლიტპატიმარი ვარ, მასთან ერთად ათასები სხედან და, ბუნებრივია, ასეთ განაცხადს ვერ გააკეთებს პატიმარი, რომელიც რეალურად არ იყო პოლიტპატიმარი. მე ვთვლი, რომ ერთი კომისია და ყველაზე სერიოზული კომისია, რომელსაც გადის ეს სიები, თვითონ ციხეებია. იმიტომ, რომ იქ ყველამ კარგად იცის, ვინ ვინ არის და ისეთი ადამიანები, ვისაც არა აქვს ასეთი ისტორია, ისინი ციხიდანვე ვერ გაბედავენ და ვერ გარისკავენ იმას, რომ თვითმარქვიად თქვან, რომ ისინი იყვნენ პოლიტიკურად დევნილები.

*— რაც შეეხება იგორ გიორგაძეს, რამდენად თვლით პირადად თქვენ, რომ ეს ადამიანი პოლიტდევნილია?*

— წინასწარ პოზიციის დაფიქსირება ნამდვილად არ არის კეთილსინდისიერი საქციელი და მე თავს შევიკავებ ამასთან დაკავშირებით, იმიტომ, რომ კომისიას ჯერ არ უმსჯელია და ნებისმიერი კომისიის წევრისგან წინასწარ ამ პოზიციის დაფიქსირება არ იქნება სწორი. ეს უკვე ჩვენი შიდა სამზარეულოა, ამას განხილვა უნდა მოყვეს, ამას მსჯელობა უნდა მოყვეს, ჯერ მხოლოდ შიგნით უნდა გადაწყდეს ეს საკითხები და მერე უნდა გახდეს ის საჯარო და საზოგადოებისთვის ცნობილი, ამიტომ მე თავს შევიკავებ ამ კითხვაზე პასუხის გაცემისაგან. მე ვამბობ იმას, რომ ნებისმიერმა პირმა, ვინც არ უნდა მომართოს ჩვენს კომისიას, ნებისმიერი პირის საქმე უნდა იქნეს განხილული, შესწავლილი და მასზე კვალიფიციური და სწორი დასკვნის დადება უნდა მოხდეს. ასე რომ, მის საქმეს აუცილებლად შევისწავლით.



*— რომ არ დავკონკრეტდეთ და ზოგადად რომ ვთქვათ, თქვენთვის ხომ არის ეს სია ცნობილი, თუ არიან მასში ისეთები, ვინც ნამდვილად არ იმსახურებს ამ სტატუსს?*

— როგორ არა, რა თქმა უნდა, არიან ადამიანები, რომლებიც არ იმსახურებენ. იცით რა არის, ერთია, რომ ხელისუფლება პოლიტიკურად დევნიდა ადამიანებს და ეს დამტკიცებულია და ჩვენ კი არა, საერთაშორისო ორგანიზაციებს აქვთ ეს აღიარებული და დასავლეთში უამრავ ადამიანს მინიჭებული აქვს პოლიტიკური დევნილის სტატუსი, ეს არახალი თემაა და ვიცით, რომ ეს ხელისუფლება პოლიტიკური ტერორით გამოირჩეოდა და ეს ხდებოდა. ეს ქვეყნის შიგნითაც არის აღიარებული და ქვეყნის გარეთაც. იყო ასეთი ხელისუფლება, რომელიც ადამიანებს ჯაშუშობასაც აბრალებდა, ქვეყნის ღალატსაც აბრალებდა და ხალხს ასეთი მძიმე ბრალდებებით ციხეებში უშვებდა, თუმცა ეს იმას კი არ ნიშნავს, რომ მართლაც აღარ არსებობენ ქვეყანაში ჯაშუშები და აგენტები. ასეთი ადამიანები არსებობენ კიდეც და ისინი ხელისუფლების მაღალ ეშელონებშიც მუშაობდნენ, მაგრამ სამწუხარო რეალობა ისეთი იყო, რომ ამ ადამიანებს ხელისუფლება კი არ იჭერდა და ციხეებში კი არ სვამდა და ქვეყნიდან კი არ დევნიდა, პირიქით, თავისი ინტერესებისთვის იყენებდა, რათა დაელაგებინა სიტუაცია თავისი ძალაუფლების შესანარჩუნებლად. იყენებდნენ ქვეყნის ინტერესების საწინააღმდეგოდ, მაგრამ პირადი ძალაუფლების შესანარჩუნებლად. მე მაქვს ინფორმაცია, რომ ძველი ხელისუფლება ადამიანებს, იგივე რუსეთში, იყენებდა იმისთვის, რომ იქ ფული ეზიდა და თავისი ქვეყნის საწინააღმდეგოდ, იქ თავისი ინტერესები გაემყარებინა. ჩვენ ამ რეალობას აღვნიშნავთ, რომ ქვეყანაში, რა თქმა უნდა, ჯაშუშებიც იყვნენ, სხვა ქვეყნის აგენტებიც იყვნენ, უბრალოდ ხელისუფლება მათ დევნას კი არა, მათ გამოყენებას აწარმოებდა ძალაუფლების შესანარჩუნებლად და ქვეყნის ინტერესების საწინააღმდეგოდ. აი, ეს რეალობაა. ამიტომ ჩვენ არ გამოვრიცხავთ, რომ ქვეყანაში ჯაშუშები იყვნენ. ხოლო ვინ იყვნენ ეს ადამიანები, რაში იყენებდა მათ ხელისუფლება, ეს არის ძალიან საინტერესო და ამ მიმართულებით უნდა იმუშაოს ახალმა ხელისუფლებამ თუ ის მართლაც არის მოწოდებული იმისათვის, რომ გაშიშვლდეს ეს რეჟიმი და გამოვიდეს სააშკარაოზე, ვინ იყო ეს ხალხი.

*— თქვენთვის თუ არის მათ შესახებ ცნობილი?*

— თქვენ რა, არ იცით? მე რომ არ დავასახელო ახლა, რომლებიც პირდაპირ რუსულ საქმეს აკეთებდნენ საქართველოში?! თუნდაც გაყიდვებით და თუნდაც ეკონომიური აღორძინების ლოზუნგებით ქვეყანას ყიდდნენ და რომ მოიხედო, შეიძლება ერთი გოჯი მიწა არ აღმოჩნდეს საქართველოში ქართველი კაცის, ისეთი პოლიტიკა გაატარეს. ეს ჯაშუშობაა, აბა, რა არის. სხვა ქვეყნის ინტერესების გატარებაა, აბა, რა არის?! დღესაც ეკრანზე ჰყავთ ეს ადამიანები და დღემდე დითირამბებს უმღერიან. უნივერსიტეტებსა და მსგავს დაწესებულებებში ლექციებს აკითხებენ და ექსპერტებად გამოჰყავთ ეს ხალხი, ციხეებში კი არ უშვებენ. ისეთ ადამიანებს კი, როგორიც ენვერიში იყო და როგორიც მაისაია იყო, ასეთ ადამიანებს ჯაშუშობის ბრალდებით ციხეებში ალპობდნენ. ამათ კი, ვინც ქვეყანა გაყიდეს, ამათ უნივერსიტეტებს უხსნიან და სხვადასხვა ხარისხით აჯილდოვებენ. სწორედ ეს არის პრობლემა და მე ახალი ხელისუფლებისგან სწორედ ამას მოველი, რომ მათ უნდა გააშიშვლონ ეს პოლიტიკა და ეს უნდა აჩვენონ საზოგადოებას, რას აკეთებდნენ ეს ადამიანები ამ ქვეყანაში და რა პოლიტიკას ატარებდნენ. სწორედ ეს უნდა თქვან. ჩვენ იმასაც ვერ მივაღწიეთ, რომ ჩვენი პოლიტპატიმრების სიაში არსებულ ვითომდა ჯაშუშებს გრიფით საიდუმლო აეხსნას და დაინახოს საზოგადოებამ, რეალურად რა ხდებოდა. ერთი მხრივ, ეს უნდა მოხდეს და მეორე მხრივ ის, რომ გვაჩვენონ თანამდებობის პირები, რომლებიც პირდაპირი ჯაშუშები იყვნენ უცხო ქვეყნის.

*— ქალბატონო ნანა, რატომ იწელება ეს პროცესი? საუბარია, რომ თითქოს ხელ-ფეხ შეკრულია ძალოვანი უწყებებიო და ასეა?*

— მათ უნდა დაუსვათ ეს კითხვები, თუ რატომ იწელება. მე სანამ პატიმრები გამოვიდოდნენ ციხიდან, მანამდე ვთხოულობდი, რომ გრიფით საიდუმლო მოხსნოდათ და დღემდე ვთხოულობ. ეს პატიმრებიც გამოვიდნენ თუ არა, პირველივე თხოვნა ეს დააყენეს. რატომ არ ხდება ეს? არჩილ კბილაშვილმა მითხრა, კარგით, გვჯერა, რომ ეს პატიმრები მართლები არიან, მაგრამ შეიძლება ჯაშუშური სქემები იდოს, ხელისუფლება როგორ შიფრავს ჯაშუშებსო და მე ვამბობ, მერე ვინ გეუბნებათ, რომ ასეთ საიდუმლოებს ახსენით გრიფი, თუ თქვენ ასეთი სქემები გიდევთ. ჩვენი ადვოკატები იყვნენ ამ საქმეებში ჩართულნი და ჩვენმა ორგანიზაციამ ძალიან კარგად იცის, რა მტკიცებულებები დევს იქ. იმიტომ ვიძახით ასე მყარად, რომ გავხსნათ ეს საქმეები, რადგან იქ მსგავსი არაფერია. კი ბატონო, თუ ეჭვი გეპარებათ და ჩვენი არ გჯერათ, გრიფი თქვენთვისაც ხომ არ ადევს, ჯერ თვითონ ჩაიხედონ ამ საქმეებში, თვითონ ნახონ და მას შემდეგ, რაც დარწმუნდებიან, რომ იქ ჯაშუშური სქემები კი არა, საერთოდ ჯაშუშური ბრალდებებიც არ არსებობს, ამის მერე ახსნან გრიფით საიდუმლო. საზოგადოებას აჩვენონ, რატომ არ აჩვენებენ, რა ხდება ამ საქმეებში. ჩემთვის აბსოლუტურად გაუგებარი სიტუაციაა, ან უნდა თქვან, რომ ჩვენ ვტყუოდით და ეს ხალხი ჯაშუშები არიან, ან უნდა თქვან, რომ ის ხელისუფლება, აი, ამ პოლიტიკას ატარებდა. ან ერთი უნდა ითქვას, ან მეორე. როდესაც ეს ხალხი პოლიტპატიმრებად შერაცხეს, ჩვენ გვეგონა, რომ პროცესი დაიწყო სიმართლის თქმის, მაგრამ აქ გაჩერდნენ.

*— უბრალოდ შერაცხეს და მორჩა?*

— შერაცხეს და მორჩა, მაგრამ ამას ხომ ჩვენი მტრები იყენებენ ჩვენს საწინააღმდეგოდ? რომ, აი, ხედავთ, მარტო პოლიტპატიმრების სტატუსია და აქ არ ჩანს, არის თუ არა ესა თუ ის პირი უდანაშაულო. როგორ მოვახერხოთ, რა ვქნათ, თქვენი საშუალებით, მედიის დახმარებით, რომ ეს ყველაფერი გავხადოთ საჯარო და ამას მივცეთ დღის შუქი და გამოვიტანოთ სააშკარაოზე. ეს არის ერთადერთი რეაბილიტაცია. ჩვენი პატიმრები დღესდღეობით არც ფულად კომპენსაციას ითხოვენ. მათი ერთადერთი მოთხოვნაა, რომ საზოგადოებამ იცოდეს, ვინ ვინ არის. მეტს არაფერს თხოულობს ეს ხალხი და რატომ არ შეიძლება ამის გაკეთება?! თუკი სადმე ინტერვიუ მიმიცია, რაიმე მითქვამ, ყველგან ერთადერთს ვთხოულობთ, რომ ავხსნათ გრიფით საიდუმლო, გავხადოთ საჯარო ეს საქმეები და ვანახოთ ხალხს, რა ხდებოდა, მაგრამ ეს არ ხდება.

*— რატომ არ ხდება?*

— ეს იმიტომ არ ხდება, რომ ის ადამიანები, რომლებმაც ეს საქმეები შეთითხნეს, ამ უწყებებში მხოლოდ რიგით თანამშრომლებად კი არ არიან, იგივე თანამდებობებზე არიან და ზოგიერთები გაცილებით მაღალ თანამდებობაზეც არიან, ვიდრე თავის დროზე იყვნენ. გრიფით საიდუმლო რომ მოეხსნება, ეს ადამიანები ხომ უნდა წავიდნენ ციხეებში? იმიტომ, რომ ეს ადამიანები ტყუილად ისხდნენ ციხეებში. ვინც ტყუილად ჩასვა ეს ხალხი ციხეში, ამაზე პასუხი ხომ უნდა აგონ. აი, ეს არის ერთადერთი მიზეზი, რისთვისაც დღეს გრიფით საიდუმლო ამ საქმეებს არ ეხსნება. მანამ, სანამ ეს ადამიანები არიან ამ თანამდებობებზე, ეს პროცესი იქნება ასე გაყინული. სანამ არ დატოვებენ ამ უწყებებს და არ დარჩებიან უმუშევრები, რომ ხელმისაწვდომობა აღარ ჰქონდეთ. ღარიბაშვილი და კბილაშვილი ამ მაფიის წინაშე, რომლებიც ამ ქვეყანას წლების განმავლობაში მართავდნენ, ძალიან გულუბრყვილოებად გამოიყურებიან. ისინი აჯერებენ ახალ ძალოვან მინისტრებს იმაში, რომ ამ საქმეებს გრიფით საიდუმლო არ უნდა მოეხსნას. მათ, არ ვიცი, დრო არ ყოფნით ამისათვის, რომ უშუალოდ ჩაიხედონ ამ საქმეებში და როგორც ჩანს, იჯერებენ მათ ნათქვამებს, რომ თითქოსდა რაღაცა მართლაც იყო. აი, ესენი უნდა ჩამოშორდნენ და როგორც კი ამ კრიმინალების ჩამოშორება მოხდება თანამდებობიდან და მათ აღარ ექნებათ ზეგავლენის მოხდენის შესაძლებლობა აი ამ უწყებებზე, მერე მოეხსნება გრიფით საიდუმლო და გახდება კიდევაც საჯარო. ჩვენ ძალიან სუსტები ვართ იმისათვის, რომ ეს ადამიანები ჩამოვაშოროთ ამ თანამდებობებს და ამიტომაც არის, რომ გრიფით საიდუმლო არ ეხსნება.

## გამოკითხულთა უმრავლესობა საპარლამენტო მმართველობას ემხრობა

საინფორმაციო სააგენტო „ნიუსპრესის“ მიერ, მიმდინარე წლის 23 იანვრიდან 30 იანვრამდე საანალიზო პერიოდში ჩატარებული გამოკითხვის შედეგების თანახმად, გამოკითხვაში მონაწილეთა უმრავლესობა საპარლამენტო მმართველობის ფორმას ემხრობა.

კითხვაზე – „რომელი ტიპის მმართველობის ფორმას ემხრობით საქართველოში,“ გამოკითხულთა 47,8 პროცენტმა უპასუხა, რომ ის საპარლამენტო მმართველობის ფორმის მომხრეა, 34,8 პროცენტი კი უპირატესობას საპრეზიდენტო მმართველობის მოდელს ანიჭებს.

რაც შეეხება გამოკითხვაში მონაწილეთა 13,1 პროცენტს, ისინი მხარს მონარქიას უჭერენ.

4,3 პროცენტს კი, დასმულ კითხვაზე პასუხი არ აქვს.

ნიუსპრესი

## სამარშრუტო ტაქსების გაფიცულ მძღოლებს უმუშევრად დარჩენა ემუქრებათ

სამარშრუტო ტაქსების გაფიცულ მძღოლებს სამსახურიდან გათავისუფლება ემუქრებათ. მათ შპს. „თბილისის მიკროავტობუსი“ სამდღიან ვადას აძლევს, წინააღმდეგ შემთხვევაში კომპანია, ახალი მძღოლების შესარჩევად კონკურს გამოაცხადებს.

„თბილისის მიკროავტობუსის“ დირექტორმა, მძღოლების გაფიცვასთან დაკავშირებით გუშინ სპეციალური განცხადება გააკეთა.

გიგლა ჯაბაშვილის თქმით, გაფიცულებთან მოლაპარაკებები ინტენსიურად მიმდინარეობს და მათი რამდენიმე მოთხოვნის გათვალისწინება უკვე მოხდა. მისივე თქმით შეუძლებელია მძღოლების მიერ მოთხოვნილ დღიურ გადასახადთან დაკავშირებით წამოყენებული მოთხოვნის დაკმაყოფილება, რადგან ის კომპანიას მნიშვნელოვან ფინანსურ კრიზისს შეუქმნის.

თბილისში, ყვითელი სამარშრუტო ტაქსების მძღოლები, უკვე 6 დღეა გაფიცულები არიან.

ნიუსპრესი

## ალასანია დიდი ბრიტანეთის სახელმწიფო მინისტრს შეხვდა

საქართველოს თავდაცვის მინისტრი ირაკლი ალასანია დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებულ სამეფოში ოფიციალურ ვიზიტს განაგრძობს.

სამინისტროს პრესსამსახურის ინფორმაციით, ვიზიტის ფარგლებში, საქართველოს დელეგაცია, ევროპისა და ნატოს საკითხებში სახელმწიფო მინისტრმა დევიდ ლიდინგტონმა მიიღო.

შეხვედრაზე მხარეებმა ქვეყნებს შორის ორმხრივი თანამშრომლობის საკითხები განიხილეს. საუბარი შეეხო ასევე, საქართველოს ევრო-ატლანტიკურ სტრუქტურებში გაწევრიანებას და ამ კუთხით, გაერთიანებული სამეფოს მხრიდან საქართველოს მხარდაჭერას.

„საგარეო სამინისტროს მხრიდან საქართველოს ახალმა მთავრობამ სრული მხარდაჭერა მივიღეთ ტერიტორიული მთლიანობის მხარდაჭერის კუთხით და ნატოში ჩვენი ქვეყნის გაწევრიანების პერსპექტივასთან დაკავშირებით. ვისაუბრეთ, კონკრეტულად, ორმხრივ ურთიერთობაზე, როგორც თავდაცვის სფეროში, ასევე ზოგადად საგარეო საქმეთა სამინისტროებს შორის“ – განაცხადა ირაკლი ალასანიამ.

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს დელეგაციის ოფიციალური ვიზიტი გაერთიანებულ სამეფოში დღეს სრულდება.

ნიუსპრესი

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

## დავით კეზერაშვილი მილიონობით ქრთამის აღებისთვის ბრალდებულად ცნეს



თავდაცვის ყოფილი მინისტრი დავით კეზერაშვილი ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურმა ბრალდებულად ცნო. უწყების ინფორმაციით, საქმე ეხება ფინანსურ პოლიციაში კეზერაშვილის მუშაობისა და შემდგომ პერიოდს.

საგამოძიებო სამსახურის ცნობით, დავით კეზერაშვილმა ნოკოლოზ დავითაშვილსა და იოსებ იმნაძეს უკანონო საქმიანობაში მფარველობა გაუწია. კერძოდ, დავითაშვილი და იმნაძე ფალსიფიცირებულ საკონიაკე სპირტს აწარმოებდნენ. მათ დაარეგიტრირეს შპს-ები „განთიადი“ და „ნაფარეული“.

დავით კეზერაშვილმა, იმის ნაცვლად, რომ მსგავსი საქმიანობისთვის ხელი შეეშალა, ფალსიფიკატორებისაგან ქრთამის აღება დაიწყო. ფინანსური პოლიციიდან სხვა უწყებაში გადასვლისა და სახელმწიფო სამსახურის თავის დანებების შემდეგ, დავით კეზერაშვილმა 12 მილიონი ლარი მიიღო. სახელმწიფომ კი 49 მილიონით იზარალა.

**ინფო 9**

## ირაკლი ღარიბაშვილი ფილიპ გორდონს შეხვდა

ამერიკის შეერთებულ შტატებში ოფიციალური ვიზიტით მყოფმა შინაგან საქმეთა მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა, აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტში, სახელმწიფო მდივნის თანაშემწე ფილიპ გორდონთან გამართა შეხვედრა.

სამინისტროს პრესსამსახურის ინფორმაციით, შეხვედრაზე ირაკლი ღარიბაშვილმა და ფილიპ გორდონმა საქართველოში მიმდინარე პოლიტიკური პროცესები, შინაგან საქმეთა სამინისტროში განხორციელებული ცვლილებები და დაგეგმილი რეფორმები განიხილეს.



მინისტრი ასევე ეწვია ნარკოტიკების წინაალმდეგ ბრძოლის სააგენტოს. სააგენტოს დირექტორთან შეხვედრის დროს ურთიერთთანამშრომლობის საკითხები განიხილეს. გადაწყდა და დაიგეგმა, რომ წელს შსს-ს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის ნარკოტიკებთან ბრძოლის მთავარი სამმართველოს თანამშრომლებისთვის 3 სხვადასხვა სახის ტრენინგი ჩატარდება.

ვიზიტის ფარგლებში, ასევე დაგეგმილია შეხვედრა გამოძიების ფედერალური ბიუროს დირექტორთან.

შინაგან საქმეთა მინისტრის სამუშაო ვიზიტი ამერიკის შეერთებულ შტატებში 1 თებერვალს დასრულდება.

**ნიუსპრესი**

## ესტონეთი და საქართველო საიდუმლო ინფორმაციებს გაცვლიან

ესტონეთში ოფიციალური ვიზიტით მყოფი საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი მაია ფანჯიკიძე, გუშინ თავის ესტონელ კოლეგას, ურმას პაეტს შეხვდა.

სამინისტროს პრესსამსახურის ინფორმაციით, შეხვედრაზე მხარეებმა ორმხრივი ურთიერთობების სპექტი განიხილეს. საუბარი შეეხო საქართველოს ევროპულ და ევროატლანტიკურ მისწრაფებებს, ასოცირების შესახებ შეთანხმების გაფორმების, სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციისა და თავისუფალი ვაჭობის შესახებ შეთანხმებებთან დაკავშირებულ საკითხებს. საგარეო საქმეთა მინისტრებმა საქართველოში არსებულ ვითარებაზეც ისაუბრეს. შეხვედრისას, ურმას პაეტმა და მაია ფანჯიკიძემ ხელი მოაწერეს შეთანხმებას ესტონეთსა და საქართველოს შორის საიდუმლო ინფორმაციის გაცვლის თაობაზე.

„ვფიქრობ, ევროკავშირი და საქართველო, მიმდინარე წელსვე გადადგამენ მნიშვნელოვან ნაბიჯს თავის ურთიერთობებში და ბოლო წლებში საქართველოს მიერ გაწეული მუშაობის შედეგად, წელსვე იქნება შესაძლებელი ასოცირების, სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის და თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმებების ხელმოწერა“ – განაცხადა ესტონეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა.

მაია ფანჯიკიძე ოფიციალური ვიზიტის ფარგლებში, ესტონეთის პრეზიდენტს და პრემიერ-მინისტრსაც შეხვდება.

**ნიუსპრესი**

# დიმიტრი ლორთქიფანიძე: „პარლამენტმა სააკაშვილს არ უნდა მოუსმინოს!“

## რატომ ეშინია ყოფილ დეპუტატს ნაციონალების ნამოქმედარის გამომზეურების

გულიკო ბალაძე

### ინტერვიუ პარლამენტის ყოფილ წევრ დიმიტრი ლორთქიფანიძესთან

***– ბატონო დიმიტრი, გახმოვანდა, რომ პარლამენტის საგაზაფხულო სესიაზე სააკაშვილი ანგარიშს ჩააბარებს პარლამენტს. როგორ ფიქრობთ, სააკაშვილმა რის შესახებ უნდა ჩააბაროს ანგარიში ახალ პარლამენტს? იმაზე ხომ არა, როგორ დაამონტაჟა მოსასმენი აპარატები ციხეებში, როგორ აწამებდა ხალხს, როგორ იყვნენ დაკავებული სიბინძურეების გადაღებით?***

– პრეზიდენტის ვალდებულებაა პარლამენტს წარუდგინოს წლიური ანგარიში. პრეზიდენტის მიერ ანგარიშის წარდგენის შემდეგ, იმართება პოლიტიკური დებატები, რომელიც რეგლამენტირებულია საქართველოს პარლამენტის რეგლამენტით და იგი შეიძლება წარიმართოს წინასწარი გეგმით, როდესაც დებატებში ჩაერთვებიან ვიცე-სპიკერები, ფრაქციის თავმჯდომარეები, უმრავლესობისა და უმცირესობის ლიდერები. ამ ფორმატთან დაკავშირებით ბიუროზე თანხმდებიან. ახალი უმრავლესობის წარმომადგენლები ელიან პრეზიდენტს, მაგრამ შიშობენ, რომ სააკაშვილი არ გაჩერდება მას შემდეგ, რაც ის მოხსენებას წაიკითხავს. სწორედ ამ ფორმატის შეთანხმება იქნება ძალიან მნიშვნელოვანი, რომ სააკაშვილთან კითხვა-პასუხის რეჟიმით იმუშაონ ძირითადი დებატების დაწყებამდე, სააკაშვილი პარლამენტის სხდომაზე დარჩეს და თვალი გაუსწოროს იმ რეალობას, რომელიც 9 წლის განმავლობაში წარმოიშვა ქვეყანაში იმ გაუმართლებელი და ამაზრზენი ფაქტების ერთობლიობით, რომელსაც, როგორც ჩანს, საზღვარი არ უჩანს. ყოველდღიურად დაზაფრულები ველით ახალ-ახალი შემზარავი ფაქტების არსებობის შესახებ ცნობას. ამის დასტურია მთავარი პროკურორის არჩილ კბილაშვილის ბოლოდროინდელი ბრიფინგი, როდესაც მან შემზარავი ინფორმაცია მოგვაწოდა და, გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე, უბრალოდ, ზოგადად ისაუბრა იმ მეთოდებზე, რომელსაც იყენებდა სააკაშვილის რეჟიმი. საინტერესოა, თუნდაც ამ მეთოდებთან დაკავშირებით სააკაშვილს რა რეაგირება ექნება. პირადად მე, ასეთ დებატებში მონაწილეობის გარკვეული გამოცდილება დამიგროვდა.

***– პარლამენტის წევრი რომ იყოთ, სააკაშვილს თქვენ რა კითხვას დაუსვამდით?***

– არ მახსოვს, ბოლო ოთხი წლის განმავლობაში რაიმე მნიშვნელოვანი საკითხი, რომელიც საზოგადოებაში კულტივირდებოდა და არ დამეყენებინა პრეზიდენტთან დებატების მსჯელობის საგნად. სამწუხაროა, რომ პასუხი არაფერზე არ მიგვიღია. საანგარიშო თვალსაზრისით, 2012 წელი არის ძალიან მნიშვნელოვანი. ამიტომ მნიშვნელოვანი იქნებოდა ბიზნესის შევიწროვების, უკანონო ექსპროპრიაციების, უკანონო თავისუფლების აღკვეთების, პოლიტიკური დევნის და ამ კონტექსტში 2012 წელს განვითარებული მოვლენების განხილვა პოლიტიკური დებატების ჭრილში.

***– ახლანდელი პარლამენტის უმრავლესობისთვის, რბილად რომ ვთქვათ, უხერხული არ იქნება, მოუსმინონ ადამიანს, რომელსაც კონსტიტუციით განსაზღვრული პრეზიდენტობის 5-წლიანი ვადა უკვე ამოეწურა, იურიდიულად პრეზიდენტს აღარ წარმოადგენს და მას მოუსმინონ, როგორც ლეგიტიმურ პრეზიდენტს?***

– ამ საკითხში აბსოლუტურად გეთანხმებით. ალბათ, ეს უნდა იყოს ერთ-ერთი ძირითადი მსჯელობის საგანი, მაგრამ უნდა გავითვალისწინოთ, რომ დღევანდელმა ხელისუფლებამ, პარლამენტმა აირჩია სხვა გზა და არა პრეზიდენტის უფლებამოსილების შეჩერება საკონსტიტუციო ინიციატივით. პარლამენტს თავისუფლად შეეძლო სიითი შემადგენლობის ერთი მეხუთედით წარედგინა საკონსტიტუციო სარჩელი საკონსტიტუციო სასამართლოში.

***– მე მგონი, ეს პარლამენტის ვალდებულებაც იყო, მაგრამ რატომღაც თავს იკავებენ.***

– სამი თვეა, რაც ახალი პარლამენტის უფლებამოსილება ხორციელდება. ამ სამი თვის მანძილზე თავისუფლად შეიძლებოდა მსგავსი საკონსტიტუციო სარჩელის წარდგენა. ეს არის მათი ერთგვარი ვალდებულებაც კი, ვინაიდან აქ საუბარია 2006 წლის 27 დეკემბერს განხორციელებული ცვლილების შედეგის ლიკვიდაციაზე, ურომლისოდაც სამართლიანობის აღდგენა, საპრეზიდენტო ვადის გადაწყვეტასთან დაკავშირებით, ვერ მოხერხდება. 2006 წლის ჩანაწერის შესაბამისად, 2010 წელს განხორციელებულ რეფორმებშიც იგივე ჩანაწერი დარჩა სააკაშვილის სასარგებლოდ, ანუ მას საპრეზიდენტო ვადა გაუგრძელეს 10 თვით.

***– თუმცა, იქ არსად არ წერია, რომ სწორედ სააკაშვილს უგრძელდება ვადა.***

– საქმეც ესაა. საზოგადოება კატეგორიულად მოითხოვს, სააკაშვილმა 5-წლიანი ვადის ამოწურვის შემდეგ, შეწყვიტოს ძალაუფლების უზურპაცია. სწორედ ასე შეიძლება შეფასდეს სააკაშვილის დღევანდელი მოქმედება, რაზეც დღევანდელი საპარლამენტო უმრავლესობა ყურადღებას არ ამახვილებს. ერთგვარი კოჰაბიტაციის პროცესში, დღეს პრეზიდენტთან გარიგება ხდება, რომ მას არ შეუზღუდავენ უფლებამოსილებას ოქტომბრამდე, სამაგიეროდ, შეიტანენ ცვლილებებს კონსტიტუციაში და პრეზიდენტს აღარ ექნება შესაძლებლობა, პირდაპირი წესით დაითხოვოს მთავრობა. სააკაშვილი 2008 წელს კონსტიტუციაში შეტანილი ცვლილებით რჩება პოსტზე. 2004-2010 წლებში საქართველოს კონსტიტუციაში განხორციელდა 23 ცვლილება. მსოფლიოში ვერ ნახავთ ქვეყანას, რომლის კონსტიტუციაში მსგავსი ტემპით მიმდინარეობდეს ცვლილებები კონკრეტული პოლიტიკური პარტიის ინტერესებიდან გამომდინარე. ვფიქრობ, ყოველივე ამ უკანონობის აღმოფხვრის შესაძლებლობა ახალმა უმრავლესობამ ხელიდან გაუშვა და სხვა გზა არ აირჩია.

***– თუ გავაანალიზებთ ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობის 20-წლიან პერიოდს, სამწუხაროდ, აღმოვაჩენთ, რომ მსგავსი ფაქტი, როდესაც სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი პოსტები (როგორიცაა, სახელმწიფოს მეთაურის, პრეზიდენტის თანამდებობა) სრულიად უკანონოდ უჭირავთ ადამიანებს, რომლებიც არ არიან არჩეული და კონკრეტულ პერიოდში არავითარი ლეგიტიმაცია არ აქვთ. 1992 წელს, ასეთად შევარდნაძე მოგვევლინა, 2003 წელსაც იყო წყვეტა, როდესაც ვარდების რევოლუცია მოხდა და, ახლაც სააკაშვილს ვადა გაუვიდა, მაგრამ მაინც რჩება ამ მაღალ პოსტზე. ამით ადამიანებს უკანონობას ხომ არ აჩვევენ?***

– თქვენ რა საკითხსაც შეეხეთ, ეს არის ჩვენი ისტორიული მეხსიერების აღდგენის თემა. ურომლისოდაც მშვიდობა ვერ დამყარდება. მშვიდობა და სამართლიანობა ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანი ცნებებია. ერთი მეორის გარეშე ვერ არსებებს. 2004 წლის თებერვალში სააკაშვილმა შეიქმნა სახელმწიფო კომისია, რომელსაც უნდა გადაეხედა 1991-93 წლების მოვლენებისთვის და დაედო მნიშვნელოვანი დასკვნა, რომელსაც ელოდა მთელი საზოგადოება. პრეზიდენტ გამსახურდიას მხარდამჭერების ნდობა სააკაშვილმა თავის დროზე ამ დაპირების საჯაროდ დადებით მოიპოვა, მაგრამ კომისიას არ უმუშავია. კომისიაში შედიოდნენ მერაბიშვილი, ადეიშვილი, ოქრუაშვილი, გიორგი ანდრიაძე და სხვა პირები. მათ შორის, ქალბატონი მანანა არჩვაძე-გამსახურდიაც. ნაციონალურ მოძრაობას პოლიტიკური ნება არ ეყო, რომ კომისიას მუშაობა გაეგრძელებინა და, ერთხელ და სამუდამოდ, მნიშვნელოვანი დოკუმენტი დაედო იმის თაობაზე, თუ რა მოხდა 1991-93 წლებში. გია თორთლაძის „პატრიოტის აქტიც“ (რომელიც ნაციონალურ მოძრაობასთან ურთიერთშეთანხმებით შეიქმნა) არ მოიცავს ამ პერიოდს. მისი მოქმედების პერიოდია 1921 წლიდან 1991 წლის 9 აპრილამდე, როდესაც საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა გამოცხადდა. ძირითადი მოვლენები (პუტჩს ვგულისხმობ) განვითარდა 1991 წლის 9 აპრილის შემდეგ. გადატრიალების შემოქმედთა აბსოლუტური უმრავლესობა სპეცსამსახურის წარმომადგენელი იყო. მათ ლუსტრირებაზე, მათთან დაკავშირებულ საკანონმდებლო რეგულაციაზე „პატრიოტის აქტს“ არაფერი უთქვამს. სამწუხაროდ, პოლიტიკურ წრეებშიც ამაზე არავის გაუმახვილებია ყურადღება. საჭიროა ახალი ხელისუფლების პირობებში მაინც გამახვილდეს ამაზე ყურადღება, როდესაც სამართლიანი სამართლებრივი გარემოა დაანონსებული, როგორც ახალი ხელისუფლების მთავარი ამოცანა. ხომ საჭიროა არსებული პოლიტიკა გადაიხედოს და შევარდნაძის რეჟიმი გასამართლდეს სააკაშვილის რეჟიმთან ერთად? მხოლოდ 2004-2012 წლების ფაქტების გადახედვა კი არ უნდა მოხდეს, არამედ საჭიროა ბოლო 20 წლის განმავლობაში ჩადენილი უკანონობების მთელი რეესტრის შექმნა, რადგან ჩვენ გვყავს პოლიტიკური დევნილები არა მხოლოდ 2003 წლის ვარდების რევოლუციის შემდგომი პერიოდის, არამედ მანამდელი პერიოდისაც, რომლებიც თავშეფარებულები არიან ევროპის კონტინენტს, აშშ-ს. ისინი პირადად მოვინახულე ნიუ იორკში.



***– 90-იანი წლების დანაშაულობების გამოძიების მოთხოვნით პროკურატურაზე ვინმეს მიმართვაა საჭირო? ისეთ სახელმწიფო დანაშაულობებს ხომ ხანდაზმულობის ვადა არ აქვს.***

– პროკურატურას კი არ უნდა მიმართოს ვინმემ, საქართველოს პარლამენტის რეგლამენტით გაწერილია მნიშვნელოვანი სახელმწიფო და საზოგადოებრივი ინტერესიდან გამომდინარე, საპარლამენტო დროებითი და საგამოძიებო კომისიის შექმნა. საგამოძიებო კომისიის შექმნა ვინმეს ახირება კი არ უნდა იყოს, ან კონკრეტული დანაშაულის გამოძიების მიზნით უნდა იქმნებოდეს, არამედ ისეთი ეპოქალური მნიშვნელობის საკითხებს უნდა ეხებოდეს, როგორიც არის სახელმწიფო გადატრიალება, კანონიერი ხელისუფლების ძალადობით ჩამოშორება და ძალაუფლების მიტაცება, რომელიც საქართველოს კონსტიტუციის ფუძემდებლურ პრინციპებს ეხება. ვინაიდან ხელისუფლების წყაროა ხალხი, ამ ხნის განმავლობაში ხალხს არჩევანს სტაცებდნენ. ამიტომ ჩვენ აუცილებლად უნდა ვქმნიდეთ ასეთ საგამოძიებო კომისიას. თუ ვინმეს ჰგონია, რომ თაობები შეიცვლება და ყველაფერი დავიწყებას მიეცემა, ცდება. ისევე, როგორც აფხაზეთში განვითარებულ მოვლენებს აუცილებლად უნდა მიეცეს შეფასება და დეტალურად უნდა იქნა გამოძიებული ამ კონფლიქტის გაჩაღების მიზეზები და მასთან დაკავშირებულ ყველა თანამდებობის პირი თუ ორგანიზაცია უნდა იქნას მხილებული. მხოლოდ და მხოლოდ ასე შეიძლება სამართლიანობის აღდგენა.

***– ბატონო დიმიტრი, თქვენ განაცხადეთ, ალბათ, დღევანდელი უმრავლესობა სააკაშვილთან კოჰაბიტაციის პროცესშიაო. კოჰაბიტაცია ვადის გასვლის შემდეგ, არჩევით პოსტზე პირის კიდევ 9 თვით დატოვებას ხომ არ გულისხმობს?***

– ეს არის ის ფაქტი, რომელიც გვიჩვენებს, რომ ქვეყანაში არჩევითი დემოკრატია არ არსებობს და, რეალურად, ნებისმიერ დროს, ნებისმიერ კომპრომისზე წასვლა შესაძლებელია, როდესაც პოლიტიკური მიზნები და ამოცანები ამას კარნახობს ამა თუ იმ ძალას და საზოგადოებას არაფერს აღარ ეკითხება. დარწმუნებული ვარ, დღეს რომ სოციოლოგიური კვლევა ჩავატაროთ, გამოკითხული მოსახლეობის 85-90% იტყვის, რომ სააკაშვილს აღარ აქვს არავითარი უფლებამოსილება, გააგრძელოს პრეზიდენტის პოსტზე ყოფნა. იგი ახდენს ძალაუფლების უზურპაციას, თვითნებობს და ეს თანამდებობა უკანონოდ აქვს მითვისებული, მაგრამ ახალი უმრავლესობა ნაციონალურ მოძრაობასთან თანაარსებობის რეჟიმში ყოფნას არჩევს.

***– სააკაშვილი წავიდეს პოსტიდან, იყოს ნაცმოძრაობაში, ილაპარაკოს, რაც უნდა და იყოს უმრავლესობასთან კოპაბიტაციაში.***

– როდესაც ვსაუბრობთ კოჰაბიტაციაზე, არ დაგავიწყდეთ, რომ ნაციონალური მოძრაობის ლიდერი არის პრეზიდენტად წოდებული სააკაშვილი, რომელიც ოპოზიციაში უდგას საკუთარ ხალხს. ამიტომ კოჰაბიტაცია ვერ შედგება ცნობილი მიზეზებიდან გამომდინარე. მოცემულ მომენტში სააკაშვილი ყველაფერს აკეთებს, დასავლეთს დაანახოს, რომ დღევანდელი სახელისუფლებო ძალები არა თუ კოჰაბიტაციის პროცესში იმყოფებიან, არამედ პირიქით, ყველანაირად ავიწრივებენ იმ სახელისუფლებო ძალებს, რომლებიც სასამართლოსა და თვითმმართველობას წარმოადგენენ.

# რა შეიცვალა განათლების სისტემაში

როლანდ ხოჯანაშვილი

„ახალი თაობის“ იმერეთის ბიურო



განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო ერთ-ერთი ყველაზე აქტიური სამინისტრო ჩანს საერთოდ იმ ფონზე, როცა ქვეყანაში ჯერ კიდევ არ ჩანს დიდი ძვრები ზოგიერთი სამინისტროს მხრიდან. ყველაზე მეტად განათლების სფეროში პოზიტივად დაისახა 14 მიმართულებაზე უფასო სწავლა სტუდენტებისათვის. მართალია, კახა ბენდუქიძემ ,,ბანძობად“ მონათლა უფასო სწავლა, მაგრამ თუ გავიხსენებთ იმას, რომ ათასობით სტუდენტი სასწავლებლების მიღმა დარჩნენ და მატერიალური სიდუხჭირის გამო ვერ აგრძელებენ სწავლას, თუნდაც პროლეტარული აზროვნების ნიმუშად იქნას მონათლული აღნიშნული ქმედება, მაინც ხალხი ძალიან მადლობელი რჩება იმის, რომ სტუდენტთა ნაწილს ეძლევა უფასოდ განათლების მიღების საშუალება. ბუნებრივია, რომ ბუნებაში უფასო არაფერია, მაგრამ სახელმწიფოს მხრიდან 14 მიმართულების დაფინანსება იმას ნიშნავს, რომ ძვირადღირებული უნივერსიტეტები დაკარგავენ საკმაოდ ბევრ სტუდენტსა და შემოსავალს. ვარაუდობენ, რომ აღნიშნული ქმედება არა მარტო სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას ემსახურება, არამედ სახელმწიფო სასწავლებლების იმიჯის ამაღლებასაც (ივანიშვილის კეთილგანწყობა ი. ჯავახიშვილის უნივერსიტეტისადმი იმითაც დასტურდება, რომ ხადურის ერთ-ერთ ძირითად ღირსებად ჯავახიშვილის უნივერსიტეტლობა დაასახელა). უმაღლესი განათლების რეფორმირება, სავარაუდოდ, უწყვეტ რეჟიმში გაგრძელდება, რადგან უმაღლესი განათლება ერთ-ერთ პრიორიტეტულ დარგად იქნა აღიარებული სახელმწიფოს მიერ. რადგან შეზღუდვა იხსნება ფაკულტეტთა არჩევაზეც რაოდენობრივი თვალსაზრისით, სავარაუდოდ, ძალიან მცირე რაოდენობის აბიტურიენტი დარჩება სასწავლებლებს მიღმა.

ზოგადი საშუალო განათლება, თავისთავად ცხადია, ხალხის ფართო მასებზე გათვლილი საკითხია. მასწავლებლები, მშობლები და მოსწავლეები ყველა იმ ნაბიჯს დიდი ყურადღებით უყურებენ, რომელსაც ხელისუფლება დგამს ამ საკითხის მოსაგვარებლად. პედაგოგებმა გასული წლის ბოლოს სახელმწიფოს მხრიდან მიზერული ფინანსური დახმარებაც კეთილ ჟესტად ჩათვალეს, მით უფრო, რომ 2013 წლის ბოლოდან ე.წ. მეცამეტე ხელფასსაც დაიმსახურებენ სოციალური შეღავათის სახით. ამას დაემატა იანვრის თვიდან 70 ლარის მატება სრული განაკვეთის შემთხვევაში ყოველ პედაგოგზე. ხელფასი 56 ლარით იზრდება რეალურად იმ პედაგოგებისთვის, რომლებსაც კვირეული 18 საათი აქვთ დატვირთვა. გარდა ატესტაციით მიღებული დანამატებისა, ეს ყველაზე სერიოზული ნაბიჯია მასწავლებელთა დაფინანსების ისტორიაში ბოლო ათწლეულების განმავლობაში.

უკვე გადაწყვეტილია, რომ საშუალო განათლების ატესტატების გაცემის საკითხი ბევრად უფრო მარტივდება. სკოლის დასრულებამდე მეთერთმეტე და მეთორმეტე კლასებში 4+4 პრინციპით შეეძლება მოსწავლეს იბრძოლოს ატესტატის მოსაპოვებლად. წლევანდელ მე-12 კლასელებს შეეძლებათ, რომ 8 გამოცდა ჩააბარონ საგაზაფხულო და საზაფხულო სესიების პერიოდში. ის საგნები, რომელთა სწავლებაც წყდება მე-11 კლასში, შესაძლებელი გახდება ამავე კლასში ყოფნის დროს ჩააბარონ მოსწავლეებმა, რაც, თავისთავად, დამამთავრებელ წელს უადვილებს საშრომს ატესტანტებს. თუ რომელიმე მოსწავლე მე-11 კლასში (ხოლო მიმდინარე სასწავლო წელში საგაზაფხულო სესიებზე) ვერ ჩააბარა რომელიმე გამოცდა, მომდევნო წელში უკვე განმეორებით შეძლებს გამოცდაზე გასვლას.

,,ამასთან, მე-11 კლასის მოსწავლე ამა თუ იმ საგანში წარუმატებლობის მიუხედავად, შეუფერხებლად გააგრძელებს სწავლას მომდევნო კლასში და შესაბამისი საგნის გამოცდას დამატებით ჩააბარებს სასწავლო წლის ბოლოს. ამასთან, 2012-2013 სასწავლო წლის დასასრულს, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებები უშუალოდ უზრუნველყოფენ მე-12 კლასელთა გამოსაშვები გამოცდების ჩატარებას და დამამთავრებელი კლასის მოსწავლეებს შესაძლებლობა ექნებათ, გამოცდები საკუთარ სკოლებში ჩააბარონ. 2012-2013 სასწავლო წელს მე-11 კლასელები გამონაკლისის სახით გამოცდებს არა მაისში, არამედ მომდევნო სასწავლო წლის ოქტომბერში ჩააბარებენ. შესაბამისად, მათ ოპტიმალური დრო ექნებათ გამოცდებისთვის მოსამზადებლად. გამოცდები გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ ჩ თ-ის მოდელით ჩატარდება‘‘, — განაცხადა გიორგი მარგველაშვილმა.

ქართული ენა-ლიტერტურა, მათემატიკა, უცხო ენა და ისტორია ჩაბარდება მხოლოდ მე-12 კლასის დასრულების შემდეგ, მე-11 კლასელები კი ჩააბარებენ საბუნებისმეტყველო საგნებსა და გეოგრაფიას (რომელიც ნაწილობრივ მიჩნეულია საზოგადოებრივ მეცნიერებად).

„2013 წელს სკოლის გამოსაშვები გამოცდები ორ ეტაპად ჩატარდება. პირველი ეტაპი 2013 წლის 15 თებერვლიდან 1-ელი მარტის ჩათვლით გაიმართება. იმ ოთხ სასწავლო დისციპლინაში, რომლებიც მოსწავლეებს დასრულებული აქვთ. ეს არის გეოგრაფია და საბუნებისმეტყველო დისციპლინები, ხოლო მეორე ეტაპი 2013 წლის 20 მაისიდან 29 მაისის ჩათვლით ჩატარდება‘‘,—აღნიშნა განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა გოგლიჩიძემ მიმდინარე წლის გამოცდებთან დაკავშირებით.

სკოლები, რომლებიც დამატებით მიიღებენ ინსტრუქციებს გამოცდებთან დაკავშირებით, თვლიან, რომ სკოლებშივე გამოცდების ჩატარება საგნის მასწავლებლების უშუალო მონაწილეობით ღირსების მომენტების შემცველია. რახან მასწავლებელს სახელმწიფო ანდობს საგნის სწავლების უფლებას, მაშინ მოსწავლის გამოცდის უფლებაც უნდა ჰქონდეს. ცენტრალიზებული ონლაინგამოცდებს რომ ხარვეზები ჰქონდა (და არამარტო ტექნიკური) ამაზე ამჯერად ვრცლად არ ვსაუბრობთ. საკმარისია, გავიხსენოთ მ. მიმინოშვილის ,,დაგვიანებული‘‘ ახსნა-განმარტება ყალბი ატესტატების გაცემასთან დაკავშირებით.

მოსწავლეებს სკოლა მიაწოდებს სრულ ინფორმაციას გამოცდების ფორმასა და განრიგზე. საგანმანათლებო სისტემის შედარებით პასიური ნაწილი, მშობლები, სასკოლო რეფორმით კმაყოფილია.

# გია ცაგარეიშვილი: მერაბიშვილი ბოცვრების ფერმაში კვირაში ერთხელ მიდიოდა და კურდღლების გამრავლებას აკვირდებოდა“

საპარლამენტო უმრავლესობის წევრის გია ცაგარეიშვილის განცხადებით, სართიჭალაში ბოცვერების ფერმას, ყოფილი შინაგან საქმეთა მინისტრის ვანო მერაბიშვილის ბრძანებით, ენერგეტიკის სამინისტრო აფინანსებდა.

ამის შესახებ ცაგარეიშვილმა გუშინ გაზეთ ,,პრაიმ-ტაიმის‘‘ პრესკლუბში გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა და აღნიშნა, რომ აღნიშნული საქმის მასალები და დოკუმენტაცია, უახლოეს პერიოდში საგამოძიებო ორგანოს გადაეცემა.



მისი თქმით, ვანო მერაბიშვილი და ენერგეტიკის ყოფილი მინისტრი ალექსანდრე ხეთაგური კურდღლების მოშენებითა და გამრავლებით იყვნენ დაკავებული.

,,სართიჭალაში არსებობდა სანერგე მეურნეობა, რომელიც მერაბიშვილის ბრძანებით ბოცვერების ფერმად გადაკეთდა და ის ენერგეტიკის სამინისტროს მიერ ფინანსდებოდა. მესმის, რომ ეს ბიზნესი საკმაოდ საინტერესოა და შესაძლოა, მომგებიანიც, თუმცა არ მესმის, რა კავშირი უნდა ჰქონოდა მასთან შინაგან საქმეთა და ენერგეტიკის მინისტრებს? თქვენ შეგიძლიათ სართიჭალაში აღნიშნულ ფერმას მიაკითხოთ და იქ ნებისმიერი თანამშრომელი დაგიდასტურებთ, რომ ვანო მერაბიშვილი კვირაში ერთხელ მიდიოდა და კურდღლების გამრავლებას აკვირდებოდა‘‘, — განაცხადა ცაგარეიშვილმა.

**მედიანიუსი**

# კონსტიტუციური ცვლილებები ვენეციის კომისიასთან თანამშრომლობით განხორციელდება



საქართველოში ყველა კონსტიტუციური ცვლილება ვენეციის კომისიასთან მჭიდრო თანამშრომლობის გზით განხორციელდება და ვენეციის კომისიის ექსპერტები ამ პროცესში აქტიურად იქნებიან ჩართულები.

ამის შესახებ შეთანხმება გუშინ გამართულ შეხვედრაზე საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილმა და ვენეციის კომისიის თავმჯდომარე ჯანი ბუკიკიომ მიაღწიეს.

იუსტიციის სახლში მიმდინარე შეხვედრა ერთ საათს გაგრძელდა და მას დავით უსუფაშვილთან და ჯანი ბუკიკიოსთან ერთად, ვენეციის კომისიის მდივნის მოადგილე სიმონა გრანატე მენონიც ესწრებოდა.

როგორც შეხვედრის დასრულების შემდეგ პარლამენტის თავმჯდომარემ განაცხადა, საქართველოში დამთავრდება იმის პრაქტიკა, რომ ხელისუფლება საკანონმდებლო დონეზე გადაწყვეტილებებს ვენეციის კომისიის დასკვნის გამოქვეყნებამდე იღებდა.

პარლამენტი „საერთო სასამართლოების შესახებ“ კანონის მეორე მოსმენის მიღებამდე ვენეციის კომისიის ექსპერტების ვიზიტსა და მათ შენიშვნებს დაელოდება.

,,ჩვენ დეტალურად ვისაუბრეთ „საერთო სასამართლოების შესახებ“ კანონპროექტზე. მათ საკმაოდ საფუძვლიანი წარმოდგენა აქვთ კანონპროექტზე და მიიჩნევენ, რომ აბსოლუტური უმრავლესობა კანონპროექტის დებულებებისა საერთაშორისო სტანდარტებს შეესაბამება, თუმცა ბატონი ბუკუკიო არ არის ვენეციის კომისია, ის არის მხოლოდ პრეზიდენტი. ამ კომისიის ექსპერტები ერთ კვირაში ჩამოვლენ, რომლებიც უშუალოდ მუშაობენ ამ კანონპროექტის შესახებ დასკვნის მომზადებაზე, ხოლო საბოლოო დასკვნა 8 მარტს გამოქვეყნდება‘‘, — განაცხადა დავით უსუფაშვილმა და აღნიშნა, რომ, უკვე ინიცირებულ საკონსტიტუციო ცვლილებებზე ვენეციის კომისიის პრეზიდენტს უარყოფითი პოზიცია არ აქვს.

როგორც დავით უსუფაშვილმა აღნიშნა, ახლო მომავალში შეიქმნება სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისია, რომელიც ფუნდამენტურად გადახედავს მოქმედ კონსტიტუციას. ამ პროცესში ჩაერთვებიან როგორც საპარლამენტო, ისე არასაპარლამენტო პოლიტიკური ძალები, საზოგადოებრივი ორგანიზაციები და თავად ვენეციის კომისიის წარმომადგენლები.

**მედიანიუსი**

# საქალაქო სასამართლო თეა წულუკიანს სასამართლო ხელისუფლებაზე ზეწოლის მცდელობაში ადანაშაულებს

**ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის გადაცემა „პოზიციაში,“ იუსტიციის მინისტრის მიერ გაკეთებულ განცხადებებთან დაკავშირებით, თბილისის საქალაქო სასამართლო განმარტებას აკეთებს და მას, სასამართლოზე ზეწოლის მცდელობაში ადანაშაულებს.**

„თეა წულუკიანი სასამართლოს რეფორმირების მისეული გეგმის საფარქვეშ ცდილობს ზეწოლა მოახდინოს სასამართლო ხელისუფლებაზე.

მინისტრი, რომლის ყოველი საჯარო გამოსვლა, ერთის მხრივ, სამართლიანი სასამართლოსა და დამოუკიდებელი მართლმსაჯულების მოთხოვნითაა გამსჭვალული, უკმაყოფილოა პროკურატურის რიგი შუამდგომლობების დაკმაყოფილებაზე სასამართლოს მიერ უარის თქმით. სასამართლოს დაკნინება და მის საქმიანობაში ჩარევა, არა მარტო კანონისა და კონსტიტუციის, არამედ, საერთაშორისო სამართლის ნორმების დარღვევაც გახლავთ.

სასამართლო ხელისუფლება კვლავაც განუხრელად დაიცავს დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის პრინციპს და ვერანაირი მცდელობა მისი დისკრედიტაციისა ვერ მოახდენს გავლენას სასამართლოს საქმიანობაზე“ — აცხადებენ საქალაქო სასამართლოში.

მათივე ინფორმაციით, აღნიშნული განმარტება საზოგადოების მიზანმიმართულად შეცდომაში შეყვანის თავიდან აცილების მიზნითაა განპირობებული.

„თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის საქმეთა კოლეგიაში, საქმეების ოპერატიულად განხილვის მიზნით, 2007 წლიდან მათი განხილვა წარმოებს სამი მიმართულებით: საგამოძიებო, წინასასამართლო და საქმის არსებითად განმხილვა.

საგამოძიებო კოლეგიის მოსამართლეები სისხლის სამართლის საქმის გამოძიების ეტაპზე, განიხილავენ ბრალდებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიების გამოყენების საკითხს, ასევე, ზეპირი მოსმენის გარეშე, იხილავენ შუამდგომლობებს საგამოძიებო მოქმედებების ( ჩხრეკა, ფარული მიყურადება, თვალთვალი და სხვა ..) წარმოებასთან დაკავშირებით.

სატელევიზიო გადაცემაში დასახელებული კონკრეტული მოსამართლეები, რომელთაგან ერთ-ერთი საერთოდ არ გახლავთ საქალაქო სასამართლოს მოსამართლე, განიხილავენ ბრალდების მხარის შუამდგომლობებს სისხლის სამართლის საქმის წარმოების საგამოძიებო ეტაპზე. სწორედ ამით არის განპირობებული ის გარემოება, რომ აღკვეთის ღონისძიების გამოყენებაზე გადაწყვეტილებებს იღებენ ერთი და იგივე მოსამართლეები“ — ნათქვამია სასამართლოს პრესსამსახურის მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

სასამართლო განმარტავს, რომ გირაო არის ნაკლებად მკაცრი აღკვეთის ღონისძიების ერთ-ერთი სახე, რომელიც წარმოადგენს ბრალდებულის სათანადო ქცევის გარანტს — განაჩენის გამოტანამდე და არ ნიშნავს პირის უდანაშაულობასა და სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობისგან გათავისუფლებას.

„სასამართლო გადაწყვეტილებას იღებს შეჯიბრობითობისა და თანასწორობის პრინციპით, მხარეთა დასაბუთებულობისა და საქმის კონკრეტული გარემოებების გათვალისწინებით. შესაბამისად პროკურორის პოზიცია არ წარმოადგენს ვალდებულებას შუამდგომლობის დაკმაყოფილების თაობაზე. საქმეზე პირის დამნაშავედ ან უდანაშაულოდ ცნობა ხდება მხოლოდ სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული განაჩენით, რომელსაც იღებს საქმის არსებითად განმხილველი მოსამართლე“ — აცხადებენ სასამართლოში.

**ნიუსპრესი**

# ახალი ელჩების ვინაობა მალე გახმაურდება

ნათია ხურცილავა

რამდენიმე ახალი ელჩის გვარი უკვე ცნობილი გახდა. მიხეილ უკლება საქართველოს სრულუფლებიანი და ოფიციალური წარმომადგენელი უკრაინაში იქნება. საფრანგეთში ელჩად წარგზავნილი იქნება ეკა სირაძე-დელონე, რომელიც აქამდე არასამთავრობო სექტორს წარმოადგენდა. სირაძე „სამართლიან არჩევნებს“ ხელმძღვანელობდა. ჩინეთში კი საქართველოს დიპლომატიურ სამსახურს დავით აფციაური ჩაიბარებს.

კულუარული ინფორმაციით, არ არის გამორიცხული, ელჩის პორტფელი მიიღოს დიპლომატმა კოტე ჟღენტმა, თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ კოტე ჟღენტი ახალ ხელისუფლებას აქტიურად უჭერს მხარს.

კულუარებში გავრცელებული ინფორმაციით, პრეზიდენტთან გადაგზავნილ გასათავისუფლებელი ელჩების 18-კაციან სიაში არ არის საქართველოს ელჩი დიდ ბრიტანეთში გიორგი ბადრიძე, რომელსაც ერთგვარი სკანდალი უკავშირდება ლონდონში ქართველი ემიგრანტების მიერ გამართულ აქციაზე. საპარლამენტო არჩევნებამდე გამართულ აქციაზე ცოცხებით მისულ პროტესტანტებს დიპლომატმა არადიპლომატიურად მიმართა, რის გამოც მან ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრისგან, როგორც ცნობილია, საყვედური მიიღო. სკანდალი იმით ამოიწურა, რომ ელჩმა ბოდიში მოიხადა.

საგარეო საქმეთა სამინისტრომ პრეზიდენტს ახალი ელჩების სია უკვე გადაუგზავნა. დოკუმენტი მიხეილ სააკაშვილის ხელმოწერის შემდეგ საკანონმდებლო ორგანოს გადაეგზავნება. იმ შემთხვევაში, თუ პროცედურა არ შეფერხდა, პარლამენტი სიას მიღებიდან ერთ კვირაში განიხილავს და დაამტკიცებს.

როგორც ცნობილია, ელჩები 18 ქვეყანაში იცვლებიან, რომელთაგან ნაწილს როტაციის ვადა ეწურება, ნაწილმა კი განცხადება თავად დაწერა.

# ვანო მერაბიშვილი: „არ დააბრუნოთ კანონიერი ქურდების ბატონობის ხანა!“



**სააკაშვილი და მისი ნაცმოძი ხშირად იწონებდნენ თავს იმით, რომ კანონიერი ქურდები დააწიოკეს. არჩევნების წინ გვაფრთხილებდნენ, მეოცნებეებს ხმას თუ მისცემთ, ქურდების „პარადი“ დაიწყებაო. „ამნისტიის შესახებ“ კანონზე მსჯელობა რომ დაიწყეს, ნაცმოძი სულ გადაირია. მერე გაირკვა, რომ არჩევნებამდე პრეზიდენტს 2 კანონიერი ქურდი შეუწყალებია. ამ თემაზე, ბუნებრივია, ხუთოსნები არ საუბრობენ. მით უფრო, რომ ეს საკითხი მეოცნებეებმა გადაფარეს.**

შორენა მარსაგიშვილი

უკრაინული მედიის ცნობით, ამნისტიის შედეგად ციხეებს კანონიერი ქურდებიც ტოვებენ. უკრაინელების განცხადებით, სასჯელაღსრულების №7 დაწესებულებიდან გასულ კვირას ერთდროულად 6 კრიმინალური ავტორიტეტი გამოვიდა. თებერვალში კი ციხეებს 20 კანონიერი ქურდი დატოვებს თურმე.

ჩვენებურ კრიმინალებზე აქვეყნებს სტატიას რუსული გამოცემა „კრიმინალური სამყარო“. გამოცემის ინფორმაციით, კანონიერი ქურდები თავიდანვე გააფრთხილეს, რომ საპყრობილიდან გათავისუფლებისთანავე, საქართველო რამდენიმე დღეში უნდა დატოვონ.

რუსული გამოცემა ხაზს უსვამს იმ ფაქტსაც, რომ ამჟამინდელი პარლამენტის რამდენიმე დეპუტატი კრიმინალური ავტორიტეტების ყოფილი ადვოკატები არიან და შესაძლოა, მათ გათავისუფლებაზე ამანაც მოახდინა გავლენა.

ამ ინფორმაციას ბუნებრივია სასწრაფო წესით გამოეხმაურნენ ნაციონალური მოძრაობის ლიდერებიც. პარტიის გენმდივანმა და ყოფილმა შს მინისტრმა ვანო მერაბიშვილმა საგანგებო ბრიფინგი გამართა. მან ახალ მთავრობას სთხოვა, გადამჭრელი ზომები მიიღოს, რათა საქართველოში კანონიერი ქურდების ბატონობის ხანა არ დაბრუნდეს.

– მინდა, ჩემი აღშფოთება დავაფიქსირო იმ ფაქტთან დაკავშირებით, რომ მთავრობისა და პარლამენტის გადაწყვეტილებით ციხეებიდან უკვე დაიწყეს გამოსვლა კანონიერმა ქურდებმა. იმ ფონზე, როცა ბოლოდროინდელი მოვლენებიდან გამომდინარე მკვეთრად გაუარესდა საქართველოში კრიმინალური სიტუაცია და ამას არ სჭირდება არც სტატისტიკა, რადგან ამას თითოეული ჩვენთანაგი ვგრძნობთ თბილისის, რაიონებისა და ქალაქების ქუჩებში, ამ ფონზე კანონიერი ქურდების გამოშვება კიდევ უფრო დაამძიმებს სიტუაციას საქართველოში. მე ვარ წინააღდეგი, რომ საქართველომ ის მონაპოვარი დაკარგოს, რომელიც წლების განმავლობაში ჰქონდა – საქართველო იყო თავისუფალი კანონიერი ქურდებისაგან, საქართველო იყო უსაფრთხო ქვეყანა, მე არ მინდა, რომ ჩემი ქვეყანა დაბრუნდეს ძველ, ბნელ დროში, როდესაც ჩვენი შვილების და ჩვენს საქმეებს არჩევდნენ კანონიერი ქურდები, იკრიბებოდა „ობშიაკი“, ქურდები ახორციელებდნენ „ვაზრატებს“ და მართავდნენ პრაქტიკულად არამარტო კრიმინალურ სამყაროს, არამედ ჩვენს ქვეყანაში ეკონომიკასაც და ხშირად პოლიტკაშიც ერთვებოდნენ. იმ ფონზე, როდესაც პოლიციიდან ძველი დამსახურებული პოლიციელების მასობრივი გაშვება მიმდინარეობს, ეს ფაქტი ძალიან საგანგაშოა. ამიტომ მე მოვუწოდებ მთავრობას, რომ მიიღოს გადაუჭრელი ზომები რათა საქართველოში არ დაბრუნდეს კანონიერი ქურდების ბატონობა, რომ კანონიერმა ქურდებმა არ განსაზღვრონ ჩვენი, ჩვენი შვილების, ჩვენი ქალაქების, თანამოქალაქეების ყოველდღიური ცხოვრება და არ გაუმწარონ საქართველოს მოქალაქეებს ცხოვრება. კანონიერი ქურდების გამოშვება არის ბოლო წვეთი, რამაც შეიძლება, საქართველოში სიტუაციის მკვეთრი გაუარესება და საქართველოში უსაფრთხოების განცდის დასასრული გამოიწვიოს. ეს რა თქმა უნდა შემოუბრუნდება ჩვენს ეკონომიკას, ჩვენს იმიჯს და რაც ყველაზე მეტად მნიშვნელოვანია, საფრთხეს შეუქმნის ჩვენი და ჩვენი შვილების მომავალს, – განაცხადა მერაბიშვილმა.

არანაკლები ალიაქოთია ატეხილი პოლიტდევნილების თემაზეც. პარლამენტი პოლიტდევნილთა ახალ სიაზე იწყებს მუშაობას. ამ სტატუსზე პრეტენზია იგორ გიორგაძესაც კი გაუჩნდა. და საქმეს ისეთი პირი უჩანს საქართველოში დიდი ზარ-ზეიმით დააბრუნებენ.

საპარლამენტო უმცირესობის წევრი გიორგი ვაშაძის განცხადებით, ვრცელდება ინფორმაცია, რომ პოლიტპატიმართა და პოლიტდევნილთა სიაში მოსახვედრად ძალიან ბევრმა ადამიანმა გარკვეული თანხა გადაიხადა.

– ნაციონალურ მოძრაობას თუ არა, საზოგადოებას მაინც უნდა ჰკითხონ, უნდათ თუ არა, რომ კანონიერი ქურდები ჩვენს გვერდით ცხოვრობდნენ, თუმცა მსგავს გადაწყვეტილებებს ძალიან ფრთხილად უნდა მოვეკიდოთ. ვრცელდება ინფორმაცია, რომ პოლიტპატიმართა და პოლიტდევნილთა სიაში მოსახვედრად ძალიან ბევრმა ადამიანმა გარკვეული თანხა გადაიხადა, – განაცხადა ვაშაძემ პრესკონფერენციაზე.

სხვათაშორის ეს ჭორი გასული წლის მიწურულსვე გავრცელდა. ფულის აღებისა რა მოგახსენოთ, მაგრამ პოლიტდევნილთა სიაში საეჭვო ხალხი რომ მოხვდა ეს ფაქტია. ამბობენ, რომ ახლა უფრო საინტერესო სახეებს შეიყვანენ ამ სიაში.

# გია ბარამიძე: „მიამიტი ვიყავი, საქართველოს დსთ-ში შესვლას მხარს რომ ვუჭერდი“

შორენა მარსაგიშვილი

**2 დღის წინ სოციალურ ქსელებში ნაციონალებმა განგაში ატეხეს, არიქა, საქართველო მეოცნებეებს დსთ-ში შეჰყავთო. შეშფოთებული პატრიოტები თავიანთ ემოციებს წყევლით, გინებითა და მუქარით გამოხატავდნენ. ძალიან მალე კი გაირკვა, რომ ეს ჭორი იყო.**

**ჭორზე გამახსენდა, დსთ-სთან დაკავშირებით ბელორუსის პრეზიდენტმა ალექსანდრე ლუკაშენკომ საინტერესო განცხადება გააკეთა. მისი თქმით, სააკაშვილი აპირებდა, რომ საქართველო დსთ-ში დაებრუნებინა. დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობა საქართველომ აგვისტოს ომის შემდეგ დატოვა. იქ კი აფხაზეთის ომის შემდეგ შეგვათრიეს.**



საქართველოს დსთ-ში შეთრევაში აქტიურად მონაწილეობდნენ ნაცმოძის დღევანდელი სახეები. დღეს ისინი დსთ-ს სწყევლიან და თავს ყველაზე მაგარ პატრიოტებად მიიჩნევენ.

მათ შორის ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული გახლდათ ამჟამინდელი ვიცე-სპიკერი გია ბარამიძე. 1992-1995 წლების მოწვევის პარლამენტის დეპუტატებს კარგად ახსოვთ, რა თავდადებით მიიწევდნენ ბარამიძე და მოქკავშირი დსთ-სკენ.

ამ გადაწყვეტილების მიღებას პარლამენტის სხდომაზე დიდი ხმაური და ცემა-ტყეპაც კი მოჰყვა. მოქკავშირლებმა სხდომაზე ერთ-ერთი დეპუტატი საკაცით მიიყვანეს. გია ბარამიძეს სხდომაზე მისვლა დააგვიანდა. როგორც თვითმხილველები ამბობენ, ის რუსთაველის გამზირზე თავპირისმტვრევით მირბოდა, რათა ხმა მიეცა დსთ-ში საქართველოს შესვლისთვის.

სხდომაზე დაგვიანებით შევარდა და ყვიროდა, ჩემი ხმაც მიათვალეთ დსთ-სო, ოპონენტებს კი უმტკიცებდა, იქ თუ შევალთ, პური და კარაქი მაინც გვექნებაო. მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა. საქართველომ რამდენიმე მთავრობა გამოიცვალა, გია ბარამიძემ – რამდენიმე პარტია. ახლა ის ნაციონალობს და მოგვიწოდებს, რომ დსთ-ში აღარასდროს დავბრუნდეთ.

განსაკუთრებით დამაინტრიგებელი ის არის, რომ ნაცმოძმა ცნობილ მედესეთეს გააჟღერებინა პარტიის ინიციატივა. მისი თქმით, ერთიანი ნაციონალური მოძრაობა საქართველოს საგარეო კურსის უცვლელობის შესახებ კანონპროექტის ინიციატივით გამოდის.

ბარამიძისა და ნაცმოძელთა საუბედუროდ, ერს კარგად ახსოვს მისი წარსული. არც ჟურნალისტებს დავიწყებიათ მისი დსთ-ური ვნებები. მაშინდელი მისწრაფება ბარამიძემ თავისი ახალგაზრდობით ახსნა და ამბობს, რომ მაშინ მიამიტურად მიუდგა ამ საკითხს.

საინტერესოა, რატომ ვერ დაინახა ბარამიძემ იმ პერიოდში რუსეთის ნამდვილი სახე. აფხაზეთის ომი ახალი დამთავრებული იყო და ყველას კარგად ახსოვდა, რა ჩაიდინეს იმ ომში რუსებმა.

– ამ წლებში მეც ვიყავი პარლამენტში ზურაბ ჟვანიას გუნდში. მაშინ იყო რწმენა, რომ ამ ნაბიჯით არა მარტო შეჩერდებოდა საქართველოს რღვევა, არამედ დავიბრუნებდით იმ მომენტისთვის დაკარგულ აფხაზეთს და ცოტა ხნით ადრე დაკარგულ ცხინვალს. რუსეთისგანაც იყო ეს დაპირება და ამიტომ მივეცით ხმა საქართველოს დსთ-ში გაწევრიანებას. ბუნებრივია, ეს იყო მიამიტური ნაბიჯი, რაც 20 წლის გამოცდილების მქონე ქვეყანამ აღარ უნდა გადადგას. საქართველომ უკვე არაერთხელ გაიარა პროცესი, როდესაც ხელისუფლება რუსეთთან საერთო ენის გამონახვას ცდილობდა. 2006 წელს ჩვენც შევეცადეთ მეგობრობის ხელის გაწოდებას რუსეთისთვის, შევარბილეთ რიტორიკა, რომ არ გაგვეღიზიანებინა, თუმცა ამგვარმა პოლიტიკამ არც შევარდნაძის, არც სააკაშვილისა და ნოე ჟორდანიას დროსაც კი არ გაამართლა, – აღნიშნა ბარამიძემ.

რაც შეეხება კანონპროექტს, ბარამიძის თქმით, მისი შემუშავება ბოლო დღეებში გაკეთებული განცხადებების გამო გახდა აუცილებელი.

– ბოლო დღეების განმავლობაში აქტუალური გახდა თემა დსთ-ში გაწევრიანებაზე საქართველოს ხელისუფლებასთან მოლაპარაკებების დაწყების შესახებ, რომელზეც რუსეთის საგარეო უწყების ოფიციალური პირები საუბრობენ. სწორედ ამგვარმა საკითხებმა მათ აჩვენა საგარეო კურსის უცვლელობის შესახებ კანონპროექტის შემუშავების აუცილებლობა, – ამბობს ვიცე-სპიკერი.

ის იმედს გამოთქვამს, რომ საპარლამენტო უმრავლესობა მათ მიერ შემუშავებულ კანონპროექტს მხარს დაუჭერს.

– კანონპროექტი 3 კომპონენტისგან შედგება. პირველი კომპონენტია ნატო-სა და ევროკავშირში საქართველოს გაწევრიანების კურსის უცვლელობა, რათა არც ერთმა მთავრობამ არ გადაუხვიოს ამ გზას და შეიქმნას საკანონმდებლო გარანტიები კურსის უცვლელობის შესახებ, მეორეა საქართველოს დეოკუპაციისა და ოკუპირებული ტერიტორიების არაღიარების პოლიტიკა, რომელიც ასევე სასიცოცხლო მნიშვნელობისაა ჩვენი ქვეყნისთვის და მესამეა, არ გაწევრიანდეს საქართველო დსთ-ში, ევრაზიულ კავშირში, კოლექტიური უსაფრთხოების შესახებ ხელშეკრულების ორგანიზაციაში, საბაჟო კავშირსა და სხვა გაერთიანებებში, სადაც ოკუპანტი ძალა არის წამყვანი და რომლებშიც გაწევრიანება საფრთხეს უქმნის საქართველოს სუვერენიტეტს. ამ კანონპროექტის განხილვა პარლამენტში საგაზაფხულო სესიის გახსნისთანავე დაიწყება, – გვპირდება ბარამიძე.

ნაციონალების ინიციატივას საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერი გია ცაგარეიშვილიც გამოეხმაურა. მისი თქმით, საქართველო საგარეო კურსიდან გადახვევას არ აპირებს, დსთ-ს თემას კი ნაციონალების მიერ აგორებულს უწოდებს.

– მე ამ ინიციატივის შესახებ შევიტყვე დღეს დილით. ზოგადად, ვფიქრობ, რომ წინა წლებში სიტყვა და საქმე შორს იდგა და დგას დღესაც, როდესაც ამგვარი ინიციატივები მოდის ხოლმე „ნაციონალური მოძრაობისგან“. მე ძალიან ბევრი ფაქტი მახსენდება, როდესაც კანონის დარღვევაში თვითონ კანონპროექტის ავტორიც მონაწილეობდა. გავიხსენებ სვანეთში მომხდარ საზარელ შემთხვევას, რომლის ერთ-ერთი მოთავე და ხელმძღვანელი გახლდათ ბატონი ბარამიძე. ბარამიძემ იმჟამინდელ სხვა მაღალჩინოსნებთან ერთად ადამიანის უფლებები დაარღვია, როდესაც მთელი ოჯახი ამოწყვიტა. წლების მანძილზე ბარამიძეებისა და სხვების მიერ ხელაღებით ადამიანის არაერთი უფლება ირღვეოდა. არ არის მთავარი, რა ჩაიწერება კანონში, მთავარია, კარგი კანონი კარგად აღსრულდეს. მთავარია, ქვეყნის კურსი როგორი იქნება. საქართველომ მისი კურსი აირჩია არა „ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლის ჟამს და არა „ნაციონალური მოძრაობის“ ხელისუფლებაში მოსვლის ჟამს, არამედ მაშინ, როდესაც ჩვენ გამოვაცხადეთ ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობა. საქართველომ აირჩია კურსი, რომელიც მიმართულია ევროკავშირსა და ნატოში ინტეგრაციისკენ. „ქართული ოცნება“ გააგრძელებს პირველი ხელისუფლების მიერ არჩეულ კურსს და არ გადაუხვევს ამ გეზს. ბარამიძის ინიციატივას არსებობის უფლება აქვს, – აღნიშნა უმრავლესობის ერთ-ერთმა ლიდერმა.

ისე, მართლა რა უცნაურია ცხოვრება. ერთ დროს დსთ-ის პირველი მებაირაღე ახლა დსთ-ის წინააღმდეგ გამოდის. ძალიანაც კარგია, რომ ამ ინიციატივით გამოდიან ნაციონალები, მაგრამ სხვა ვერავინ ნახეს გამჟღერებელი.

ბარამიძეს გუშინ მარტო დსთ-ზე არ უსაუბრია. ის ქუთაისში პარლამენტის დარჩენის აუცილებლობაზეც საუბრობდა. მეოცნებეები პარლამენტს თბილისში აბრუნებენ, რასაც ნაცმოძი კატეგორიულად ეწინააღმდეგება, თბილისიდან პარლამენტის ქუთაისში გადატანას კი იმით ხსნის, რომ თურმე ქვეყანა თავკომბალას ემსგავსებოდა.

– პარლამენტი ქუთაისში გადავიტანეთ, რათა ქვეყანა ჰარმონიულად და თანაბარზომიერად განვითარდეს და შეიქმნას ერთნაირი პერსპექტივა როგორც ქუთაისის, ისე დასავლეთ საქართველოს მოსახლეობისთვის. სწორედ ის იყო ძირითადი მოტივი, რომ ქვეყანაში არ იყოს მხოლოდ ერთი ქალაქი, სადაც თავმოყრილია ეკონომიკური პოტენციალის 70% და მოსახლეობის 1/3. ეს ტენდენცია დღესაც იზრდება, რაც არასწორია. ამიტომ გადავიტანეთ საკონსტიტუციო სასამართლო ბათუმში და კონტროლის პალატა – ქუთაისში. ვიმედოვნებთ, ახალი ხელისუფლება უარს არ იტყვის საქართველოს რეგიონულ მოწყობაზე, რომელიც დეცენტრალიზაციის პრინციპებს ეფუძნებოდა, – აღნიშნა ბარამიძემ.

# დავით ბაქრაძე: „პრეზიდენტი „ქართულ ოცნებასთან“ დებატებისთვის მზადაა“

შორენა მარსაგიშვილი

მომავალ კვირას მიხეილ სააკაშვილი საკანონმდებლო ორგანოს წინაშე ყოველწლიური მოხსენებით წარსდგება. ამ დღეს ყველა მოუთმენლად ელოდება. მეოცნებე დეპუტატები პირობას დებენ, რომ სააკაშვილს დაუვიწყარ დღეს აჩუქებენ.

მას სიურპრიზებს კოალიცია „ერთსულოვნებაც“ ჰპირდება. ისინი ამბობენ, რომ ვადაგასულ პრეზიდენტს სირცხვილის დერეფანში გაატარებენ.

საპარლამენტო უმრავლესობა და უმცირესობა მოლაპარაკებებს მართავენ. არკვევენ რა ფორმატში ჩაივლის სააკაშვილის სტუმრობა. მეოცნებეები არ გამორიცხავენ, რომ პრეზიდენტმა შესაძლოა პარლამენტი თავისი გამოსვლის შემდეგ დატოვოს.

არადა მეოცნებეებს მისთვის იმდენი რამ აქვთ სათქმელი და დიდი საცოდაობა იქნება სააკაშვილი თუ გაექცევათ. ამის გამო ოცნებაში ძალიან წუხან. გულჯავრიანი მეოცნებეები უმცირესობის ლიდერმა დავით ბაქრაძემ დაამშვიდა.

– პრეზიდენტი მზადყოფნას გამოთქვამს პარლამენტის მუშაობის დაწყების პირველივე კვირას უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში მივიდეს ,დეპუტატების წინაშე სიტყვით გამოვიდეს ,მათი გამოსვლები მოისმინოს და დებატებში მიიღოს მონაწილეობა. მომავალი კვირის დასაწყისიდან შეხვედრებს ვგეგმავთ იმისათვის ,რომ პრეზიდენტის გამოსვლის ყველასათვის მისაღებ ფორმატზე შევთანხმდეთ, – აღნიშნა დავით ბაქრაძემ.



# შედგება თუ არა წულუკიანის და კუბლაშვილის დებატები

ნათია ხურცილავა

**იუსტიციის მინისტრი თეა წულუკიანი უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე კოტე კუბლაშვილს დებატებში იწვევს. იუსტიციის მინისტრის ეს განცხადება ჟურნალისტებისთვის მოულოდნელი არ ყოფილა, რადგან იუსტიციის მინისტრსა და უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს შორის ურთიერთობას კოაბიტაციის ფარგლებში ვერ განვიხილავთ.**





თეა წულუკიანის განცხადებით, ის სასამართლო სისტემას ყოველგვარი ზეწოლისგან გაათავისუფლებს და, კუბლაშვილისგან განსხვავებით, რეალურ რეფორმას ჩაატარებს.

მინისტრმა ტელედებატებში უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე უკვე მერამდენედ გამოიწვია. ამჯერად მიიღებს თუ არა კუბლაშვილი წულუკიანის გამოწვევას, დრო გვიჩვენებს, თუმცა, ფაქტი ერთია, წულუკიანი კუბლაშვილს ღია ბრალდებებს უყენებს, რაზეც პასუხები საზოგადოებისთვის საინტერესო იქნება.

– კუბლაშვილს კიდევ ერთხელ ვიწვევ დებატებში, რათა დღევანდელი მართლმსაჯულებისა და იმ მდგომარეობის შესახებ ვისაუბროთ, რაშიც თავისი ხელმძღვანელობის პერიოდში ქართული მართლმსაჯულება ჩააგდო. იგი დღემდე არ თანხმდება ამას, ჩემთვის გაუგებარი მიზეზების გამო, – განაცხადა წულუკიანმა.

იუსტიციის მინისტრმა ვენეციის კომისიის პრეზიდენტ ჯანი ბუკიკიოს განცხადებას უპასუხა.

– მე არ ვწუხვარ იმის გამო, რომ სანამ ვენეციის კომისია ამნისტიის შესახებ კანონთან დაკავშირებით დასკვნას გამოაქვეყნებდა, არაერთი ამნისტირებული პატიმარი დაუბრუნდა თავის ოჯახს, – ასე პასუხობს იუსტიციის მინისტრი თეა წულუკიანი ჯანი ბუკიკიოს განცხადებას იმის შესახებ, რომ საქართველოს პარლამენტმა ამნისტიის შესახებ კანონი ვენეციის კომისიის დასკვნის გარეშე დაამტკიცა.

რაც შეეხება ვენეციის კომისიის დასკვნას უკვე „საერთო სასამართლოების შესახებ“ კანონპროექტთან დაკავშირებით, მასზე წულუკიანი შენიშვნებს კომისიის ხელმძღვანელობისგან ხვალ დაგეგმილ შეხვედრაზე ელოდება.

– იუსტიციის სამინისტროს წარმომადგენლები ვენეციის კომისიის ხელმძღვანელობას ხვალ ვხვდებით და შეხვედრის დასრულებამდე ვერ გეტყვით, დაელოდება თუ არა ვენეციის კომისიის დასკვნას ქართული მხარე. ჩემი პოზიცია დამოკიდებული იქნება იმაზე, გაეცნო თუ არა ვენეციის კომისია რამდენიმე კვირის წინ გადაგზავნილი კანონპროექტის პაკეტს. იმედია, უკვე გაეცნო და მასთან დაკავშირებით ხვალ სავარაუდო შენიშვნებიც ექნებათ, თუნდაც ზეპირი. ამასთან, იმედია, ხვალვე გვეტყვიან იმ სავარაუდო თარიღს, როდის გეგმავს კომისია პროექტთან დაკავშირებით დასკვნის გაკეთებას, – განუცხადა წულუკიანმა ჟურნალისტებს.

ვენეციის კომისიის პრეზიდენტი ჯანი ბუკიკიო წუხს, რომ „ამნისტიის შესახებ“ კანონი კომისიის მოსაზრებების მიღებამდე დაამტკიცეს.

– ვწუხვარ, რომ „ამნისტიის შესახებ“ კანონი დაამტკიცეს მანამ, სანამ მიიღებდნენ ჩვენს მოსაზრებებს, მაგრამ, ამასთან, მესმის იმ ხალხის მდგომარეობა, რომლებიც ციხეებში იყვნენ და ახლახან გაათავისუფლეს ამ კანონის წყალობით. საპარლამენტო ასამბლეის მოთხოვნის შესაბამისად, ჩვენ განვიხილავთ არა მთლიან კანონს, არამედ იმ ნაწილს, რომელიც პოლიტიკურ პატიმრებს შეეხება. ეს იმას არ ნიშნავს, რომ ჩვენ შევეცდებით გავარკვიოთ, იყვნენ თუ არა ისინი პოლიტიკური პატიმრები, არამედ ჩვენ შევეხებით მხოლოდ პროცედურულ საკითხებს, – აცხადებს ბუკიკიო.

იუსტიციის მინისტრი თეა წულუკიანი „კანონიერი ქურდების“ ინსტიტუტის ამოძირკვაზე აკეთებს განცხადებას.

– კანონიერი ქურდობა საქართველოში მკაცრად დასჯადი იქნება. ეს ის ფენომენია, რომელიც საბოლოოდ უნდა ამოიძირკვოს. ეს არის ჩემი და მთავრობაში მთელი სამართალდამცველი ბლოკის პოზიცია, – განაცხადა წულუკინმა.

როგორც ცნობილია, „კანონიერი ქურდობის“ წინააღმდეგ სპეციალური კანონი მიიღო წინა მოწვევის პარლამენტმა.

სააკაშვილის ხელისუფლებამ „კანონიერი ქურდების“ ინსტიტუტთან ბრძოლის ფართომასშტაბიანი კამპანია დაიწყო, რაც გულისხმობდა საკუთრების კონფისკაციას. 2005 წლიდან, „ქურდული სამყაროსადმი“ კუთვნილება სისხლის სამართლის დანაშაული გახდა, თავად „კანონიერი ქურდის“ წოდება კი დანაშაულის ნიშნად ითვლება.

მინისტრის თქმით, ალბათ, დაცვის მხარე მიიღებს იმ ზომებს, რომლებიც სისხლის სამართლის კოდექსითაა გათვალისწინებული, რათა ამ საქმეზე სიმართლე დადგინდეს.

ნიკოლოზ ლომინაძე 2002 წელს მოკლეს. 2006 წელს მკვლელობა გახსნილად გამოცხადდა და მასზე პასუხისმგებლობა გიორგი გვიჩიანს, ნოდარ გვიჩიანს, ნიკა ჩემიას, ავთანდილ ხერკელაძეს, გიორგი პაპაჩაშვილს დაეკისრათ.

იუსტიციის სამინისტროს ინიციატივით, მართლმსაჯულების ხარვეზის დამდგენი კომისია შეიქმნება.

ეს განცხადება იუსტიციის მინისტრმა თეა წულუკიანმა პირდაპირ ეთერში გააკეთა.

– იუსტიციის სამინისტროში ვუმუშავეთ და არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობის საფუძველზე კანონპროექტი შევქმენით. ეს, ალბათ, იმ პატიმრებს, რომლებიც ახლა მისმენენ და იმ ბიზნესმენებს, რომელთაც ქონება უკანონოდ ჩამოერთვათ, ძალიან გაუხარდებათ. ასევე ვქმნით კომისიას, რომელსაც მართლმსაჯულების ხარვეზის დამდგენი ეწოდება. მის წევრებსა და თავმჯდომარეს პარლამენტი აირჩევს, – განაცხადა წულუკიანმა.

# „ლიბერთი ბანკმა“ და „არაი თუმოროუმ“ ერთობლივი აქცია დაიწყეს

ნათია ხურცილავა

„ლიბერთი ბანკმა“ და „არაი თუმოროუმ“ ერთობლივი აქცია გუშინ დაიწყეს. აქციის ფარგლებში „არაი თუმოროუს“ მაღაზიათა ქსელში „ლიბერთი ბანკის“ სწრაფი და მარტივი 18-თვიანი უპროცენტო განვადება საშუალებას აძლევს ნებისმიერ მსურველს, საყოფაცხოვრებო ტექნიკა ყოველგვარი წინასწარი შენატანის გარეშე შეიძინონ.

მომხმარებლებს საშუალება ეძლევათ, შეიძინონ ნებისმიერი ტიპის ტექნიკა და ისარგებლონ 0-პროცენტიანი განვადებით უფრო ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში, რაც ძვირადღირებულ პროდუქციას შედარებით დაბალი შემოსავლის მქონე პირებისთვისაც ხელმისაწვდომს ხდის.

აქცია უკვე დაიწყო „არაი თუმოროუს“ მაღაზიათა ქსელში წარმოდგენილი საყოფაცხოვრებო ტექნიკის სრულ ასორტიმენტზე.

მომხმარებლები, რომლებიც აქციის მსვლელობის დროს 500 ლარამდე შენაძენს გააკეთებენ, „არაი თუმოროუსგან“ საჩუქრად მიიღებენ 10-პროცენტიანი ფასდაკლების ბარათს კონდიციონერებზე.

**ლევან ასანიშვილი, „ლიბერთი ბანკის“ გაყიდვების დეპარტამენტის უფროსი:**

– „ლიბერთი ბანკმა“ და „არაი თუმოროუმ“ უპრეცედენტო აქცია დაგეგმა, რომლის ფარგლებში ნებისმიერ მომხმარებელს შეეძლება, 18 თვემდე 0 პროცენტით შეიძინოს ნებისმიერი მისთვის სასურველი ნივთი. ეს აქცია გამორჩეულია, მისი უნიკალობა მდგომარეობს იმაში, რომ უპროცენტო განვადების ვადა საკმაოდ დიდია. 18 თვე მომხმარებელს აძლევს იმის საშუალებას, რომ შეიძინოს მისთვის სასურველი რამდენიმე პროდუქცია შეღავათიან პირობებში „არაი თუმოროუს“ მაღაზიათა ქსელში. გარდა იმისა, რომ არსებობს ასეთი შეღავათიანი პირობა, „არაის“ მხრიდანაც არის გარკვეული საჩუქრები. რაც შეეხება აქციის ვადას, მისი დასრულების ვადას ჩვენ არ ვაკონკრეტებთ. ამ აქციაში არა მხოლოდ „ლიბერთი ბანკის“ მომხმარებლებს შეეძლებათ მონაწილეობა, არამედ – ნებისმიერს. ასევე ამ აქციაში მონაწილეობას მიიღებენ „ლიბერთი ბანკის“ გამორჩეული, კეთილსინდისიერი გადამხდელები. შესაბამისად, ასეთ კლიენტებს საჩუქრად საკრედიტო ლიმიტები წინასწარ დაუმტკიცდებათ.

**ელენე ქარუმიძე, „არაი თუმოროუს“ პიარ-მენეჯერი:**

– „არაი თუმოროუში“ წარმოდგენილია პროდუქტების ძალიან ფართო ასორტიმენტი, როგორც მსხვილი, ასევე წვრილი ტექნიკა. ამდენად, მომხმარებლები არჩევანში შეზღუდული არ არიან. ის მომხმარებლები, რომლებიც აქციის მსვლელობის განმავლობაში 500 ლარამდე პროდუქციას შეიძენენ, „არაისგან“ 10-პროცენტიან ფასდაკლების ბარათს კონდიციონერებზე მიიღებენ. საქართველოს მასშტაბით „არაი თუმოროუს“ 10 მაღაზია აქვს წარმოდგენილი. მათ შორის 6 მაღაზია თბილისშია, 2 – ბათუმში და 2 – ქუთაისში. ასევე ვგეგმავთ ძალიან დიდი და ლამაზი მაღაზიის გახსნას, სადაც გაცილებით მეტი პროდუქცია იქნება წარმოდგენილი და არჩევანი ბევრად მეტი იქნება.

# ვენეციის კომისიის დელეგაცია დღეს ბიძინა ივანიშვილს შეხვდება

საქართველოში ოფიციალური ვიზიტით მყოფი ვენეციის კომისიის დელეგაცია, კომისიის პრეზიდენტის ჯანი ბუკიკიოსა და ვენეციის კომისიის მდივნის მოადგილის სიმონა გრანატე-მენინის შემადგენლობით, დღეს არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებს შეხვდება. არასამთავრობოებთან შეხვედრის შემდეგ, დელეგაცია ჯერ იუსტიციის მინისტრ თეა წულუკიანთან, შემდეგ კი საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე გიორგი პაპუაშვილთან გამართავს შეხვედრას.

15 საათზე კი, ვენეციის კომისიის დელეგაცია, სახელმწიფო კანცელარიაში, პრემიერ-მინისტრ ბიძინა ივანიშვილს შეხვდება. დღესვე გაიმართება შეხვედრები სახელმწიფო მინისტრთან ევროპულ და ევროატლანტიკურ

სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში – ალექსი პეტრიაშვილთან და სახელმწიფო მინისტრთან რეინტეგრაციის საკითხებში – პაატა ზაქარეიშვილთან.

**ნიუსპრესი**

# ლევან ბერძენიშვილი: „ლუკაშენკოს მე ნამდვილად არ ვურჩევ საქართველოში ჩამოსვლას“



საქართველოს დსთ-ში შესაძლო დაბრუნების თემა კიდევ ერთხელ გახდა აქტუალური. რუსეთის საგარეო უწყების წარმომადგენლის განცხადება, რომლის მიხედვითაც ამ საკითხთან დაკავშირებით ოფიციალურ თბილისთან გარკვეული სახის კონტაქტები არსებობს, საქართველოს საგარეო უწყებასა და პარლამენტის შესაბამის კომიტეტში კატეგორიულად უარყვეს, თუმცა ნაციონალური მოძრაობა ხელისუფლებისგან მეტ გარანტიებს მოითხოვს და საქართველოს პროდასვალური კურსის უცვლელობასთან დაკავშირებით პარლამენტში საკანონმდებლო ინიციატივა შეაქვს. რას ფიქრობენ დსთ-ს საკითხზე და გიორგი ბარამიძის მიერ დღეს დეკლარირებულ კანონპროექტზე საპარლამენტო უმრავლესობაში? – ამ კითხვით „მედიანიუსმა“ რესპუბლიკური პარტიის ერთ-ერთ ლიდერს, პარლამენტარ **ლევან ბერძენიშვილს** მიმართა.

– უმრავლესობის საერთო პოზიციაზე ვერაფერს გეტყვით, რადგან ამ თემის განხილვა არ მომხდარა. მე ჩემი პირადი მოსაზრება შემიძლია გითხრათ. კურსი რომ არ იცვლება, ეს ნაციონალურ მოძრაობაზე არ არის დამოკიდებული. ეს ნაციონალური მოძრაობის კურსი არ არის, ეს არის ქართველი ხალხის კურსი. ამ კურსს ჩვენ არ ვცვლით და ამას კანონმდებლობა არ სჭირდება. თავის მოტყუებაა, როცა ბარამაიძე გვასწავლის ამას... ეს არის კაცი, რომელმაც დსთ-ში საქართველოს გაწევრიანებას ხმა მისცა. ის გვასწავლის, რა კანონი უნდა მივიღოთ, რომ მის კურსს არ ვუღალატოთ?! რომელ კურსზეა ლაპარაკი?! შევარდნაძის პარტიის ხალხმა საქართველო დსთ-ში შეათრია. ცხოვრებაში არ დამავიწყდება. ეს ერთ-ერთი ყველაზე ტრაგიკული დღეს იყო ჩემს ცხოვრებაში 1994 წელს. ძალიან კარგად მახსოვს ყველაფერი და ბარამიძის აქტივობაც მახსოვს კარგად. სხვებიც არიან, ბუნებრივია, პარლამენტში, მარტო ბარამიძე არ იყო. მინდა გითხრათ, რომ ეს მაშინაც დანაშაული იყო და ახლაც დანაშაულია. ბარამიძე რომ გვთავაზობს რაღაცებს, დსთ-სთან დაკავშირებით... ბოლოს და ბოლოს სარკეში ჩაიხედონ, ჩვენ არ გვჭირდება ნაცმოძრაობის შეხსენება, რომ ჩვენი სამშობლო გვიყვარდეს.

საქართველოს დსთ-ში შეყვანის სურვილი რომ გვქონოდა, ნაციონალურ მოძრაობასთან ერთად ევროსაბჭოში არ ვიომებდით იმ რეზოლუციისთვის, რომელმაც 2-3 დღის წინ რუსეთი ბეჭებზე დადო. ბარამიძემ თუ არ იცის, ჩაეკითხოს ჩიორა თაქთაქიშვილს, როგორ ვმუშაობდით ჩვენ ერთად რუსეთის დელეგაციის საწინააღმდეგოდ. დსთ-ში შესვლა რომ გვინდოდეს, როგორ გგონიათ, რუსეთს ასე ვაწყენინებდით?! არასერიოზულია... ნაციონალური მოძრაობა ეძებს თემებს. ჩვენ ამაში ხელს არ შევუწყობთ. დაწერონ კანონპროექტი და შემოიტანონ. განიხილავს მას კომიტეტი და თუ მისაღები იქნება, მიიღებს. ეს არ არის მათი კურსი. საქართველომ დასავლეთის კურსი აირჩია თამარ მეფის დროს. შეიძლება უფრო ადრეც. ნაცმოძრაობა ნუ დაიბრალებს ამას... ბოლოს და ბოლოს, შევარდნაძის მემკვიდრე პარტიაა, ნუ დაიბრალებენ პატრიოტობას.

***– ანუ თქვენ პირადად ამ კანონპროექტს მხარს არ დაუჭერთ?***

– მე არც განვიხილავ არც ერთ კანონპროექტს, რომელსაც შემოიტანს ნაცმოძრაობა ამ ტიპისას, რომელიც ჭკუას გვასწავლის, თუ რა არის პატრიოტიზმი... არ განვიხილავ იმ ხალხისგან, რომელიც კომკავშირელი იყო მაშინ, როცა მე ციხეში ვიჯექი... არ განვიხილავ იმ კაცისგან, რომელიც დსთ-ს ხმას აძლევდა, როცა რესპუბლიკურმა პარტიამ ყელი კინაღამ გამოიღადრა... არ განვიხილავ იმ ადამიანების ინიციატივას, რომლებმაც აგერ, ახლახან, 2006 წელს, დეკემბერში დსთ-დან გასვლის შესახებ ჩვენ მიერ დაყენებულ საკითხზე კენჭისყრა ჩაგვიგდეს და პარლამენტიდან გაგვეპარნენ. ამ ადამიანების, ამ ფსევდოპატრიოტების შემოტანილ კანონპროექტს პირადად მე არასოდეს დავუჭერ მხარს ნაციონალურ საკითხებზე და თუ ახლა გენდერულ საკითხებზე შემოიტანენ კანონპროექტებს, ლიბერალები არიან ზოგიერთები და მხარს დავუჭერ.

***– ბატონო ლევან, ცოტა ხნის წინ დსთ-ს მოქმედი თავმჯდომარე ქვეყნის, ბელორუსის პრეზიდენტმა ალექსანდრე ლუკაშენკომ განაცხადა, რომ იგი საქართველოს დსთ-ში დაბრუნების საკითხზე პრემიერ-მინისტრ ბიძინა ივანიშვილთან პირადად აპირებს საუბარს, როდესაც თბილისში ჩამოვა. იქვე დასძინა, რომ საქართველოში იგი პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა პირადად დაპატიჟა. იმ ფონზე, როდესაც ნაციონალური მოძრაობა გარკვეულ ქმედებებს ახორციელებს საქართველოს დსთ-ში არდაბრუნების მიზნით, რას ნიშნავს სააკაშვილის მხრიდან ლუკაშენკოს თბილისში დაპატიჟება? ხომ არ გამოიწვევს მისი თბილისში ვიზიტი და პრემიერთან დსთ-ს საკითხზე ორმხრივი საუბარი ერთგვარი არაკომფორტული სიტუაციის პროვოცირებას?***

– ჩემი აზრით, მიხეილ სააკაშვილის ყველა მცდელობა (საბავშვო ბაღია ახლა ლუკაშენკოს მოწვევა) დამთავრდება კრახით. ბატონ ლუკაშენკოს მე ნამდვილად არ ვურჩევ საქართველოში ჩამოსვლას. პირადად მე, მაგალითად, და ჩემი პარტია ყველაფერს გავაკეთებთ იმისათვის, რომ თუ ჩამობრძანდება, კარგად გაიგოს, იმ ხალხის დაპატიმრებისთვის, ჩვენი მეგობრებისთვის, ციხეში რომ ჰყავს ჩაყრილი, რა პასუხი მოელის მას. სააკაშვილი ამბობს, რომ ბელორუსს პოლიტპატიმრები არ ჰყავსო... მე მაგალითად 20-მდე კაცის დასახლება შემიძლია, მარტო ჩემი პირადი მეგობრების, რომლებიც ბელორუსში პოლიტპატიმრები არიან. ერთი მათგანი გრანტის მიღებისათვის დაიჭირეს.

მე იმის თქმა მინდა, რომ ეს თამაში არის, მაგრამ ეს თამაში განწირულია. ნაცმოძრაობას ვერ გააცოცხლებს ასეთი პოლიტიკური თამაშები. საქართველო აქ არაფერ შუაში არ არის – სულისმლაფავი პარტია ცდილობს, რომ იპოვოს თემები და იმის მაგივრად, რომ ხალხმა რეალურ საქმეებზე იფიქროს, მაგალითად მასწავლებლების ხელფასზე, გლეხების დახმარებაზე და ასე შემდეგ, ცდილობს ეს თემები გადაფაროს ასეთი ყალბი პატრიოტული გამოხდომებით.

მიხეილ სააკაშვილის პატრიოტობის მე არ მჯერა. ეს დამარცხებული კაცია არამარტო აგვისტოს ომში, არამედ საქართველოში არჩევნებში. არჩევნებში წაგებული კაცის, წარმავალი კაცის მოსმენა და მაგის დაპატიჟებაზე ჩამოსვლა, მეტისმეტად ჭკვიანური არ იქნებოდა.

**მედიანიუსი**

# ჯანდაცვის მინისტრმა არ იცის, რატომ იღუპებიან საქართველოში ბავშვები

მერი ნამორაძე

**გუშინ, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში ჟურნალისტებთან გამართულ შეხვედრაზე მინისტრმა დავით სერგეენკომ უნივერსალურ ჯანდაცვის სისტემაზე გადასვლასთან დაკავშირებული რისკები მიმოიხილა. რამდენად არიან სამედიცინო დაწესებულებები მზად, ახლად დაზღვეულ მოქალაქეთა მიმართვის პირველ ტალღას გაუმკლავდნენ? მინისტრი ირწმუნება, რომ პირველადი ჯანდაცვის დაწესებულებები თუ გადაუდებელი დახმარების მიმწოდებელი სამედიცინო ცენტრები სრულად იქნებიან მობილიზებულნი და პაციენტებს პრობლემები ამ კუთხით არ შეექმნებათ:**

— ვეცდები, ალგიწეროთ, რასთან არის ეს დაკავშირებული მომსახურების ხარისხის მხრივ. პირველადი ჯანდაცვის დაწესებულებები — სოფლის ამბულატორიები, პოლიკლინიკა, ოჯახის ექიმი, თერაპევტი, პედიატრი — ამ სპეციალისტებთან ვიზიტების შესაძლებლობას მოიცავს. უნივერსალური ჯანდაცვის სისტემაზე გადასვლა, რა თქმა უნდა, გამოიწვევს პაციენტების ნაკადის ზრდას. ასეთ შემთხვევაში განსაკუთრებულ რისკებს ვერ ვხედავთ, რადგან პირველადი ჯანდაცვის სამედიცინო ობიექტებთან შესაძლებელია სწორი შეთანხმება. დაწყებული გვაქვს მოლაპარაკებები პირველადი ჯანდაცვის საკოორდინაციო ჯგუფთან. ამ მხრივ განსაკუთრებულ სირთულეს ვერ ვხედავთ, რომ პაციენტთა გაზრდილ ნაკადს ისინი ვერ გაუმკლავდნენ. ამის რესურსი არსებობს, პაციენტთა ახალ ნაკადს მოჰყვება დაფინანსების ახალი წყარო. რაც შეეხება მეორე ნაწილს — გადაუდებელი მდგომარეობების მართვას, ეს ისეთი მდგომარეობებია, რომელიც არსებული ქრონიკული დაავადებების გამწვავებით, ტრავმის მიღებითა თუ სხვა გარემო ფაქტორების ზეგავლენით შეიძლება წარმოიშვას. ასეთ შემთხვევაში დროული სამედიცინო ჩარევის გარეშე შეიძლება განვითარდეს სიცოცხლის თუ რომელიმე ორგანოს დაკარგვის რისკი. ასეთ ვითარებაში ჩავარდნილი ადამიანები ისედაც იძახებდნენ სასწრაფოს და ისედაც მიმართავდნენ სამკურნალო დაწესებულებას, ოღონდ თანხის გადახდა მძიმე ფინანსური დარტყმის ფასად ხდებოდა. ნაკადი ამ შემთხვევაში დარჩება იმავე მოცულობის, ოღონდ უკვე ამისათვის საკუთარი ჯიბიდან არ ექნებათ თანხა გადასახდელი, — აღნიშნა სერგეენკომ. ასე რომ, მინისტრი დარწმუნებულია, არც სასწრაფო დახმარების გამოძახების სიხშირე გაიზრდება მასშტაბურად და არც სამედიცინო დაწესებულებებში მიმართვიანობის სიხშირე.

ამასთან, ჯანდაცვის სამინისტრო ქვეყნის მასშტაბით მონიტორინგს განახორციელებს ახალი პროგრამის ეფექტურობის შესასწავლად. მინისტრმა არ გამორიცხა, რომ სუბიექტურ მიზეზთა გამო მოხდეს შეფერხება სერვისის მიწოდებისას, ანუ ცდუნება გაუჩნდეს რომელიმე სამედიცინო დაწესებულებას, მეტი პაციენტების ნაკადი უზრუნველყოს მეტი ფინანსების მისაღებად. ყველაფერს მონიტორინგისა და ადმინისტრირების ჯგუფი გააკონტროლებს, რომელიც ამ რისკებს მინიმუმამდე დაიყვანს.

სერგეენკოს თქმით, დასრულდა სამედიცინო დაწესებულებების სრული აღრიცხვა, რაც მოიცავდა სამედიცინო დაწესებულების ადგილმდებარეობის, ინფრასტრუქტურის, სერვისების, მომუშავე პერსონალის რაოდენობის შეფასებას. ეს მონაცემები ხელმისაწვდომი იქნება საქართველოს ნებისმიერი მოქალაქისათვის.

რაც შეეხება ასი ახალი საავადმყოფოს პროექტს, მინისტრმა განაცხადა, რომ რაოდენობრივად და სტრუქტურულად ეს პროექტი შესრულებულია, ანუ სახეზეა 100 შენობა, სადაც არაფერი გაფუჭებულა და დაზიანებულა. რაც შეეხება ხარისხობრივ მაჩვენებლებს, თუ რა შესაძლებლობებს უნდა აკმაყოფილებდეს ესა თუ ის დაწესებულება, საწოლების განაწილების პარიტეტი კი არ არის იდეალური:

— გათვლილი უნდა იყოს, რა რაოდენობის საწოლია საჭირო ამა თუ იმ რაოდენობის მოსახლეობაზე და მათ სიმჭიდროვეზე. ზოგან შეიძლება ცხოვრობდეს 5 ათასი ადამიანი 20 კვადრატულ კილომეტრზე, დიდ ქალაქებში ეს სიმჭიდროვე სხვა არის. ათას მოსახლეზე უნდა იყოს საშუალოდ 2,4-2,5 საწოლი გადაუდებელი დახმარებისთვის. უხშირეს შემთხვევაში ახალი საავადმყოფოების განხილვისას ეს პარიტეტი არ არის დაცული. არის რაიონები, სადაც მოსახლეობა 40-50 ათასამდეა და საწოლების რაოდენობა 10-15-ია. ეს დააკმაყოფილებს ასეთი რაიონის სამედიცინო მოთხოვნებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იქნება ეგრეთ წოდებული ემერჯენსის ტიპის, ანუ მიიღებს პირველ დარტყმას საკუთარ თავზე — მოახდენს პაციენტის მდგომარეობის სტაბილიზაციას და დაიწყებს გადაყვანას მეტი შესაძლებლობის მქონე კლინიკაში. სამწუხაროდ, არსებულ რეალობაში ეს არ ხორციელდებოდა, 10-15-კაციანი კლინიკები არა მხოლოდ პირველ დარტყმას იღებენ, არამედ ახორციელებენ შემდგომ მკურნალობას, რაც იწვევს გადატვირთვას. იძულებული არიან, ერთსა და იმავე სივრცეში



მოათავსონ მელოგინე ქალი, ახალნაოპერაციები მამაკაცი, ბავშვი ზედა სასუნთქი გზების ინფექციით, რაც არ არის იდეალური. ამ პროექტმა თავის დროზე მნიშვნელოვანი ცვლილება შეიტანა არსებულ პარიტეტში, მაგრამ ეს არ არის ის, რაზეც უნდა გავჩერდეთ, ამას რესურსების გაძლიერება სჭირდება. 50-ათასიან რაიონს ვერ მოემსახურება 15-საწოლიანი საავადმყოფო. ყველა სამედიცინო დაწესებულების „რუკაზე დატანა" გვაძლევს იმის საშუალებას, შევქმნათ ერთიანი ინტეგრირებული მართვის სქემა, როცა ინფორმაცია პაციენტზე, რომელსაც გადაუდებელი დახმარება სჭირდება, ოპერატიულად მოდის ჩვენს დეპარტამენტში, ვაკეთებთ ოპტიმალურ მართვას. მაგალითად, ავტოსაგზაო შემთხვევისას მიდის სასწრაფოს ბრიგადა, რომელსაც ხვდება რამდენიმე დაზარალებული, თავის ტრავმის შემთხვევაში არ უნდა გადაიყვანო იქ, სადაც არ ექნებათ კომპიუტერული ტომოგრაფია ან ნეიროქირურგიული ჩარევის შესაძლებლობა. ამასთან, პარალელურად, კატასტროფის ბრიგადა აკეთებს შემხვედრ მოძრაობას და ხდება ნახევარი გზის ევაკუაცია — გადააწვენს კატასტროფის ბრიგადა და გადაამისამართებს შესაბამისი პროფილის დაწესებულებაში, დრო რომ არ დაიკარგოს, — განმარტა მინისტრმა.

რამდენად ხშირად მიმართავენ მედიკოსები სამინისტროს სამსახურიდან უკანონოდ გათავისუფლების მიზეზით? როგორც აღმოჩნდა, ასეთი მიმართვა უამრავია: — ჩემთვის, როგორც ექიმისთვის და კოლეგიალური სოლიდარობის გამო, თუნდაც და არა როგორც ჯანდაცვის მინისტრისთვის, ძალიან სამწუხაროდ, ასეთი მომართვა უამრავია. რა ბერკეტები აქვს ჯანდაცვის სამინისტროს ასეთ შემთხვევაში? ნებისმიერი ქმედება, იქნება ეს სამსახურიდან გათავისუფლება თუ რაიმე სხვა, რაც ცივილიზებულ საზოგადოებაში ხორციელდება, უნდა ხდებოდეს კანონის ფარგლებში და უნდა იყოს სამართლიანი. იმ შემთხვევაში, როცა დამქირავებელსა და დაქირავებულს შორის ურთიერთობას განსაზღვრავს კერძო მეპატრონე, სახელმწიფოს არანაირი უფლება არ აქვს, ამაში ჩაერიოს, თუ ეს კანონის ფარგლებში ხდება. პირადად შემიძლია, მხარდაჭერა გამოვუცხადო, ჩვენმა სამსახურებმა საკონსულტაციო დახმარება გაუწიონ მედიკოსებს, მაგრამ, როცა საუბარია იმაზე, კანონიერად გამათავისუფლეს სამსახურიდან თუ უკანონოდ, მიმართულება არის ისევ კანონისა და იურიდიული კონსულტაციისკენ, — გვიპასუხა მინისტრმა და ამგვარი პრობლემების მქონე მედიკოსები სოციალური დიალოგისა და თანამშრომლობის შემსწავლელი სამთავრობო კომისიისკენ გადაამისამართა.

„ახალი თაობა" დაინტერესდა ასევე ბავშვთა სიკვდილობის მაჩვენებლებითა და მიზეზებით საქართველოში. მინისტრმა ოფიციალური მონაცემები ციფრებით მოგვაწოდა, თუმცა, მიზეზების დასახელებას სამომავლოდ დაგვპირდა. მისი თქმით, ათას ცოცხლადშობილ ბავშვზე 5 წლის ასაკამდე საქართველოში 12,3 ბავშვი იღუპება.

ამ მხრივ მსოფლიოში პირველ ადგილზეა ავღანეთი. მას მოჰყვებიან აფრიკის ქვეყნები, სადაც ყოველ ათას ბავშვზე სიკვდილობა მერყეობს 130-150 ბავშვზე.

— საქართველოს მონაცემები არ არის შესანიშნავი, მაგრამ დინამიკას კლება აქვს. განვითარებულ ქვეყნებში ეს ციფრი არის 4-5-ის ფარგლებში, ჩვენთან კი 12,3 -ია. მკვეთრი კლება არ არის, მაგრამ გამოხატული, დრამატული შემცირება არ შეიმჩნევა, თუმცა, აქაც არის 40 პროცენტამდე გარდაცვალების დაუზუსტებელი შედეგები. დედათა და ბავშვთა სიკვდილიანობის საკითხების შემსწავლელი საბჭოს შექმნით გვინდა, დაზუსტებული ციფრები მივიღოთ და ოპერატიული რეაგირება გვქონდეს, — გვითხრა მინისტრმა.

რაც შეეხება მედიკოსთა გადამზადების პროცესს, რესერტიფიკაცია ისევ აღდგება. მედიკოსებმა რამდენიმე წლის გამოტოვებით თავიდან უნდა მოიპოვონ ლიცენზია და დაამტკიცონ, რომ შეუძლიათ სამედიცინო საქმიანობის გაგრძელება. ტესტები შეიცვლება და გადავა თანამედროვე სერტიფიცირების სტანდარტებზე, რომელიც არსებობს ევროპასა და ამერიკაში. თუმცა, ეს არ ნიშნავს, რომ ხვალიდანვე ქართველ ექიმსა თუ ექთანს ევროპულ-ამერიკულ ტესტებს დაუდებენ წინ.

# რატომ დაიჭირეს ვაგან ჩახალიანი

გულიკო ბალაძე

**უფლებადამცველი გიორგი თევზაძე ვაგან ჩახალიანის გათავისუფლებას გამოეხმაურა.**

ადამიანის უფლებების დაცვისა და პატიმართა სოციალური უზრუნველყოფის საერთაშორისო ორგანიზაციის თავმჯდომარე გიორგი თევზაძე გამოეხმაურა ამნისტიის კანონის საფუძველზე ვაგან ჩახალიანის გათავისუფლების ფაქტს და განაცხადა, რომ თუ ერთიან ნაციონალურ მოძრაობას ჰქონდა საფუძვლიანი ვარაუდი ანტიქართული და კრიმინალური საქმიანობის თაობაზე, სამართალდამცავ ორგანოებს ევალებოდათ, შესაბამისი საგამოძიებო მოქმედებები განეხორციელებინათ და არ მომხდარიყო სხვა, უფრო მსუბუქი დანაშაულისთვის მისი გასამართლება.

— როგორც საზოგადოებისთვის ცნობილია, ყოფილი ხელისუფლების წარმომადგენლების განცხადებით, ვახან ჩახალიანს დაურბევია საქართველოს ეკლესიის ეპარქია ახალქალაქში, ქართული უნივერსიტეტი, გამგეობა და პოლიცია ახალქალაქში, ეწინააღმდეგებოდა საქართველოს შეიარაღებული ძალების გადაადგილებას ახალქალაქში და რუსეთის ბაზის გაყვანის პროცესს საქართველოს ტერიტორიიდან. ასევე არის საქართველოს სახელმწიფოებრიობის შიდა მტერი. ეს უმძიმესი დანაშაულებია, რომლებზეც ყოფილ ხელისუფლებას ევალებოდა კანონშესაბამისი ადეკვატური რეაგირება, — აცხადებს გიორგი თევზაძე.

ამ ფაქტორების გათვალისწინებით, გიორგი თევზაძე აუცილებ-



ლად და ახალი ხელისუფლების მოვალეობად მიიჩნევს წაყენებულ პრეტენზიებთან დაკავშირებით სრული, ყოველმხრივი და ობიექტური გამოძიების ჩატარებას.

— თუკი შესაბამისი მტკიცებულებებით დადასტურდება ზემოთ მითითებული დანაშაულის ნიშნების ნამდვილობა, აუცილებლად უნდა განხორციელდეს კანონის ფარგლებში სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრება ყველა ბრალეული პირის მიმართ, მით უმეტეს, ამ დანაშაულებისთვის სისხლისსამართლებრივი ხანდაზმულობის ვადები არ გასულა, — აცხადებს გიორგი თევზაძე.

ამდენად, გიორგი თევზაძე მოითხოვს, დროულად მოხდეს საჭირო, სათანადო რეაგირება და საზოგადოებისთვის სწორი ინფორმაციის მიწოდება.

გიორგი თევზაძე შეეხო ასევე მოძრაობა „ჯავახკის" ანტიქართულ განცხადებებს და განაცხადა:

— მოძრაობა „ჯავახკის" ანტიქართული განცხადებები საზოგადოებისთვის ცნობილი და დამაფიქრებელია, რის გამოც კომპეტენტური ორგანოების მიერ შესასწავლია მათი საწესდებო მიზნები და საქმიანობა კანონშესაბამისობის თვალსაზრისით.

გიორგი თევზაძის განცხადებით, ასევე შესასწავლია ორგანიზაცია „ჯავახკის" საქმიანობა რეგიონული და სახელმწიფოებრივი უსაფრთხოების თვალსაზრისით. „ეს სავარაუდო საფრთხეები იკვეთება ახლად გათავისუფლებული ვახან ჩახალიანის მიერ გაკეთებული განცხადებებიდან. ბუნებრივია, მხოლოდ განცხადებები დანაშაულს არ წარმოადგენს და მხოლოდ მოსაზრებებისთვის პასუხისმგებლობა არავის ეკისრება, მაგრამ ამ განცხადებების შინაარსი საგულისხმოა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და უსაფრთხოების თვალსაზრისით", — აცხადებს უფლებადამცველი გიორგი თევზაძე.

უფლებადამცველი ასევე აცხადებს, რომ მისი ორგანიზაცია არ დაარღვევს არც ერთი პირის, მათ შორის, არც ვახან ჩახალიანის მიმართ უდანაშაულობის პრეზუმფციას და მას არ შერაცხავს იმ დანაშაულების ჩამდენად, რომელზეც ჯერ არ დამდგარა გამამტყუნებელი განაჩენი.

ამიტომ, გიორგი თევზაძის განცხადებით, ნებისმიერი ხელისუფლების პირდაპირი ვალდებულებაა, სრულად უზრუნველყოს ყველა კანონსაწინააღმდეგო ქმედებაზე კანონის ფარგლებში ადეკვატური რეაგირება, თუ ამის საფუძველი არსებობს.

— ხელისუფლებას მოეთხოვება, ერთი მხრივ, უზრუნველყოს ამნისტიის კანონის უზენაესობა, ხოლო მეორე მხრივ საფუძვლიანად და ობიექტურად გამოიძიოს ვახან ჩახალიანისა და სხვა პირთა ყველა ის ქმედება, რომელიც კონკრეტული დანაშაულის ნიშნებს შეიცავს და რომლებზეც რეაგირება დღემდე არ მომხდარა, თუ ასეთს ჰქონდა ადგილი. ეს არის ხელისუფლების პასუხისმგებლობის საკითხი დღევანდელი და მომავალი თაობების მიმართ.

— ობიექტური გამოძიება და სათანადო რეაგირება, გარდა კონკრეტული დანაშაულისთვის პასუხისმგებლობის დაკისრებისა, წარმოადგენს პრევენციას შემდგომი საფრთხეების თავიდან ასაცილებლად. მით უმეტეს, საქართველოს აქვს საკმაოდ მძიმე მემკვიდრეობა და გამოცდილება საქართველოს უახლესი ისტორიიდან. მაგალითისთვის შესაძლებელია გავიხსენოთ „ადამონ ნიხასის" საქმიანობა, რომელიც დაიწყო საკმაოდ უწყინარი, „ბაქტერიოლოგიური" კვლევის ჩამტარებელი ორგანიზაციით და, ხელისუფლების უყურადღებობისა თუ სხვა მიზეზების გამო, გადაიქცა საკმაოდ აგრესიულ, ანტიქართულ მოძრაობად, — ასე იხსენებს გიორგი თევზაძე ჩვენი ისტორიიდან, კერძოდ, აფხაზეთთან დაკავშირებული ერთი კონკრეტული ანტიქართული ორგანიზაციის წარმოშობასა და „მოღვაწეობას".

გიორგი თევზაძე ამბობს, რომ ამ განცხადებით ის არ აკეთებს რაიმე მინიშნებას, არამედ მიუთითებს ხელისუფლების ვალდებულებაზე, სწორი და დროული რეაგირება მოახდინოს მსგავს მინიშნებებზე.

— ეს იქნება მოქმედი ხელისუფლების მიმართ ტესტი კანონის უზენაესობის უზრუნველყოფაზე, რაც შედის როგორც ქვეყნის უსაფრთხოების, ასევე ორი მოძმე ერის, ქართველებისა და სომხების მშვიდობიანი თანაცხოვრების ინტერესებში, — ასეთია უფლებადამცველ გიორგი თევზაძის პოზიცია.

# ალეპოში 65 გვამი აღმოაჩინეს

სირიის ქალაქ ალეპოში, 65 დახვრეტილი ადამიანის გვამი აღმოაჩინეს. ამის შესახებ „როიტერი" იუწყება.



სირიის ადამიანთა უფლებადამცველი ობსერვატორიის განცხადებით, გვამები მეამბოხეების მიერ კონტროლირებად ბუსთან ალ-ქასრის გარეუბანში, მდინარე ქუვაიქის სანაპიროზე იპოვეს. გვამები წყალმა გამორიყა. ყველა მათგანს ხელები ზურგს უკან თოკით შეკრული ჰქონდა და სხეულზე იარაღით მიყენებული ჭრილობები ემჩნეოდა.

„თავისუფალი სირიის არმიის" კაპიტნის თქმით, მოკლულთა შორის არიან თინეიჯერებიც. მისივე თქმით, არ არის გამორიცხული წყალმა გვამები კიდევ გამორიყოს და მათი რიცხვი 100-დე გაიზარდოს.

სირიის მეზობელ ქვეყნებში 700 000-ზე მეტი სირიელი ლტოლვილია დარეგისტრირებული. გაერომ აღნიშნულის შესახებ დღეს გააკეთა განცხადება.

„ჩვენ, სირიის ყველა საზღვარზე ლტოლვილთა უზარმაზარ ნაკადს ვხედავთ. მათ, დასარეგისტრირებლად ორმაგ ცვლაში ვმუშაობთ", — განაცხადა გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისრის წარმომადგენელმა სიბელა ვილიქსმა.

იორდანიაში 167,444 სირიელი ლტოლვილია დარეგისტრირებული; 51, 729 კი ამ პროცესს ელოდება. ლიბანში უკვე 157,139 სირიელი ლტოლვილია, ამ პროცესს კი 69 000 ელოდება. თურქეთი 163,161 ლტოვილს მასპინძლობს, ერაყი კი-77,415-ს. გაეროს სააგენტოს ცნობით, 14,312 ლტოლვილია ეგვიპტეში დარეგისტირებული.

მოამზადა გურა მამულაშვილმა

დასაწყისი მე-12 გვერდზე

# ვინ შეცვლის თამარ ტატიშვილს?

მართულება და ადმინისტრაციული მიმართულება. ეროვნული კინოცენტრი თავის საქმიანობას დამოუკიდებლად ახორციელებს. მას ხელმძღვანელობს დირექტორი, რომელსაც ნიშნავს საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვის და სპორტის მინისტრი 3 წლის ვადით. დირექტორს ეკისრება კინოცენტრის მართვის, ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობის ფუნქციები. ეროვნულ კინოცენტრში დასაქმებულია ოცამდე ადამიანი. ქართული პროდუქციის მხარდასაჭერად კინოცენტრმა 9 წლის განმავლობაში დაახლოებით 6 მილიონი ლარი დახარჯა, რაც ქართული კინობაზრისთვის მნიშვნელოვანი თანხაა, – ნათქვამია ეროვნული კინოცენტრის ოფიციალურ ვებგვერდზე.

ეროვნული კინოცენტრის ხელმძღვანელის ვადის ამოწურვის მოახლოებასთან დაკავშირებით, საზღვარგარეთ მოღვაწე ქართველმა რეჟისორმა ოთარ იოსელიანმა სოციალურ ქსელ „ფეისბუქში“ ეროვნული კინოცენტრის მხარდასაჭერად საგანგებო განცხადება გაავრცელა, რომელშიც ნათქვამია:

„ვინაიდან მე ეროვნული კინოცენტრის ხელმძღვანელის არჩევნებს ვერ დავესწრები, ჩემს კოლეგებს მინდა შევატყობინო შემდეგი: ვფიქრობ, ბოლო ათეული წლების განმავლობაში მომხდარი ქართული კინემატოგრაფიის აღორძინება უეჭველი შედეგია ეროვნული კინოცენტრის მოღვაწეობის და მის მიერ საავტორო კინოს აქტიური მხარდაჭერისა. უაღრესად დადებითად ვაფასებ საქართველოს ეროვნული კინოცენტრის გუნდის მოღვაწეობის შედეგებს. დღეისათვის კინოცენტრმა ფაქტიურად ჩაანაცვლა კინოკავშირის ფუნქციები, რომელიც უკვე, სულ ცოტა, 15 წელია, სრულიად უმოქმედოა. რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, კავშირში აღარ ტარდება კინემატოგრაფისტების შეხვედრები, ფილმების ჩვენება და განხილვა, ქართული კინონაწარმოებების წარდგენა საერთაშორისო არენაზე, უცხოელი კოლეგების მოწვევის დაფინანსება, ფესტივალებისა და სხვა ღონისძიებების მოწყობა, ჩვენი კავშირი დიდი ხანია არ მონაწილეობს ეროვნულ კინოპროცესში, მან ვერ დაიცვა ჩვენი კინემატოგრაფიის ტექნიკური და მატერიალური ბაზა განიავებისაგან, ეს ეხება კინოსტუდიის შენობებს, კინოთეატრებს, ტექნიკურ აღჭურვილობას, ლაბორატორიას, საამქროებს და ა.შ. როგორც ვიცი, ბოლო ორი ათეული წლის განმავლობაში კავშირს ახალი წევრები არ შემატებია, ვინაიდან კავშირის წევრობამ ჩვენი კოლეგებისთვის აზრი დაკარგა. დღეისათვის ყოველივე ამას წარმატებით უძღვება ეროვნული კინოცენტრი, რომლის მოღვაწეობა დიდად დააფასა „ევრიმაჟის“ გამგეობამ, რის შედეგადაც საკმაოდ ძნელი საზღვარი გადავლახეთ და გავხდით ამ მნიშვნელოვანი ორგანიზაციის წევრი. მე იმედს ვამყარებ კინოცენტრის „ევრიმაჟში“ გაწევრიანებაზე, რადგან ამ ორგანიზაციის ერთ-ერთი მიზანი არის მცირე ქვეყნების კინემატოგრაფიული პროცესის განვითარების ხელშეწყობა. არ უნდა დავივიწყოთ, რომ საბჭოთა კავშირის დროს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ქართულ კინოზე თანხების გამოყოფა მოსკოვის კინოკომიტეტის ნებართვით ხდებოდა. „გოსკინო“ ამტკიცებდა სცენარებს, აკონტროლებდა ფილმების შინაარსობრივ და ფინანსურ მხარეს, „გოსკინო“ აქირავებდა კიდევაც ჩვენს ფილმებს რუსეთში და სხვა რესპუბლიკებში, ყიდდა საზღვარგარეთ, მოგების ნაწილს კი რუსულ და სხვა რეგიონულ კინემატოგრაფიას ახმარდა. რა არის ეს, თუ არა კოპროდუქციის სისტემა, სრული ამ სიტყვის მნიშვნელობით? ბოლო-ბოლო, ძლივს მოვიცილეთ თავიდან ამ დაწესებულების ქართულ ფილმებზე იდეოლოგიური და შემოქმედებითი მხარის კონტროლი. როგორც დავაკვირდი კინოცენტრის საქმიანობას, მისი დირექტორი თამარ ტატიშვილი არც ერთი კლანის დიქტატს არ ემორჩილებოდა. მე მას ვაფასებ, როგორც განათლებულ და საქმის მცოდნე ხელმძღვანელს და მხარს ვუჭერ მის ამ პოსტზე მუშაობის გაგრძელებას. ცნობისთვის, გავიხსენოთ ჩვენი ეროვნული კინოცენტრი შექმნილია და ფუნქციონირებს საფრანგეთის ეროვნული კინოცენტრის გამოცდილების საფუძველზე. საფრანგეთის საავტორო კინოს მხარდაჭერის სისტემა ევროპაში უნიკალურია – ფილმების პროექტები განიხილება ცენტრის მიერ დანიშნული კომისიების მიერ. კომისიების შემადგენლობა იცვლება ყოველ ორ წელიწადში. ამ კომისიის გადაწყვეტილების შესაბამისად, ცენტრი ფინანსურად მონაწილეობს თითოეული აღიარებული პროექტის ბიუჯეტის თანხის 25-30 პროცენტის ფარგლებში, რაც არსებული წესით არ სცილდება 300.000 ევროს, ხოლო იშვიათ შემთხვევაში მაქსიმალური თანხა აღწევს 500.000 ევროს. ვინაიდან აღნიშნული თანხა ფილმის წარმოებისთვის არ არის საკმარისი, ევროპული კინოს მხარდაჭერის მიზნით შექმნილი ორგანიზაცია „ევრიმაჟი“ აფინანსებს ფილმებს იმ პირობით, რომ როგორც მინიმუმ კიდევ ერთი ქვეყანა მონაწილეობს ამა თუ იმ ფრანგული ფილმის წარმოებაში, რაც დამატებით შეადგენს ფილმის საერთო ბიუჯეტის 20-25 პროცენტს. ამის გარდა, ფრანგული ტელევიზია ვალდებულია მიიღოს ფულადი მონაწილეობა, მინიმუმ 10-15 პროცენტით, კინოცენტრის მიერ წარდგენილ პროექტებში. ყოველივე ამას ემატება რეგიონების, ბანკების და სხვა წყაროების ფინანსური მონაწილეობა. ფრანგული ეროვნული ცენტრის ფინანსური წყარო არის ყველა ფილმის ფრანგულ კინოთეატრებში და ტელევიზიით კომერციული ჩვენების შედეგად გამქირავებლების, დისტრიბუტორების მიერ მოგებული თანხის 11 პროცენტი. სახელმწიფო ფილმების წარმოების დაფინანსებაში არ მონაწილეობს. სამაგიეროდ, დამთავრებული ფილმის შექმნაზე დანახარჯის შეჯამების შემდეგ, საფრანგეთის ფინანსთა სამინისტრო პროდიუსერებს უნაზღაურებს კინოინდუსტრიის – აპარატურა, ლაბორატორია, ტექნიკოსების ხელფასი მონაწილეობაზე დახარჯული თანხის 20-30 პროცენტს. აქედან გამომდინარე, სახელმწიფოს მონაწილეობა ფილმების შექმნაში თანხობრივად იმდენად მცირეა, რომ საფრანგეთის საკმაოდ ძლიერი კინოწარმოების სისტემა სხვა ქვეყნების და ევრიმაჟის მონაწილეობას გვერდს ვერ აუვლის, მით უმეტეს, თუ ეს ეხება საავტორო და დამოუკიდებელი კინოს სფეროს. მინდა ხაზი გავუსვა ერთ მნიშვნელოვან გარემოებას – საფრანგეთის კინოცენტრის კომისიის მიერ ფილმების სცენარების დამტკიცების კატეგორიული პირობა არის ის, რომ ფილმი უნდა იყოს ფრანგული, დიალოგების არანაკლებ 70 პროცენტი მშობლიურ ენაზე. ვშიშობ, ნაჩქარევი რეორგანიზაციის შედეგად არ დაიშალოს არსებული ეროვნული კინოცენტრის სტრუქტურა, რადგან მიმაჩნია, რომ ეს დაწესებულება სერიოზულ და სამაგალითო ორგანიზაციად ჩამოყალიბდა. პატივისცემით, ოთარ იოსელიანი“.

ეროვნულ კინოცენტრში განმარტეს, რომ ტერმინი „არჩევნები“ არ არის სწორი. ეროვნულ კინოცენტრში არჩევნები არ ტარდება, ვინაიდან ის არის კულტურის სამინისტროს დაქვემდებარებაში, ამიტომ კულტურის სამინისტრო, სავარაუდოდ, გამოაცხადებს კონკურსს, სადაც მიიღება მსურველი კანდიდატების მონაცემები და შემდეგ უკვე ერთობლივი გადაწყვეტილებით შეირჩევა საუკეთესო, რომელიც ეროვნულ კინოცენტრს ჩაუდგება სათავეში.

– არჩევნები ეროვნულ კინოცენტრში არ ჩატარდება. კანდიდატურებს ექნებათ განაცხადის წარდგენის საშუალება და საუკეთესო უხელმძღვანელებს ეროვნულ კინოცენტრს. კონკურეტულად როდის მოხდება ეს, ჯერჯერობით ამის შესახებ ინფორმაცია არ გვაქვს. ეს კულტურის სამინისტროს პრეროგატივაა, როგორც კი კონკურსი გამოცხადდება, ყველაფერი მაშინ გახდება ცნობილი, – განაცხადეს ეროვნულ კინოცენტრში.

ეროვნული კინოცენტრის ხელმძღვანელ თამარ ტატიშვილის თქმით, ის არ აპირებს, ამ თანამდებობაზე მეორე ვადით იმუშაოს და 25 თებერვალს გურამ ოდიშარია ახალ დირექტორს წარადგენს.

**თამარ ტატიშვილი, ეროვნული კინოცენტრის ხელმძღვანელი:**

– რადიკალური ცვლილებები არ დამდგარა, ამ კუთხით რომ დავაპოზიციროთ, არ იქნება სწორი. ყველამ ჩემზე კარგად იცით, რომ ჩატარდა რამდენიმე მრგვალი მაგიდა კულტურის სამინისტროში. ეს არ იყო მარტო კინოს სფერო, არამედ კულტურის სხვადასხვა სფეროს მოიცავდა, რომელიც კულტურის სამინისტროს მანდატის ქვეშ არის მოქცეული. ზოგისთვის ეს შეხვედრები იყო საინტერესო, ზოგისთვის – ნაკლებად, რამდენად უნდა ვითარდებოდეს ქართული კინო იმ ფორმით, როგორითაც ხდება ევროპული კინოს სუბსიდირება, ის, რაც არის ზოგადად ჩვენი მოდელი, ჩვენი კოპროდუქციის პრიორიტეტი, მაგრამ ეს განხილვები დარჩა მრგვალი მაგიდის ფორმაში და რეალურად თანამშრომლობა კულტურის მინისტრთან, მის ჯგუფთან მიდის სამუშაო რეჟიმში და მოხდება თუ არა რაიმე ცვლილება, რეალურად ვნახავთ. კინოცენტრი არ გეგმავს სტარტეგიული განვითარების კურსით რადიკალურ ცვლილებებს, გვექნება იგივე პრიორიტეტები, რაც იყო ადრე. ჩვენი საქმიანობის მიმართულებები არის შეჯერებული და მოწონებული მსოფლიოში არსებული და საკმაოდ მნიშვნელოვანი და წამყვანი ორგანიზაციების მიერ, მაგალითად, როგორიც არის ევროპული კინოს პრომოუშენი, ფონდი ევრიმაჟი, საფრანგეთის ეროვნული კინოცენტრი, რომელთანაც თავიდან ვაწერთ ხელს ორმხრივ შეთანხმებას, განვითარება კინოპროექტების, ანუ სასცენარო განვითარება ისევ დარჩება კინოცენტრის პრიორიტეტად. კვლავ მოხდება ქართული ფილმების დაფინანსება ეროვნულ დონეზე და ასევე კოპროდუქციების დაფინანსება.

***– დარჩებით ეროვნული კინოცენტრის ხელმძღვანელად მეორე ვადით?***

– ისეთივე ფორმით დარჩენას, როგორი ფორმითაც ვმუშაობდი კინოცენტრში ბოლო სამი წლის განმავლობაში, გამოვრიცხავ. ეს უკვე არის პირადად ჩემი სხვა გეგმებიდან გამომდინარე და არანაირად არ უკავშირდება კულტურის სამინისტროს ან ნებისმიერ სხვა ორგანიზაციას, თუმცა რაღაც ფორმით კინოცენტრთან თანამშრომლობას აუცილებლად შევინარჩუნებ, მაგრამ, როგორ მოხდება თანამშრომლობა, ამაზე საუბარი შემდეგ კვირაში შედგება.

***– რატომ ამბობთ უარს ამ თანამდებობაზე?***

– ვერ ვიტყვი, რომ კულტურის სამინისტროს მხრიდან მსგავსი მინიშნება, მოდით, ასე დავარქვათ, მივიღე კონკურეტულად ჩემი ამ შემთხვევაში, როგორც ეროვნული კინოცენტრის დირექტორის ცვლილებასთან დაკავშირებით, ეს არ ყოფილა, მაგრამ თავისთავად არსებობს ის მოცემულობა, რომ კინოცენტრის დირექტორი ინიშნება 3 წლით, მე 2010 წლის 25 თებერვლიდან ვხელმძღვანელობ ამ ორგანიზაციას და ჩვეულებრივად 2013 წლის 25 თებერვალს ვადა გამდის, ამიტომ კულტურის მინისტრი კანონით არის ვალდებული, რომ დანიშნოს კინოცენტრის დირექტორი. ეს კონსულტაციებით მოხდება, პირდაპირი დანიშვნის წესით თუ როგორ, ამაში მინისტრი თავისუფალია. ამ ეტაპზე, ზუსტად იმიტომ, რომ არ შეჩერდეს მუშაობა და ის პროექტები, რომლებიც დაწყებულია, მივიდეს ბოლომდე, ვმართავ მოლაპარაკებებს კულტურის სამინისტროსთან და ალბათ თებერვლის შუა რიცხვებამდე მაინც უნდა გამოიკვეთოს, როგორი იქნება შემდგომი კურსი.

***– 7 თებერვალს ბერლინალეს კინოფესტივალი იხსნება.***

– ორი ძალიან საინტერესო და ყველასთვის გასახარი თემა ბერლინალესთან არის კავშირში. ეს არის ორი ქართული დებიუტი – ნანა ექვთიმიშვილის „გრძელი ნათელი დღეები“ და ზაზა რუსაძის „ჩემი საბნის ნაკეცი“, რომელიც ორივე არის ბერლინალეს ოფიციალურ პროგრამებში. ერთი არის გახსნის ფილმი, პანორამის ფილმი და ეს ნიშნავს, რომ ბერლინალეს ოფიციალური სექცია 7 თებერვალს იხსნება ქართული ფილმით.

***– რა ეტაპზეა ფილმ „ეპიკის“ გადაღებები?***

– ამჟამად მიმდინარეობს ძალიან დიდი ფილმის წარმოება, ეს არის პირველი ქართულ ბრიტანული ოფიციალური თანამშრომლობა, ამ ფილმში ასევე ჩართულია გერმანია და რუსეთი, როგორც ქვეყნები. ეს არის ბენ ჰოპკინსის უფრო მასშტაბური და კომერციული ფილმი „ეპიკი“. აქ არიან დასაქმებული მსახიობები, რომლებიც არ ქმნიან გარკვეულ ვარსკვლავურ ჯგუფს ამ ფილმში. ბენ ჰოპკინსის არის აღიარებული რეჟისორი. მისი ნამუშევრები იყო ბერლინში, ასევე სტამბოლის კინოფესტივალზე. რეალურად კინოცენტრის მიდგომა იმაში გამოიხატება, რომ, ერთი მხრივ მუშაობს უცხოელ რეჟისორებთან, რომელთა მეშვეობითაც საქართველოში შემოდის უცხოური თანხა, იხარჯება საქართველოში, მაგრამ, ამავდროულად, ხდება საქართველოს გადასაღები ტერიტორიების პრომოუშენი საზღვარგარეთ და, მეორე მხრივ, უჭერს მხარს ქართველ რეჟისორებს, როგორებიც არიან ზაზა რუსაძე, ნანა ექვითიმიშვილი, თინათინ გურჩიანი, თუნდაც ზაზა ურუშაძე, რომელიც სულ მალე წარადგენს ახალ ფილმს. ესეც იქნება თანამედროვე საქართველოში პირველი ესტონურ-ქართული კოპროდუქცია და მას ჰქვია „მანდარინები“.


**კოსმეტოლოგი ლამარა თოდუა თავის მრავალწლიანი გამოცდილებით და მამა-პაპური გამოცდილების მცენარეული რეცეპტურით კანის უამრავ დაავადებას არჩენს.**

სახის კანის გაწმენდა ხდება ახალი და ძველი რეცეპტურით. მყავს ათასობით მადლიერი პაციენტები. ვარჩენ გამონაყარს, მეჭეჭებს, დამწვრობას, სებორეას, ჰაიმორიტ-ფრონტიტს, თმის ცვენას, ქერტლს, ერთი პროცედურით ვაშორებ ტილებს. ვარჩენ სოკოს, ქავილს, ჩაბრუნებულ ფრჩხილებს, მაზოლებს, ძირმაგარებს, ნაიარევს. ახალნამშობიარებ დედებს მოვურჩენ მასტიტს, გამაგრებას. ნებისმიერი კანისთვის ვამზადებ მკვებავ და დამცავ კრემებს.

მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ.№166, №10 კორპუსის წინ დ№1 კორპუსის უკან. 230 62 52; 599 16 10 82.

## SMS-განცხადებები – 3090

● ცენტრალური გათბობა უმოკლეს დროში (2-3 დღე)! საუკეთესო ფირმების („ბოშისა“ და „არისტონის“) ქვაბებით, საუკეთესო მასალით, გარანტიითა და ოპტიმალური ფასებით – მაღაზიისა და ბაზრის პრეისკურანტებით. ტელ: 595-67-82-62, 267-82-62 – ემზარ ამნიაშვილი.

## განცხადებები

● ძლიერ დაქვეითებული სმენის, ნევრიტის, ოტიტის, ოსტეოქონდროზის, პროსტატიტის, ცისტიტის, ხშირი შარდვის, წითელი ქარის და სხვა დაავადებების განკურნება უმოკლეს დროში ბიოენერგოინფორმაციული მასაჟის უნიკალური მეთოდით, ასაკის მიუხედავად, არასკეპტიკოსებისთვის. მიღება შეზღუდულია წინასწარი ჩაწერით. ტრადიციული სამედიცინო საქმიანობის მართვის ცენტრთან არსებული საზოგადოების წევრი, სერთიფიცირებული დამსახურებული სახალხო მკურნალი ლევან სეხნიაშვილი. ტელ: 599-978-546; 551-254-535.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის, შარდვის პრობლემების (გახშირებული, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი ენურიზი ბავშვებში და მოზრდილებში) მკურნალობა უნიკალური მცენარეული პრეპარატებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-25-44-14 ან 234-02-38 ექიმი ქ-ნი მზია.

● ალკოჰოლიზმისგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნევროზების, შიშების, უძილობის, დეპრესიის მკურნალობა, ორგანიზმის გაწმენდა მცენარეული პროდუქციით, შედეგები 100%-იანია. ტელ: 599-25-44-14; 599-25-44-14 ექიმი ქ-ნი მზია.

● მამაკაცებისათვის: იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, უნებლიე შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი შარდვისას. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგებით. ტელ: 558-96-89-15; 234-02-38 ექიმი, ქ-ნი მეგი.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სწრაფი გათავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნერვული სისტემის მოწესრიგება, ღვიძლის ფუნქციის აღდგენა. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგით. ტელ: 558-96-89-15; 234-02-38 ექიმი, ქ-ნი მეგი.

● კუჭ-ნაწლავის პრობლემების: გასტრიტი (მწვ. და ქრო.), კოლიტი, ენტერიტი, ყაბზობა, დისბაქტერიოზი. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. ორგანიზმის გაწმენდა, იმუნიტეტის გაძლიერება. 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-96-44-94; 234-02-38 ექიმი ქ-ნი სალომე.

● ძვალსახსართა პრობლემის მკურნალობა – ოსტეოპოროზი, ართრიტები, კოქსართროზი, დაზიანებული ხრტილის აღდგენა, ტკივილის სინდრომის მოხსნა, მკურნალობა მცენარეული საშუალებებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 234-02-38; 558-15-63-33 ექიმი ქ-ნი ნინო.

● ცხადდება მიღება მასაჟისა და კოსმეტოლოგიის კურსებზე, დამთავრების შემდეგ გაიცემა სერთიფიკატი. ხელმძღვანელი ექიმი გულიკო ჩიკვილაძე. ტელ: 2-96-67-03; 595-35-64-13.

**ფოთისა და ხობის მიტროპოლიტ გრიგოლის კურთხევით 2009 წლის ივლისიდან მიმდინარეობს ხობის მონასტრის უძველესი ტაძრის სარესტავრაციო-აღდგენითი სამუშაოები**

თუ გსურთ, მიიღოთ მონაწილეობა მიმდინარე სამუშაოების განხორციელებაში, დარეკეთ ყველა მობილური ოპერატორიდან და ქალაქის ფიქსირებული ქსელებიდან ნომერზე: 0-901-900-900.

ზარის ღირებულება - 1 ლარი.

იცხოვრეთ მომავალისთვის.
უფალი გფარავდეთ ყველგან და ყოველთვის.




**საბანკო რეკვიზიტები:**

ფოთისა და ხობის ეპარქია, ს/ნ 215 090 425
ხობი, სოფ.ნოჯიხევი
ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტერი.
ს.ს. „ლიბერთი ბანკის“ ხობის ფილიალი
ბ/კ: LBRTGE22
ანგ. N GE28LB 0122 1802 48686 000



თანხის ჩასარიცხად შეგიძლიათ გამოიყენოთ სწრაფი გადახდის აპარატები: იხილეთ მენიუში – სხვადასხვა – საქველმოქმედო – ხობის მონასტერი.

ხობის ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტრის წინამძღვარი იღუმენია ანა (მუსელიანი)

# დინამო ნაგებას ბოლო წუთზე გადაურჩა

თურქეთში შეკრებაზე მყოფმა თბილისის „დინამომ“ მე-3 საკონტროლო მატჩი უკრაინის პრემიერლიგის მარიუპოლის „ილიჩივეცთან“ გამართა და ფრედ, 2:2 ითამაშა.

„ილიჩივეცის“ სასტარტოში იყო საქართველოს ეროვნული ნაკრების ნახევარმცველი დავით თარგამაძე.

„დინამომ“ ანგარიში 31-ე წუთზე გახსნა, როდესაც ლევან ხმალაძის პასის შემდეგ, გიორგი მერებაშვილმა ბურთი მკერდზე მიიღო, მეტოქის საჯარიმოში ორ მცველს გასცდა და მარიუპოლელთა მეკარეს დაბალ კუთხეში გაუტანა.

შესვენების შემდეგ „ილიჩივეცის“ რიგებში თარგამაძე აღარ გამოჩენილა, მაგრამ თამაშში თორნიკე ოქრიაშვილი ჩაერთო და საკმაოდ აქტიურადაც, ხოლო გიორგი ჯგერენაია ბოლომდე სათადარიგოთა სკამზე დარჩა.

55-ე წუთზე, ოქრიაშვილმა ასისტენტობა ბუდკოვსკის გაუწია, რომელმაც საპასუხო გოლი გაიტანა. ანგარიშის გათანაბრებიდან ერთ წუთში, ოქრიაშვილის პასის მერე, დინამოელებმა თამაშის წესი კრავჩენკოზე დაარღვიეს. პოლიანსკიმ საჯარიმო ძლიერად და ზუსტად შეასრულა – 2:1.

90-ე წუთზე, მეტოქის საჯარიმოში შესული შინდაგორიძე უკრაინელთა მცველმა ორდეცმა წააქცია. მსაჯმა პენალტი დანიშნა, რომელიც მერებაშვილმა გოლად გარდასახა – 2:2.

„დინამომ“ შემდეგი შემადგენლობით ითამაშა: ლორია, ხოჭოლავა (კოტო 46), რეხვიაშვილი, კვარაცხელია (შაშიაშვილი 46), ძარია (ტატანაშვილი 73), ხმალაძე (კვეკვესკირი 46), სეთურიძე (მენდი 75), მილხრაუმი, მერებაშვილი, ალვარო, დვალი (შინდაგორიძე 69).

საფეხბურთო კლუბი „ზესტაფონიც“ თურქეთშია და ახალი სეზონისთვის ემზადება. ანატოლიაში იმერლები 13 თებერვლამდე დაჰყოფენ და ამხანაგურ მატჩებსაც გამართავენ.

საგაზაფხულო ბატალიებისათვის მომზადების მეორე ეტაპის გასავლელად, მარგველთა დამრიგებლმა კახა კაჭარავამ თურქეთში შემდეგი 24 ფეხბურთელი იახლა:

მეკარეები: როინ კვასხვაძე, კახაბერ მეშველიანი, რომან ტურავა;

მცველები: თეიმურაზ ღონღაძე, გიორგი კაჭკაჭიშვილი, თორნიკე გრიგალაშვილი, თედორე გრიგალაშვილი, მალხაზ გაგოშიძე;

ნახევარმცველები: თორნიკე აფციაური, ალექსი ბენაშვილი, თორნიკე გორგიაშვილი, შოთა ბაბუნაშვილი, ლევან შარიქაძე, გურამ სამუშია, დავით რაჟამაშვილი, ვახტანგ ჭანტურიშვილი, იგორ იელიჩი, ავთო ენდელაძე, გიორგი ჭანკოტაძე, ლევან კუტალია, მიხეილ სარდალიშვილი;

თავდამსხმელები: რატი წინამძღვრიშვილი, ბოტი გოა დემელი, მოჰამედ რეკრუკი.

პირველ დღეს გუნდმა სიდეში პირველი ვარჯიში გამართა. გუშინდელი დღიდან კი კახა კაჭარავამ გუნდი ორჯერადი ვარჯიშების რეჟიმზე გადაიყვანა.

საქართველოში მყოფმა ქუთაისის „ტორპედომ“ საკონტროლო მატჩი წყალტუბოს „სამგურალთან“ გამართა. ქუთათურებმა მეტოქე 7:0 დაამარცხეს. შეხვედრაში ანგარიში მე-9 წუთზე გიორგი ონიანმა გახსნა, რომელმაც თავური დარტყმით გუნდის მაისურით პირველად გაიტანა – 1:0. 25-ე წუთზე ნიკა საბანაძემ ასევე თავური დარტყმით ანგარიში 2:0 გახადა.

ამით თამაშის სასტარტო შემადგენლობის ფეხბურთელებმა საგოლე დარტყმები „დაამთავრეს“ და ჯერი შეცვლაზე შესულებზე მიდგა. 58-ე წუთზე პენალტი გიორგი კუხიანიძემ გამოიყენა – 3:0. ვახტანგ კვარაცხელიამ დასწრებაზე თამაშით ანგარიში 4:0 გახადა. 74-ე წუთიდან კი ჰეთ-თრიქი მიითვალა 19 წლის გიორგი ფანცულაიამ. საბოლოო ანგარიშიც 7:0 დაფიქსირდა.

ახალ მოსამზადებელ ეტაპამდე ქუთაისის „ტორპედო“ 2 დღით დაისვენებს, რის შემდეგაც ესპანეთში გაემგზავრება. „მარბელას თასზე“ პირველ მატჩს კი ბუქარესტის „რაპიდთან“ 4 თებერვალს გამართავს.

ცნობილია იმ ფეხბურთელთა სია, რომლებიც ჩვენს გუნდთან ერთად უცხოურ შეკრებაზე გაემგზავრებიან. ესენი არიან:

მეკარეები: მაქსიმე ქვილითაია, ომარ მიგინეიშვილი, დავით კუპატაძე;

მცველები: ვაჟა ტაბატაძე, ბიძინა ცინცაძე, გიორგი გურული, გიორგი ონიანი, დათა რიგვავა, ზაზა ჭელიძე;

ნახევარმცველები: ნიკა ფირცხალავა, მერაბ გიგაური, გიორგი კუხიანიძე, თეიმურაზ მარკოზაშვილი, გოგი გოგიჩაიშვილი, ელგუჯა გრიგალაშვილი, გრიგოლ დოლიძე, გიორგი დათუნაიშვილი, ნიკა ახვლედიანი, ვალერი ბოლქვაძე;

თავდამსხმელები: ნიკა საბანაძე, გიორგი ბერიაშვილი, გიორგი ფანცულაია, ვახტანგ კვარაცხელია, ბექა ტუღუში.

# საქართველოს ნაკრების შემადგენლობა ცნობილია

2-3 თებერვალს, სპორტის სასახლეში ჩასატარებელ საერთაშორისო ტურნირი გაიმართება. მსოფლიოს თასად წოდებულ შეჯიბრებას ამჯერად ევროპის ღია პირველობა დაერქვა.

საქართველოს ძიუდოს ფედერაციის ცნობით, ქართულ ტატამზე იაპონელი, ფრანგი, ჰოლანდიელი, რუსი, ინგლისელი, ბელარუსი, ბულგარელი, კანადელი, ირანელი, ავსტრალიელი, სომეხი, ლიტველი, რუმინელი, ინდოელი და ბერძენი ძიუდოისტები გავლენ.

განაცხადების მიღება 1 თებერვლამდე გაგრძელდება და ტურნირში მონაწილეობის მსურველთა რაოდენობა შესაძლოა, კიდევ გაიზარდოს, თუმცა ნაკლებ სავარაუდოა. თბილისში უძლიერესი შემადგენლობების ჩამოსვლას არ უნდა ველოდოთ, თუმცა თუნდაც მეორე, მესამე და მეოთხე ნომრებით დაკომპლექტებული გუნდების სტუმრობაც არ უნდა იყოს უინტერესო.

საქართველოს ნაკრები კი შინაურ ტურნირზე ტრადიციულად, ოთხი შემადგენლობით გამოვა.

საქართველოს ძიუდოისტთა ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ირაკლი უზნაძემ თბილისის საერთაშორისო ტურნირზე დასაყენებელი შემადგენლობა დაასახელა. ტატამზე ერთი თვის წინ ჩატარებული საქართველოს ჩემპიონატის მედალოსნებით დაკომპლექტებული გუნდი გავა. ნაკრების თავკაცმა გამონაკლისი მხოლოდ გუნდის ორი გამოცდილი წევრისთვის, ავთანდილ ჭრიკიშვილისა (81 კგ) და ვარლამ ლიპარტელიანისთვის (90 კგ) დაუშვა. მათ ნაცვლად თბილისურ ტურნირზე ლაშა ზურაბიანი (81 კგ) და ჯუმბერ გიგაური (90 კგ) იჭიდავებენ.

– ჭრიკიშვილი და ლიპარტელიანი 9-10 თებერვალს გასამართ პარიზის დიდ სლემზე იჭიდავებენ. იქვე იჭიდავებს ლაშა შავდათუაშვილიც. სულ პარიზში თოთხმეტი სპორტსმენით ჩავალთ, მაგრამ ამ ეტაპზე მხოლოდ სამის ვინაობაა ცნობილი. საბოლოო განაცხადს თბილისური ტურნირის შედეგების მიხედვით შევავსებ. საკუთარ კედლებში საქართველოს ნაკრები ტრადიციულად 4 შემადგენლობით გამოვა და ტრადიციულადვე, თავის გამოჩენის შანსი ეროვნული პირველობის ჩემპიონ-პრიზიორებს მიეცემათ, – აცხადებს უზნაძე.

საქართველოს ნაკრების შემადგენლობა ასეთია:

60 კგ: ვაჟა მარგველაშვილი; ამირან პაპინაშვილი; პაატა მერებაშვილი; გიორგი ბროლაშვილი;

66 კგ: ტრისტან ფეიქრიშვილი; მინდია ლილუაშვილი; ვანო თოთლაძე; თორნიკე თათარაშვილი;

73 კგ: ნუგზარ ტატალაშვილი; არსენ მაჭარაშვილი; ზებედა რეხვიაშვილი; გიორგი პაპუნაშვილი;

81 კგ: პაატა ღვინიაშვილი; ლევან წიკლაური; იოსებ ჩილინდრიშვილი; ლაშა ზურაბიანი;

90 კგ: ზვიად გოგოჭური; ლაშა ტაველური; ბექა ღვინიაშვილი; ჯუმბერ გიგაური;

100 კგ: გიორგი ნოზაძე; გიორგი ქავთარაძე; დავით ლორიაშვილი; ლაშა გურული;

მძიმე: ლევან მატიაშვილი; ადამ ოქრუაშვილი; გიორგი ზაქარიაძე; ონისე ბულაძე.

*მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა*

# ავთანდილ ასათიანი: ელიტრაუნდში ყველა ფეხბურთელი იომებს

საქართველოს ფუტსალის ნაკრებმა ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი მალტაზე გამართა. ჩვენი გუნდის მეტოქეები მასპინძელი მალტა და მოლდოვა იყვნენ. ქართველებმა მალტა 0:9 დაამარცხეს, ხოლო მოლდოვასთან 5:5 ითამაშეს. გატანილი ბურთების უკეთესი რაოდენობით, ჩვენი ნაკრები ჯგუფში პირველ ადგილზე გავიდა და ელიტრაუნდში იასპარეზებს, რომელიც 27-30 მარტს ჰოლანდიაში გაიმართება. ჩვენს ჯგუფში საქართველოს გარდა, ჩეხეთის, ბელარუსის და მასპინძელი ჰოლანდიის ნაკრებები არიან.

ავთანდილ ასათიანი (ფუტსალის ნაკრების მთავარი მწვრთნელი):

– ჩვენი ამოცანა ქვეჯგუფიდან გასვლა იყო. გვინდოდა მაქსიმალური ქულით გავსულიყავით, მაგრამ სამწუხაროდ, ვერ შევძელით. მოლდოვასთან რევანში გვქონდა ასაღები, რაც, სამწუხაროდ, ვერ შევძელით. სულ საუბრობენ იმაზე, რომ მოლდოვასთან როგორ ვერ ვიგებთ, მაგრამ ასეც არ არის. ეს ნაკრები რეიტინგში პირველია და გაცილებით უკეთესი პირობები აქვს. მოხარული ვარ, რომ ჩვენი შრომა დაფასდა და გავედით ელიტრაუნდში. საკვალიფიკაციო ეტაპზე ვალდებულები ვიყავით მალტასთან მეტი ბურთი გაგვეტანა, ვგრძნობდი, რომ მოლდოვასთან რთული მატჩი გვექნებოდა. ჩვენი დასახული მიზანი შევასრულეთ და შემდეგ ეტაპზე გავედით, სადაც ძალიან რთულ ჯგუფში მოვხვდით. ევროპის 3 ძლიერ ნაკრებს შევხვდებით. სწორედ ასეთ თამაშებში გამოჩნდება ჩვენი მოთამაშეების შესაძლებლობები. რაც უფრო ძლიერ გუნდთან მოგვიწევს თამაში, მით უფრო იზრდება მოთამაშე. ელიტრაუნდი ჰოლანდიაში ჩატარდება. ძალიან რთული იქნება შემდეგ ეტაპზე გასვლა, მაგრამ ჩვენ მაქსიმალურად ვეცდებით. ჰოლანდია მასპინძელია და საკმაოდ დიდი ძალაა, ასევე ჩეხეთი და ბელარუსიც. ის შეცდომები, რაც გვქონდა, ამ ორ თვეში უნდა გამოვასწოროთ. მე გპირდებით, რომ ელიტრაუნდშიც ღირსეულად ვიასპარეზებთ. ყველა ფეხბურთელი, ვინც ჩემთან ერთად იქნება, თავს დადებს მოედანზე, იქნება რიგითი მეომარივით. ლეგიონერების თემა მუდმივად განიხილება. დიდი სიამოვნებით მივიღებ გუნდში ერთ-ორ ლეგიონერს. დღეს საქართველოში ქართული პასპორტით არც ერთი ფეხბურთელია. რონის ჰქონდა ქართული პასპორტი, მაგრამ ის აღარ არის „იბერია სტარის“ მოთამაშე, უკრაინაში ახლახან გადავიდა და კლუბმა ვერ გამოუშვა. ჩვენ კიდევ გავაგრძელებთ რონისთან მოლაპარაკებას. პროგრესი ნაკრებს აქვს, მოთამაშეები მოწინააღმდეგის კარისკენ არიან დაგეშილები. ამ ორ თამაშში, სტატისტიკის თანახმად, 90-ჯერ დავარტყით მეტოქის კარისკენ, მაგრამ სამუშაო ძალიან ბევრი გვაქვს. მოლდოვასთან მცირე კონფლიქტიც იყო, რაც მოედანს მიღმა არ გაგრძელებულა. დიდი სურვილი გვაქვს „იბერია სტართან“ ვითამაშოთ ამხანაგური მატჩი, ჩვენ შევხვდებით ხელმძღვანელებს და ამ საკითხზე დაველაპარაკებით. ქართული ფუტსალი ნელ-ნელა ვითარდება და ეს შედეგებმა მოიტანა. იმედი მაქვს,



ეს სახეობა კიდევ უფრო განვითარდება და მეტი ინტერესი გაჩნდება.

დავით ბობოხიძე:

– კმაყოფილი ვარ იმ შედეგით, რასაც მივაღწიეთ. დიდი ანგარიშით მოვუგეთ მალტას, მოლდოვასთან ძალიან დაძაბული შეხვედრა გვქონდა. საბედნიეროდ, შევძელით ელიტრაუნდში გასვლა, სადაც ძალიან რთული მეტოქეები შეგვხვდა, მათთან შედეგის მიღწევა საკმაოდ რთული იქნება, მაგრამ მაქსიმალურად ვეცდებით ევროპის ჩემპიონატზე გავიდეთ და პატარა სასწაული მოვახდინოთ.

ცნობისთვის, ევროპის ჩემპიონატის ფინალური ეტაპი, 12 საუკეთესო გუნდის მონაწილეობით, 2014 წელს ბელგიაში გაიმართება.

# დავით თარგამაძე: დინამოსთან მატჩი განსაკუთრებული იყო

თბილისის „დინამოსთან“ ფრედ (2:2) დასრულებული მატჩის შემდეგ საქართველოს ნაკრებისა და მარიუპოლის „ილიჩივეცის“ ნახევარმცველმა დავით თარგამაძემ განაცხადა, რომ მისთვის თბილისელებთან შეხვედრა განსაკუთრებული იყო. მისი სიტყვები კლუბის ვებგვერდზე გამოქვეყნდა.

დავით თარგამაძე:

– არ დავმალავ, რომ განვლილი სპარინგი ჩემთვის განსაკუთრებული იყო. რაც უნდა იყოს, თბილისის „დინამოს“ საბავშვო გუნდში ოთხწელიწად-ნახევარი გავატარე. იქ ყველაფერი მომწონდა, მწვრთნელები კმაყოფილები იყვნენ და უკვე 17 წლის ასაკში, პროფესიული კონტრაქტი შემომთავაზეს. თუმცა, მე გერმანიაში წასვლა გადავწყვიტე. „დინამოში“ ბევრი მეგობარი დამრჩა და ამ გუნდის წინააღმდეგ აქამდე არასოდეს მითამაშია. რა თქმა უნდა, განსაკუთრებული გრძნობა მქონდა და გამარჯვება ძალიან მინდოდა. თუმცა, არ გამოვიდა, მიუხედავად იმისა, რომ „ილიჩივეცი“ გამარჯვებასთან ახლოს იყო, მატჩი მაინც ფრედ დასრულდა. მე და თორნიკე ოქრიაშვილის თამაშის მერე გაგვიხარდა კიდეც, რომ საბოლოოდ მეგობრობამ გაიმარჯვა. თითოეული ფეხბურთელისთვის ნებისმიერი თამაში დღესასწაულის ტოლფასია. ვფიქრობ, ყველა სპორტსმენი გეტყვით, რომ თამაშს, თუნდაც საკონტროლოს, არცერთ ვარჯიშს შეედრება. საერთოდ, შეკრებაზე სპარინგებს როგორც ოფიციალური მატჩებისთვის მოსამზადებელ აუცილებელ პროცესს უნდა მოეკიდო. ამჟამად, თურქეთში ძალიან სერიოზული შეკრება გვაქვს. „დინამოსთან“ მატჩამდე 6 საათით ადრე, ჩვენ ვარჯიში ჩავატარეთ. საკონტროლო მატჩების შედეგებს სერიოზულად ვეკიდებით, მაგრამ გამარჯვება ახლა მთავარი არ არის. მართალია, გოლი ბოლო წუთზე გავუშვით, მაგრამ სჯობს, ჩვენს კარში პენალტი შეკრებაზე დანიშნონ, ვიდრე ოფიციალურ მატჩებში. საკუთარ შეცდომებზე ვისწავლით. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ თურქეთში ფაქტობრივად ორი ვარჯიში ჩავატარეთ, მაგრამ თავს ძალიან კარგად ვგრძნობ. მომქანცველი ვარჯიშების შემდეგ, იალტაში რამდენიმე დღე კარგად დავისვენეთ და ახლა ბურთით მუშაობა იწყება. ვფიქრობ, საინტერესო იქნება. რატომ არ უყვართ ქართველ ფეხბურთელებს სირბილი? ძნელი სათქმელია, ალბათ ასეთი საფეხბურთო კულტურა გვაქვს, თუმცა „ფიზიკის“ გარეშე ახლა რთულია თამაში. თუ 90 წუთი სათამაშოდ მზად არ ხარ, მარტო ტექნიკით ვერას გახდები.

# ბალოტელი მილანშია, ბასტოსი – გელზენკირხენში

იტალიის ეროვნული ნაკრების ფორვარდი მარიო ბალოტელი „მილანში“ გადავიდა. „როსონერის“ დირექტორმა უმბერტო განდინიმ განაცხადა, რომ „მანჩესტერ სიტისთან“ მოლაპარაკება მიღწეულია და თავდამსხმელი მილანელთა მაისურს ოთხშაბათს მოირგებს.

– „სიტისთან“ შეთანხმებას უკვე მივაღწიეთ. ბალოტელი „მილანში“ სამედიცინო შემოწმებას ოთხშაბათს გაივლის და კონტრაქტს 2017 წლამდე გააფორმებს, – აცხადებს განდინი.

აპენინური პრესის ინფორმაციით, „მილანს“ 22 წლის შემტევის ტრანსფერი 20 მილიონი ევრო დაუჯდა. თავდამსხმელი ახალ კლუბში ხელფასის შემცირებასაც დათანხმდა – იტალიელის წლიური ანაზღაურება 4 მილიონი ევრო იქნება.

„სიტი“ კი ბალოტელის შემცვლელს ზაფხულში მიიღებს. იტალიური „ნაპოლი“ თანახმაა, ურუგვაელ თავდამსხმელს ედინსონ კავანის 60 მილიონად შეელიოს. შეგახსენებთ, ურუგვაელი „ნაპოლის“ რიგებში 2010 წელს „პალერმოდან“ გადავიდა და 117 შეხვედრაში 88 გოლის გატანა შეძლო.

„შალკეს“ ვებგვერდის ცნობით, ბრაზილიელი ნახევარმცველი ბასტოსი „ლიონიდან“ გელზენკირხენულ გუნდში გადავიდა და 2014 წლის 30 ივნისამდე ითამაშებს. მიშელ ბასტოსი გერმანულ გუნდში 9-ნომრიანი მაისურით ითამაშებს. კონტრაქტის დეტალები, ჯერჯერობით, უცნობია.

ბრაზილიელი ფეხბურთელი „ლიონს“ 2009 წელს „ლილიდან“ შეუერთდა და ფრანგული გუნდის მაისურით 98 შეხვედრაში 26 გოლი მიითვალა.

# ალგანი პარაკანოეს ნაკრებს უპატრონებს

სასტუმრო „ამბასადორის“ საპრესკონფერენციო დარბაზში პრესკონფერენცია გაიმართა, რომელსაც დაცვის კომპანია „ალგანის“ დამფუძნებელი გიგა ნემსაძე, კანოეს ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტი დავით ქაცარავა და მოძრაობა „ხელმისაწვდომი გარემოსათვის“, პარაკანოეს კომიტეტის თავმჯდომარე გოგა კოხრეიძე და თბილისის მერიის სპორტის სამსახურის უფრო მერაბ ჩიქობავა ესწრებოდნენ.

2013 წლიდან „ალგანი“ იქნება მონაწილე და მხარდამჭერი კანოეს ფედერაციის მიერ ორგანიზებული შეჯიბრებების და სხვადასხვა ღონისძიებების. ამასთან, მხარს დაუჭერს ფედერაციის მიერ დაგეგმილ ღონისძიებებს პარაკანოეს კუთხით, „ალგანი“ იმუშავებს მზურნველობამოკლებული ბავშვების ჩართვაზე აქტიურ სპორტში.

მოხდება მათი ფიზიკურად მომზადება „ალგანის“ პატრონაჟის ქვეშ. სპორტულ აქტივობაში გამორჩეულები შესაძლოა სპორტულ კლუბებში და ნაკრებშიც მოხვდნენ. ბავშვებს გაუჩნდებათ დასაქმების პერსპექტივა როგორც სპორტული განხრით, ასევე დაცვის სამსახურის მიმართულებით.

დაგეგმილია სპორტული კლუბის შექმნა კანოე-კაიაკის კუთხით, სადაც გაწევრიანდებიან საქართველოს უძლიერესი სპორტსმენები და შეჯიბრებებში გამოვლენ „ალგანის“ სახელით.

# შედეგები

## ფეხბურთი

### აფრიკის ერთა თასი

ბურკინა ფასო-ზამბია .................. 0:0
ეთიოპია-ნიგერია ........................ 0:2

### ამხანაგური მატჩი

აშშ-კანადა .................................. 0:0

### ინგლისი. პრემიერლიგა

ასტონ ვილა-ნიუკასლი ................ 1:2
ქპრ-სიტი ........................................ 0:0
სანდერლენდი-სუონსი .................. 0:0
სტოკი-უიგანი ................................ 2:2

### სატურნირო ცხრილი:

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.მანჩესტერი | 23 | 18 | 2 | 3 | 57:30 | 56 |
| 2.სიტი | 24 | 15 | 7 | 2 | 45:19 | 52 |
| 3.ჩელსი | 23 | 13 | 6 | 4 | 47:22 | 45 |
| 4.ტოტენჰემი | 23 | 12 | 5 | 6 | 40:28 | 41 |
| 5.ევერტონი | 23 | 9 | 11 | 3 | 35:26 | 38 |
| 6.არსენალი | 23 | 10 | 7 | 6 | 46:27 | 37 |
| 7.ლივერპული | 23 | 9 | 7 | 7 | 40:28 | 34 |
| 8.სუონსი | 24 | 8 | 10 | 6 | 34:27 | 34 |
| 9.ვესტ ბრომვიჩი | 23 | 10 | 4 | 9 | 33:32 | 34 |
| 10.სტოკი | 24 | 6 | 12 | 6 | 24:29 | 30 |
| 11.სანდერლენდი | 24 | 7 | 8 | 9 | 27:31 | 29 |
| 12.ვესტ ჰემი | 23 | 7 | 6 | 10 | 26:33 | 27 |
| 13.ნორვიჩი | 23 | 6 | 8 | 9 | 24:39 | 26 |
| 14.ფულემი | 23 | 6 | 7 | 10 | 33:40 | 25 |
| 15.ნიუკასლი | 24 | 6 | 6 | 12 | 30:42 | 24 |
| 16.საუთჰემპტონი | 23 | 5 | 8 | 10 | 30:40 | 23 |
| 17.ასტონ ვილა | 24 | 4 | 8 | 12 | 20:46 | 20 |
| 18.უიგანი | 24 | 5 | 5 | 14 | 27:45 | 20 |
| 19.რედინგი | 23 | 4 | 7 | 12 | 28:43 | 19 |
| 20.ქპრ | 24 | 2 | 10 | 12 | 18:37 | 16 |

### ინგლისი. ჩემპიონლიგა

ბრისტოლი-უოტფორდი ............... 2:0
ბარნსლი-მილუოლი ..................... 2:0

### იტალია. თასი

ლაციო-იუვენტუსი ....................... 2:1

### ჰოლანდია. თასი

დენ ბოსხი-ალკმაარი ................... 0:5

## კალათბურთი

### ნბა. რეგულარული სეზონი

კლივლენდი-გოლდენ სტეიტი 95:108
დეტროიტი-მილუოკი ............. 90:117
პორტლენდი-დალასი ........... 106:104
ლეიკერსი-ნიუ ორლეანი ...... 111:106

## ჰოკეი

### ნჰლ. რეგულარული სეზონი

ბუფალო-ტორონტო .............. 3:4(ოტ)
ბოსტონი-ნიუ ჯერსი ........... 1:1(1:0ბ)
ნიუ იორკი-ფილადელფია ............ 2:1
დეტროიტი-დალასი ...................... 4:1
მონრეალი-ვინიპეგი ..................... 4:3
ოტავა-ვაშინგტონი ....................... 3:2
პიტსბურგი-ნიუ იორკი ................ 1:4
ტამპა ბეი-ფლორიდა .................... 5:2
მინესოტა-კოლამბუსი .................. 3:2
სან ხოსე-ანაჰაიმი ............... 2:2(1:0ბ)

# ნოდარ ანდღულაძე გარდაიცვალა

ეკა ირემაშვილი

ცნობილი ქართველი ტენორი და არაერთი ქართველი საოპერო ვარსკვლავის აღმზრდელი, ნოდარ ანდღულაძე, 86 წლის ასაკში გარდაიცვალა. საქართველოს სახალხო არტისტი ასევე ცნობილი მომღერლის დავით ანდღულაძის შვილი იყო. მას 86 წელი 13 დეკემბერს შეუსრულდა. ტენორის 85 წლის იუბილესთან დაკავშირებით კონსერვატორიის დიდ დარბაზში საიუბილეო ღონისძიება გაიმართა. მასში მონაწილეობა ცნობილმა ქართველმა საოპერო შემსრულებლებმა მიიღეს, მათ შორის ზურაბ სოტკილავამ, ლადო ათანელმა, მაყვალა ქასრაშვილმა, ნინო სურგულაძემ, ბადრი მაისურაძემ და სხვა გამორჩენილმა საოპერო შემსრულებლებმა, ასევე ნოდარ ანდღულაძის მოსწავლეებმა. ოპერის თეატრის სიმფონიურ ორკესტრს დავით მუქერია დირიჟორებდა. საიუბილეო საღამო ლადო ათანელის საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდმა „თანადგომამ“ მოაწყო და მას მხარდაჭერა თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრმა გამოუცხადა.

დრამატული ტენორის ნოდარ ანდღულაძის მიერ შესრულებული პარტიებიდან აღსანიშნავია აბესალომი, მალხაზი (ზაქარია ფალიაშვილის „აბესალომ და ეთერი“, „დაისი“), ტარიელი (მირიან მშველიძის „ამბავი ტარიელისა“), მინდია, არზაყანი (ოთარ თაქთაქიშვილის „მინდია“, „მთვარის მოტაცება“), გერმანი (ეტრე. ჩაიკოვსკის „პიკის ქალი“), რადამესი, მანრიკო, ჰერცოგი, ოტელო (ჯუზეპე ვერდის „აიდა“, „ტრუბადური“, „რიგოლეტო“, „ოტელო“), ედგარი (გაეტანო დონიცეტის „ლუჩია დი ლამეურმური“) და სხვა. იგი ცნობილი იყო ასევე, როგორც კამერული მომღერალი და ასრულებდა ქართველი კომპოზიტორების ნაწარმოებებს. მან რეჟისურაშიც სცადა ბედი და ქუთაისის საოპერო თეატრის სცენაზე დადგა დონიცეტის ოპერა „ლუჩია და ლამერმური“. მან პედაგოგობას მიჰყო ხელი და არაერთი სახელოვანი საოპერო მომღერალი აღუზარდა ქართულ საოპერო სამყაროს. ცნობილია, რომ იგი მეცნიერებითაც აქტიურად იყო დაინტერესებული და ავტორია მეცნიერული გამოკვლევებისა ვოკალური ხელოვნების თეორიის, ისტორიისა და მეთოდიკის დარგში. სხვადასხვა პრემიებსა და ჯილდოებს შორის მისთვის ყველაზე ძვირფასი ზაქარია ფალიაშვილის სახელობის პრემია იყო.

მაესტროს იუბილეს გამოეხმაურა მისი ერთ-ერთი მოწაფე ნუგზარ ვალერიანო გამგებელი და პედაგოგს საკმაოდ ვრცელი წერილი მისწერა: „ჩემო ძვირფასო მაესტრო, ნოდარ დავითის ძევ! დღეს ჭეშმარიტად განსაკუთრებული დღეა, როცა საქართველო ზეიმობს, თქვენი, ქართული ვოკალური ხელოვნების უბადლო მსახურის, მეცნიერისა და მაღალი საზოგადო მოღვაწის, დაბადებიდან 85 წლის იუბილესადმი მიძღვნილ საღამოს. მინდა მთელი სულით და გულით, სიყვარულითა და მადლიერების გრძნობით მოგილოცოთ ეს ფრიად ღირსშესანიშნავი თარიღი, 13 დეკემბერი, რომელიც ჩვენთვის, თქვენი მოწაფეებისთვის, ყოველთვის იყო და იქნება მნიშვნელოვანი დღე. გისურვებთ ჯანმრთელობას, დღეგრძელობას და მხნეობას, რომ ჩვენ, ქართველ მომღერლებს, დიდი არბიტრის სახით გვყავდეთ ყოველთვის. მე, თქვენი ერთ-ერთი მოწაფე, ნუგზარ ვალერიანო გამგებელი, მთელი ჩემი არსით და გონებით ვარ თქვენთან და განვიცდი, რომ საპატიო მიზეზების გამო დღეს ამ დიდ ზეიმზე ვერ ვიღებ აქტიურ მონაწილეობას თქვენს საქვეყნოდ ცნობილ მოწაფეებთან ერთად, სადაც მე უნდა ერთ-ერთი პირველთაგანი ვყოფილიყავი, ვისაც ამ საღამოს პროგრამაში ლომის წილი თავზე ამელო და ამ სახით მომელოცა ღირსეულად თქვენთვის, მაგრამ გპირდებით მთელი საზოგადოების წინაშე, რომ თუ ღმერთს უნდა, პირველსავე შესაძლებლობის მომენტში მოგიძღვნათ საუკეთესო შემთხვევაში თეატრის გახსნის მომენტიდან, ვერდის „ბალ-მასკარადი“ და სოლო-კონცერტი ორკესტრის თანხლებით, ვიმედოვნებ, ამ წინადადებას ენთუზიაზმით შეხვდება და დახმარებას აღმომიჩენენ თეატრის ორგანიზატორები, რომელ თეატრსაც მთელი თქვენი ცხოვრება შესწირეთ, რომ მსოფლიოს უდიდესი თეატრების ყურადღების ცენტრში მოქცეულიყო ჩვენი თეატრის ახალგაზრდა მომღერლების მთელი პლეადა. მინდა ორიოდ სიტყვით მოგეფეროთ და ულრმესი მადლობა მოგახსენოთ ყველაფრისთვის, იმ ძალისხმევისთვის, რამაც შესაძლო გახადა, რომ ქართულ საოპერო სასიმღერო სკოლას თავისი ღირსეული ადგილი დაემკვიდრებინა მსოფლიოს წამყვან დიდ სცენებზე. ასე რომ, თუ 20 წლის წინ ლაპარაკი იყო იმაზე, რომ თბილისის თეატრი ვერ იარსებებდა ერთი დღით იმ შემთხვევაში, თუ ნოდარ ანდღულაძის კლასი უარს იტყოდა სიმღერაზე და გაიფიცებოდა, დღევანდელ დღეს საქმე ისე დგას, რომ ალბათ მსოფლიოს თეატრებსაც პრობლემები შეექმნებოდათ, იმ რაოდენობით მღერიან საზღვარგარეთ ქართველი მომღერლები. დიდება ღმერთს და მადლობა, რომ თქვენი სახით საქართველოს მოუვლინა წინამძღოლი საოპერო-საგანმანათლებო სისტემაში, რომ უმძიმეს სოციალურ პირობებში ქართულ საოპერო ხელოვნებას დეგრადაცია არ განეცადა, არამედ, პირიქით, მაშინ, როდესაც მსოფლიოში ამის კრიზისი დიდი ხანია არსებობს. დაბოლოს, ნება მიბოძეთ, მთელი საქართველოს ნაღებ საზოგადოებასთან ერთად მოგილოცოთ ეს ფრიად მნიშვნელოვანი იუბილე და ვისურვებდი, ამ დღეს ღირსეული საჩუქრის სახით ქართული კულტურის ქომაგებმა წამოჭრან საკითხი და დააფუძნონ „საქართველოს დიდი მაესტროს, ნოდარ ანდღულაძის სახელობის ვოკალისტთა საერთაშორისო კონკურსი“. დიდი პატივისცემითა და სიყვარულით, თქვენი ნუგზარ ვალერიანო გამგებელი“.



დაფუძნდება თუ არა „საქართველოს დიდი მაესტროს, ნოდარ ანდღულაძის სახელობის ვოკალისტთა საერთაშორისო კონკურსი“, ამას მომავალი გვიჩვენებს. მაესტროს გარდაცვალებასთან დაკავშირებით წუხილს გამოთქვამს საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო და სამძიმარს უცხადებს ნოდარ ანდღულაძის ოჯახს, კოლეგებსა და მისი ნიჭის თაყვანისმცემლებს.

# სომხეთი საქართველოსთვის მისაბაძი ქვეყანა არ არის

თამარ ნინიძე

ქართულ პოლიტიკაში თავისუფალი კონკურენცია ფეხის დადების გარეშე პოლიტიკურ პარტიებს არ ახასიათებდათ. დღესაც კონტაქტი პარტიებს შორის ჯანსაღი კონკურენციის ნიშნებს არ ატარებს. ეს არის მტრების ურთიერთკინკლაობა და ჩასაფრებულის პოზაში ყოფნა, თუ ვიღაცა კისერს წაიმტვრევს, მისი კონკურენტი დავარდნილს ბოლო წიხლს ამოსცხებს და საბოლოოდ გაანადგურებს.

იმ ვითარებაში, როცა საქართველოს საგარეო კურსის გარშემო ჭორ-მართალი ირევა და ვისაც როგორც უნდა, ისე წარმოაჩენს კონკურენტი პარტიის საგარეო ორიენტაციას, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ოფიციალური პოზიცია საგარეო კურსთან დაკავშირებით. მითქმა-მოთქმის საფუძველს, როგორც წესი, ხელისუფლება იძლევა მისი ბუნდოვანი და გაურკვეველი პოზიციის გამო. ამიტომ საზოგადოების მოთხოვნა სწორედ ის არის, რომ კოალიცია „ქართულმა ოცნებამ“ და საპარლამენტო უმრავლესობამ დოკუმენტურად, დასაბუთებულად განაცხადოს, რომ საქართველოს ევროსტრუქტურებში გაწევრიანებისკენ სვლას ალტერნატივა არ გააჩნია, წინააღმდეგ შემთხვევაში, ბუნდოვნება და უპასუხოდ დატოვებული კითხვები ვითარებას კიდევ უფრო დაძაბავს და ჭორების გაღრმავებას შეუწყობს ხელს.

სომხეთში პრემიერ-მინისტრ ივანიშვილის ვიზიტი და იქ მისი ზოგიერთი გამონათქვამი სომხეთის საგარეო და საშინაო პოლიტიკის მოწონების შესახებ ამ ჭორების აგორების საფუძველი გახდა. ამას ემატება მითქმა-მოთქმა დსთ-ში საქართველოს დაბრუნების შესახებ. სხვა თუ არაფერი, ამომრჩეველი, რომელიც დაირაზმა და უპრეცედენტო მობილიზება აჩვენა საარჩევნო ყუთებთან ნაცმოძრაობის დამარცხებისათვის, ნამდვილად იმსახურებს იმის ზუსტად ცოდნას, როგორი იქნება ახალი ხელისუფლების საგარეო კურსი. კარგია, როცა კონფრონტაციული რეჟიმიდან გამოდის და აგრესიული რიტორიკის გარეშე ამყარებს ხელისუფლება ურთიერთობას მეზობელ სახელმწიფოებთან, მაგრამ, ცოტა არ იყოს, გაკვირვებას იწვევს ივანიშვილის განცხადება იმის შესახებ, რომ მას თეთრი შურით შურს სომხეთის. ამ სახელმწიფოს წინააღმდეგი არავინ არის, მაგრამ გაუგებარია ის კონტექსტი, რამაც მას ეს განცხადება გააკეთებინა. სომხეთი სულაც არ წარმოადგენს ნეიტრალიტეტის დამცველ სახელმწიფოს. ის არის რუსეთის სტრატეგიული პარტნიორი და ცნობილი ფაქტია, მიუხედავად იმისა, რომ სომხეთს, საქართველოსგან განსხვავებით, უზარმაზარი დიასპორა ჰყავს ამერიკასა და საფრანგეთში, ის ევროპული ინტეგრაციის შესახებ განცხადებებს არ აკეთებს. სომხეთის საგარეო ვექტორი ჩრდილოეთისკენ არის მიმართული და დიდი ხანია, სამხრეთ კავკასიის ეს პატარა სახელმწიფო ამ ვექტორს იცავს.

სომხეთი არ უნდა წარმოადგენდეს ამ თვალსაზრისით საქართველოსთვის მისაბაძ მაგალითს და მისი ზედმეტად გაიდეალება დიპლომატიის გამარჯვებადაც არ უნდა იყოს აღქმული. სომხეთი, წლებია, იზოლირებულია გარე სამყაროსგან, მას ახლო კავშირები ლამის მხოლოდ რუსეთთან აქვს, სხვა გამოსავალიც არ დარჩენია, მძიმე საომარი ვითარება აზერბაიჯანთან მას ნამდვილად არ წარმოაჩენს ბალანსისა და წარმატებული დიპლომატიის თვალსაჩინო მაგალითად. ამიტომ იყო, ცოტა არ იყოს, განსაცვიფრებელი ივანიშვილის აღფრთოვანება სომხეთის ხელისუფლებით. ამას მოჰყვა უცნაური ინფორმაციები იმის თაობაზე, რომ ქართველმა ბავშვებმა სომხეთის ისტორია უნდა ისწავლონ, ასევე საქართველომ სომხური ეკლესიების რესტავრაცია უნდა ითავოს. რა თქმა უნდა, კარგია კულტურული ძეგლების დაცვასა და ზრუნვაზე ფიქრი, მაგრამ ქართული კულტურული ძეგლების რესტავრაცია, ალბათ, საკამათო არ არის, რომ პირველ რიგში უნდა იდგეს სახელმწიფოში, ასევე, თუ მაინცდამაინც სომხეთის ისტორიას ვისწავლით, რა დააშავეს სხვა მეზობელმა სახელმწიფოებმა, რუსეთმა, აზერბაიჯანმა, თურქეთმა, ახლო აღმოსავლეთის სახელმწიფოებმა, არაბულმა სამყარომ, ევროპის ცივილიზებულმა ქვეყნებმა და აშშ-მ. საინტერესოა, როცა ივანიშვილი მორიგ ვიზიტს დაგეგმავს რომელიმე სახელმწიფოში, მაგალითად, კანადაში, ითქმება მისგან, რომ ქართველებმა კანადის ისტორია უნდა ვისწავლოთ?

პარტიებს შორის კონკურენცია შემთხვევითი არ არის ამ ვითარებაში. პრორუსული და პროდასავლური ორიენტაცია პარტიებს შორის კვლავ აქტუალურია, სააკაშვილმა მოახერხა და პრორუსული ორიენტაციის არა მარტო პარტიები გააქრო პოლიტიკური არენიდან, არამედ ყოველივე რუსულს ბრძოლა გამოუცხადა. ამის მიუხედავად, დღეს რომ რუსეთთან და მის სტრატეგიულ პარტნიორ ქვეყნებთან, მაგალითად, სომხეთთან ურთიერთობებს ახალი ფურცლიდან ვიწყებთ, ამისათვის დიპლომატიური თავშეკავებულობა არ გვაწყენდა, რომ გვახსოვდეს. ღირსეულად უნდა ვითანამშრომლოთ ყველა ქვეყანასთან, არავინ ვთათხოთ და ვაგინოთ, მაგრამ არც არავის ზედმეტი ცაში აყვანაა საჭირო. პოლიტიკური პარტიების ის ნაწილი, რომელიც რუსულ ორბიტაზე ტრიალებს, დღეს ჩრდილიდან გამოდის, ხოლო ამ ორბიტაზე მოტრიალე პოლიტიკოსები და ყოფილი თანამდებობის პირები მოსკოვიდან ბრუნდებიან და პოლიტიკაში ჩაბმას აპირებენ, მაგალითად, იგორ გიორგაძე და ვალერი ხაბურძანია. ეს უკანასკნელი პარტიას ქმნის, რომელიც, სავარაუდოდ, გაზაფხულზე დაიწყებს საქმიანობას. ავსტრიაში გამაგრებული ლევან პირველის გააქტიურებაც ამ მოვლენებთან არის კავშირში. ამ ვითარებაში ბეწვის ხიდზე სიარული ახალ ხელისუფლებას აუცილებლად მოუწევს. რუსეთთან ურთიერთობის მოგვარება ამერიკასთან ურთიერთობის დაძაბვის ხარჯზე არ უნდა მოხდეს.

# ნუგზარ ერგემლიძემ ნამუშევრები გამოფინა

ეკა ირემაშვილი

არაერთი ცნობილი ჰიტის ავტორმა და მომღერალმა ნუგზარ ერგემლიძემ საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის საგამოფენო დარბაზში მეხუთე პერსონალური გამოფენა გახსნა, სადაც 50-ზე მეტი ნახატი წარმოადგინა. ნახატებთან ერთად ნუგზარ ერგემლიძემ საზოგადოებას საკუთარი წიგნიც გააცნო. „არმაგედონის მათრახი“ – ასე ეწოდება გამოცემას, რომელიც მომღერლისა და მხატვრის ნამუშევრების გამოფენის პარალელურად წარედგინა საზოგადოებას. როგორც კრებულის პრეზენტაციაზე გახდა ცნობილი, მალე ნუგზარ ერგემლიძე კიდევ ერთ ახალ წიგნს გამოსცემს და თავის ერთგულ მკითხველს ამით დაასაჩუქრებს.

მომღერალი, კომპოზიტორი, მხატვარი და ყველასთვის უკვე ნაცნობ ამპლუაში წარმდგარი პოლიტიკოსი ნუგზარ ერგემლიძე საზოგადოებამ ამჯერად უკვე მწერლის როლშიც იხილა. მის შემოქმედებას ბევრი გულშემატკივარი აღმოაჩნდა. ამას ეროვნულ ბიბლიოთეკაში მისული საზოგადოება მოწმობდა, რომელთა შორისაც იყვნენ საზოგადო მოღვაწეები, მუსიკოსები, მხატვრები და პოლიტიკოსებიც კი. სიურპრიზად გამოფენილი ნამუშევრებისა და წარდგენილი წიგნის სიხარული ხელოვანს ასეთივე სიურპრიზით დაუბრუნდა უკან – ყველასთვის მოულოდნელად ეროვნულ ბიბლიოთეკაში შუქი ჩაქრა, ამის მიუხედავად, საზოგადოება არ დაშლილა და დიდი ინტერესით ეცნობოდა ნუგზარ ერგემლიძის შემოქმედებას. საკმაოდ რომანტიკულად ჩაიარა სპეციალურად ამ გამოფენისთვის მოწყობილმა ა ლა ფურშეტმაც – სანთლების შუქზე, თუმცა ამის გამო უკმაყოფილება არავის გამოუთქვამს.

ცნობილია, რომ ნუგზარ ერგემლიძემ ბოლო პერიოდში პოლიტიკაში წასვლა გადაწყვიტა და საქართველოში არსებულ უამრავ პოლიტიკურ პარტიათა შორის არჩევანი ლეიბორისტულ პარტიაზე გააკეთა. მისი თანაპარტიელი სოსო შატბერაშვილი ხელოვანის აქტიური გულშემატკივარი აღმოჩნდა, როგორც მან განაცხადა, აქტიურად ადევნებს თვალყურს ნუგზარის შემოქმედებას და მოსწონს კიდეც.

სოსო შატბერაშვილი, პოლიტიკოსი:

– ნუგზარის ნიჭის თაყვანისმცემელი ვარ, დღიდან მისი გაცნობისა. სახლში უამრავი მისი ნახატი მაქვს. მისი მრავალმხრივი ნიჭი ყველას კარგად მოეხსენება. მე, როგორც პოლიტიკოსმა, მინდა ხაზი გავუსვა მის მოღვაწეობას პარლამენტში. ის აქტიურად იცავდა ხელოვანების ინტერესებს. ვულოცავ ნუგზარს, მაგრამ, სამწუხაროა, რომ მთელი საქართველო განათებულია და მხოლოდ ეროვნული ბიბლიოთეკაა ჩაბნელებული დღეს. მეჩვენება, რომ ეს შემთხვევითი არ არის.

ზურაბ ცინცქილაძე, მსახიობი:

– ნუგზარ ერეგმლიძეს საკმაოდ დიდი ხანია ვიცნობ, შესაბამისად, მისი ნიჭიერებაც ჩემთვის ახალი არ არის. ჩვენ ძალიან დიდი ხნის მეგობრობა გვაკავშირებს. მის მიერ შესრულებული თითქმის ყველა ნამუშევრის დასაწყისი და განვითარება ვიცი. მიხარია, რომ ასეთი ინტერესი გამოიწვია მისმა ნამუშევრებმა, ველოდები სიახლეებს და მჯერა, რომ ის კიდევ არაერთხელ გაგვაოცებს თავისი სიახლეებით.

ცისანა მჭედლიძე, მხატვართა კავშირის თავმჯდომარე:

– ის ჩემი კურსელია, ნუგზარი მხატვართა კავშირის წევრია. მართლაც მრავალმხრივ ნიჭიერი ადამიანია. არავის შემეწინააღმდეგება, თუ ვიტყვი, რომ უნიჭიერესი მხატვარია და თან სულ შემოქმედებით მუშაობაშია. ეროვნულ ბიბლიოთეკაში წარმოდგენილი გამოფენა ნამდვილად საინტერესოა. მისი ნამუშევრები მრავალმხრივია, აქვს როგორც პორტრეტები, ასევე პეიზაჟები. ჩემთვის ძალიან საინტერესოა ზამთრის თემა და ფიგურული კომპოზიციები. მჯერა, რომ მომავალში კიდევ უფრო მეტს გააკეთებს და ფართო საზოგადოებასაც არაერთხელ გააოცებს.

ნუგზარ ერგემლიძე, მხატვარი:

– ჩემი რიგით მეხუთე გამოფენა მოვაწყვე ეროვნულ ბიბლიოთეკაში, სადაც არაჩვეულებრივი გარემოა, მაგრამ, სამწუხაროდ, შუქი ჩაქრა. ბედნიერი ვარ, რომ მოვიდა უამრავი სტუმარი და ჩემი შემოქმედება შეაფასა. მართლა შევწუხდი, შუქი რომ გამოირთო, მაგრამ ეს შეიძლება ერთგვარ პერფორმანსად წარმოვიდგინოთ – ნახატები შეიძლება სიბნელეშიც ანათებდეს, ამიტომ მთლად ნეგატიურადაც ნუ განვეწყობით, ყველაფერში არის თავისი პლუსი და მინუსი. ჩემი სურვილია, ადამიანებმა ყველაფერს დადებითი კუთხით ვუყუროთ და მაშინ ყველაფერი გაცილებით კარგად იქნება.

## კროსვორდი ბ

**შვეულად:** 1. კომბაინის წინა სამკალი ნაწილი; 2. კანის ანთებითი დაავადება; 3. ხის ზედა განტოტვილი ნაწილი; 5. უდაბნო მონღოლეთსა და ჩინეთში; 6. უკრაინული ლუდი; 8. ბოშათა წინამძღოლი; 11. სასტუმრო „თბილისი-მერიოტის“ ძველი სახელწოდება; 13. ყურძნის შაქარი; 14. ქართველი მევიოლინე ქალი; 15. ფრანგული კომედიური თეატრის ერთ-ერთი მთავარი პერსონაჟი; 19. ვენეციისა და გენუის მმართველთა ტიტული.

**თარაზულად:** 1. აზერბაიჯანული ოპერის ფუძემდებელი კომპოზიტორი; 4. ქართული ხალხური სიმებიანი მუსიკალური ინსტრუმენტი; 7. უმაღლესი სათათბირო ორგანო ფეოდალურ საქართველოში; 9. სახელგანთქმული ექიმის ძველებური სახელწოდება; 10. მუსლიმანთა სულიერი წინამძღოლი; 12. ჯეიმს ბონდის როლის შემსრულებელი ბრიტანელი მსახიობი; 16. სამონასტრო კომპლექსი ქარელის რაიონში; 17. პირობითი ნიშანი გეოგრაფიულ რუქაზე; 18. ჰიუგოს რომან „პარიზის ღვთისმშობლის ტაძარის“ პერსონაჟი; 20. დაჩეჩილი მატყლი, წმინდა შალის ქსოვილის დასამზადებლად; 21. აბრეშუმის ძაფი; 22. კომედიური ჟანრის მუსიკალურ-სცენური ნაწარმოები.

შეადგინა თ გოგინაშვილმა



## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად**: 1. მურილიო; 2. დრამი; 3. გრეიდერი; 4. „ენეიდა“; 5. ფაბრიკა; 6. ნიქოზია; 11. ატენი; 13. ვესპუჩი; 14. სანიშვილი; 15. ბარომეტრი; 17. რეგატა; 18. სკუნსი; 19. იედო.

**თარაზულად**: 5. გუჯარი; 8. ბრადვახტი; 9. სინემა; 10. ცილინდრი; 12. კონვერტორი; 14. სტამბა; 16. „ქრისტინე“; 18. სენატორი; 20. მუაში; 21. ომი; 22. ჩანჩქერი; 23. „ფეტა“; 24. მონოციკლი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად**: 1. პლებეი; 2. ოპტიკა; 3. კოქტო; 5. დოლი; 6. კრეიგი; 8. სიესტა; 11. ანჩისხატი; 13. კნესეტი; 14. იოკასტე; 15. „ფილიპსი“; 19. თუნი.

**თარაზულად**: 1. პინაკოთეკა; 4. ბოტდეკი; 7. ექოლოტი; 9. ტარიელი; 10. პასკა; 12. ვესტერნი; 16. „ვალმარტი“; 17. კეისარი; 18. პალეოლითი; 20. ტალანტი; 21. რიფი; 22. „ბახთიარი“.

## აშშ-ის კონგრესის ზედა პალატამ სახელმწიფო მდივნის პოსტზე ჯონ კერის კანდიდატურას მხარი დაუჭირა



აშშ-ის კონგრესის ზედა პალატამ სახელმწიფო მდივნის თანამდებობაზე ჯონ კერის კანდიდატურას 94 ხმით მხარი დაუჭირა. წინააღმდეგ სულ სამმა სენატორმა მისცა ხმა.

ამასთან, კომიტეტებში ჯონ კერის სახელმწიფო მდივნად დანიშვნასთან დაკავშირებით გამართულ მოსმენებზე სენატორებმა მის კანდიდატურას ერთსულოვნად დაუჭირეს მხარი.

აშშ-ის პრეზიდენტმა ბარაქ ობამამ სახელმწიფო მდივნად სენატორ ჯონ კერის კანდიდატურა 2012 წლის დეკემბერში წარადგინა. კერი უკვე რამდენიმე კვირაა, აქტიურად ემზადება ახალი პოსტის დასაკავებლად, რაშიც მას ამჟამინდელი სახელმწიფო მდივანი ჰილარი კლინტონი ეხმარება.

აღნიშნულ თანამდებობას ჰილარი კლინტონი 1 თებერვალს დატოვებს.

ჯონ კერი (დ. 11 დეკემბერი, 1943), სენატორი მასაჩუსეტსის შტატიდან 1985-2013 წლებში. აშშ-ის სენატის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარე 2009-2013 წლებში. 2012 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში გამარჯვების შემდეგ ბარაკ ობამამ წარადგინა სახელმწიფო მდივნის პოსტზე. ის იყო დემოკრატიული პარტიის საპრეზიდენტო კანდიდატი 2004 წლის არჩევნებში.

## სირია ნაწილ-ნაწილ ნადგურდება



გაეროს უშიშროების საბჭოს სხდომაზე გამოსვლისას ელჩმა ლახდარ ბრაჰიმიმ განაცხადა, რომ სირიაში კრიზისმა საშინელების უპრეცედენტო მაჩვენებელს მიაღწია, რომ ქვეყანა ნადგურდება და იქ მიმდინარე პროცესები მთელ რეგიონზე აისახება. მისი გამოსვლა ეყრდნობოდა იმ ფაქტს, ალეპოში ათეულობით ახალგაზრდა მამაკაცის გვამი იპოვეს.

მდინარე კუვაიკის სანაპიროზე, ბუსტან ალ-კარსის რაიონში, ქალაქის დასავლეთით, 70 გვამზე მეტი იქნა ნაპოვნი. უმრავლესობას ხელები შეკრული ჰქონდა წელლს ქვემოთ და თავში ნასროლი.

გამოსვლისას ბრაჰიმმა ქვეყანაში არსებულ კრიზისში პრეზიდენტ ბაშარ ალ-ასადთან ერთად შეიარაღებული ოპოზიციაც დაადანაშაულა. „ობიექტურად, ისინი სირიის ნგრევაში ერთმანეთს ეხმარებიან. ქვეყანა ნაწილ-ნაწილ ნადგურდება", – აღნიშნა დიპლომატმა.

ლახდარ ბრაჰიმი სირის კონფლიქტის დარეგულირებას გასული წლის აგვისტოდან ცდილობს. გაეროს მონაცემებით, 2011 წლიდან ქვეყანაში 60 ათასი ადამიანი დაიღუპა.

გაეროს უშიშროების საბჭო ვერაფრით თანხმდება სირიის კონფლიქტზე უკვე წელიწადზე მეტია. აშშ, დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი და დასავლეთის სხვა ქვეყნები ცდილობენ რეზოლუციის მიღებას, რომელიც ასადის ხელისუფლების წინააღმდეგ სანქციებს დააწესებს, თუმცა, რუსეთი და ჩინეთი რეზოლუციას ვეტოს ადებენ. სირიის ხელისუფლება და ოპოზიცია კი ერთმანეთს ადანაშაულებენ მასობრივ მკვლელობებში.

## მურსი გერმანიაში ჩადის



ეგვიპტის პრეზიდენტი მუჰამედ მურსი გერმანიაში ჩაფრინდა. შეგახსენებთ, რომ ქვეყანაში ბოლოდროინდელ მღელვარებას 50 ადამიანზე მეტი ემსხვერპლა. ამის გამო მურსიმ ევროპაში ვიზიტი შეამოკლა და ბერლინიდან პარიზში აღარ გაფრინდება, როგორც ეს წინასწარ ჰქონდა დაგეგმილი. პრეზიდენტი კაიროში დღეს საღამოსვე დაბრუნდება.

კაიროში კი გუშინ დილიდან ტაჰრირის მოედანზე ათობით დემონსტრანტი შეიკრიბა, რომლებმაც პოლიციას ქვები დაუშინეს: „ჩვენი მოთხოვნა მარტივია – მურსი უნდა წავიდეს. ის მუბარაქს ჰგავს", – აღნიშნავს 28 წლის დემონსტრანტი აჰმედ მუსტაფა.

მუჰამედ მურსი (დ. 20 აგვისტო, 1951, შარკია, ეგვიპტე) „თავისუფლებისა და სამართლიანობის პარტიის" წარმომადგენელია. მონაწილეობდა 2012 წლის ეგვიპტის საპრეზიდენტო არჩევნებში. 2000-2005 წლებში იყო ეგვიპტის პარლამენტის წევრი.

2012 წლის 24 ივნისს ეგვიპტის საარჩევნო კომისიამ მუჰამედ მურსი გამოაცხადა ქვეყნის ახალ პრეზიდენტად. კომისიის თანახმად, მურსიმ მცირე უპირატესობით აჯობა კენჭისყრაზე თავის მეტოქეს, აჰმედ შაფიკს, რომელიც ბოლო პრემიერ-მინისტრი იყო პრეზიდენტ ჰოსნი მუბარაქის მთავრობაში. კომისიის ცნობით, მურსიმ ხმათა 51.7% მოიპოვა, შაფიკს კი 48.3% ერგო.

## სამგლოვიარო განცხადებები

პროფესორი ამირან მექვაბიშვილი თბილისის ტურიზმის აკადემიის კოლექტივის სახელით გულწრფელ სამძიმარს უცხადებს გურამ გოგიაშვილს მეუღლის

**ლილი მალაციძე-გოგიაშვილის**

გარდაცვალების გამო.

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**

## ობამამ საიმიგრაციო სისტემის რეფორმას მხარი დაუჭირა



ლას-ვეგასში სიტყვით გამოსვლისას პრეზიდენტმა ობამამ ქვეყნის საიმიგრაციო სისტემის რეფორმაზე ისაუბრა. პრეზიდენტმა თავისი გეგმა მას შემდეგ წამოაყენა, რაც სენატორთა ჯგუფმა ამ თემაზე წინადადებები საზოგადოებას წარუდგინა.

„მოვიდა დრო საღ აზრზე დაფუძნებული საიმიგრაციო რეფორმის გატარებისა", – აღნიშნა ობამამ, რომლის თქმითაც, არალეგალი იმიგრანტები „ჩვენი ცხოვრების ნაწილად იქცნენ".

ობამა დადებითად შეხვდა რვა სენატორისაგან შემდგარი ჯგუფის მიერ მომზადებულ გეგმას, რომლის შედგენაშიც ოთხი დემოკრატი და ოთხი რესპუბლიკელი სენატორი მონაწილეობდა.

„კარგი ამბავია, როდესაც პირველად მრავალი წლის მანძილზე რესპუბლიკელები და დემოკრატები, როგორც ჩანს, მზად არიან, ეს პრობლემა ერთობლივად გადაწყვიტონ", – აღნიშნა პრეზიდენტმა.

ობამასა და სენატორების გეგმის მიხედვით, 11 მილიონი არარეგისტრირებული იმიგრანტი, რომელიც ამერიკის შეერთებულ შტატებში ცხოვრობს – ქვეყანაში ცხოვრების უფლებას, ხოლო შემდეგ მოქალაქეობას მიიღებს. ეს წინადადება ესპანურენოვანი ამომრჩევლის გავლენის გაზრდის შემდეგ იქნა წარმოდგენილი.

ობამას მიერ გამოთქმული იდეა, საიმიგრაციო რეფორმის სასარგებლოდ, 2011 წლიდან მისი რეფორმების პროექტში შედის, თუმცა, ამომრჩეველი უკმაყოფილო იყო იმით, რომ ობამას გეგმები არასაკმარისად რადიკალური იყო.

ამჟამად, სენატორების გეგმის მიხედვით, არალეგალი ემიგრანტები ამერიკის მოქალაქეობისაკენ მიმავალ გზას მხოლოდ ამერიკის შეერთებული შტატების საზღვრის გამაგრების შემდეგ დაიწყებენ. რეფორმებზე მომუშავე ჯგუფი იმედოვნებს, რომ სენატი რეფორმების გეგმას ზაფხულში დაამტკიცებს, მით უფრო, რომ მათი გეგმა პრეზიდენტის მოსაზრებებს ემთხვევა.

რესპუბლიკელები უკვე აღიარებენ, რომ მათი პარტიის მკაცრმა პოლიტიკამ მიგრაციის საკითხთან მიმართებით ნოემბრის არჩევნებზე მათ ბევრი დააკარგვინა, რაც ობამას შედეგებზე დადებითად აისახა. რესპუბლიკურმა პარტიამ ესპანურენოვანი მოსახლეობის მხარდაჭერა დაკარგა, რაც მათი დამარცხების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიზეზი გახდა.

დემოკრატმა სენატორმა ნიუ იორკის შტატიდან, ჩარლზ შუმერმა კი პრესკონფერენციაზე იმედი გამოთქვა, რომ კანონპროექტი, რომელიც პარტიათაშორისი ჯგუფის მიერ არის მომზადებული, სენატის მიერ მხარდაჭერილი გაზაფხულის დასასრულს ან ზაფხულის დასაწყისში იქნება.

ამ თემაზე განცხადება ჯონ მაკკეინმაც გააკეთა.

„ვფიქრობ, ყველა შეთანხმდება, რომ ჩვენი ქვეყნის ინტერესებში არ არის, ეს ადამიანები იმალებოდნენ. მოდით, შევქმნათ სისტემა, რომელიც მათ ნებას დართავს, გამოვიდნენ ჩრდილიდან და შეასრულონ აუცილებელი მოთხოვნები, რასაც ამ ქვეყნის კანონმორჩილი მოქალაქეები ასრულებენ", – განაცხადა მაკკეინმა.

სხვა მცდელობები ამერიკის შეერთებული შტატების საიმიგრაციო სისტემის გადახედვისა უკვე იყო 2006 და 2007 წლებში.

## დიდი ბრიტანეთი მალისა და მეზობელ ქვეყნებში 330 სამხედროს აგზავნის




დიდი ბრიტანეთი მალისა და დასავლეთ აფრიკის სხვა ქვეყნებში ფრანგი სამხედროების დასახმარებლად 330 ჯარისკაცს აგზავნის.

„ბი-ბი-სის" ცნობით, დაახლოებით 40 ბრიტანელი სამხედრო მრჩეველი მალიში სამთავრობო ჯარების მოსამზადებლად ჩავა, დანარჩენები კი მეზობელ ქვეყნებში გაემგზავრებიან.

საერთაშორისო კონტინგენტი, რომელსაც ფრანგი სამხედროები ხელმძღვანელობენ, ისლამისტების წინააღმდეგ ბრძოლას განაგრძობს.

ბრიუსელში ევროკავშირის წევრი ქვეყნების სხდომა მიმდინარეობს, სადაც განიხილავენ, თუ კონკრეტულად რომელი ქვეყნის სამხედროებმა გაწვრთნან მალის არმია, ასევე მსჯელობენ ამ ოპერაციის კონკრეტულ დეტალებზე.

„მალიში ფრანგი ჯარები უძველეს ქალაქ ტიმბუქტუს აკონტროლებენ", – აღნიშნულის შესახებ საფრანგეთის თავდაცვის მინისტრმა განაცხადა.

„ჩვენ მალიში ვიმარჯვებთ", – აღნიშნა გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე საფრანგეთის პრეზიდენტმა ფრანსუა ოლანდმა, თუმცა დაამატა, რომ შეიარაღებული მებრძოლები ქვეყნის ჩრდილოეთით გარკვეულ ნაწილს კვლავ აკონტროლებენ.

„სი-ენ-ენის" ცნობით, ოლანდს არ დაუკონკრეტებია, თუ რამდენ ხანს გაჩერდებიან ფრანგი ჯარები ქვეყნის ყოფილ კოლონიაში. შეგახსენებთ, რომ საფრანგეთმა მალიში ქვეყნის ჩრდილოეთ ნაწილის შეიარაღებული მებრძოლებისაგან გასათავისუფლებლად 2500 სამხედრო გააგზავნა.

## თანამდებობიდან წასვლის წინ კლინტონი რუსეთს აკრიტიკებს



ამერიკის სახელმწიფო მდივანმა ჰილარი კლინტონმა თანამდებობიდან წასვლის წინ „ნეიშენალ ფაბლიქ რადიოსთვის" მიცემულ ინტერვიუში რუსეთის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას ამერიკელებზე ობლების გაშვილების აკრძალვასთან დაკავშირებით ტრაგედია უწოდა.

მისი თქმით, ეს გადაწყვეტილება რუსეთს თავად მოუტანს ზიანს, ისევე, როგორც ქვეყნიდან საერთაშორისო განვითარების სააგენტოს „იუესეიდის" გაძევება.

„იუესეიდის" ქვეყნიდან გაძევება ჩვენ რუსეთის მარცხად მიგვაჩნია. ეს ნამდვილად მოუტანს ზიანს რუს ხალხს", – აღნიშნა კლინტონმა, რომელმაც რუსეთი სირიაში ბაშარ ალ-ასადის რეჟიმის მხარდაჭერაშიც დაადანაშაულა.

კლინტონმა მის შემცვლელს ჯონ კერის ურჩია, გარკვეულ ხანს მოიცადოს რუსეთის ხელისუფლების „რეალური მიზნების გასაგებად".

„არსებობს პრობლემები, რასთან დაკავშირებითაც ჩვენ ერთობლივ მუშაობას ვაგრძელებთ, თუმცა ჩვენ ასევე მკვეთრად გამოვყოფთ იმ საკითხებს, რასთან დაკავშირებითაც ჩვენი პოზიციები განსხვავდება და აღნიშნულთან დაკავშირებით ჩვენს მოსაზრებას ყოველთვის დავაფიქსირებთ, როცა ამის საჭიროება იქნება" – დაამატა კლინტონმა.

ჰილარი კლინტონი 2009 წლიდან არის აშშ-ის სახელმწიფო მდივანი ბარაკ ობამას ადმინისტრაციაში. აშშ-ის სენატორი ნიუ იორკიდან 2001-09 წლებში, იყო პრეზიდენტობის კანდიდატი დემოკრატიული პარტიიდან 2008 წლის არჩევნებში. აშშ-ის პირველი ლედი 1993-2001 წლებში, ბილ კლინტონის პრეზიდენტობის დროს.

*მოამზადა გერა მამულაშვილმა*

## TV პროგრამა

**ხუთშაბათი 31 იანვარი**

06.30 „მოამბე„ (აფხაზურ „ოსურ„ სომხურ„ აზერბაიჯანულ ენებზე) 07.30 „ჩვენი დილა„ 09.00, 10.00, 12.00, 14.00, 16.00, 19.00, 20.00, 02.00 „მოამბე„ 10.30 „დილის საუბარი„ 11.00 „სამოთხის ვაშლები„ 12.45 „პირადი ექიმი„ — მარი მალაზონია 13.30 „დღეს ორის ნახევარზე„ 15.00 დ/ფ „სიცოცხლე„ 17.00 „ჩვენი ფერმა„ 18.00 „პეპე და მეგობრები„ 19.05 ტ/სერ „სისხლი და ვარდი„ 21.00 ტ/სერ 22.00 „დიალოგი დავით პაიჭაძესთან„ 23.00 სპორტული თოქ-შოუ: „არენა„ 00.00 მხ/ფ „ზეწვი„ (ნ.კიდმანი) 02.20 დ/სერ „ელიოტ ნესი ალკაპონეს წინააღმდეგ„

08.00 „მოამბე„ (აფხაზურ„ ოსურ„ სომხურ„ აზერბაიჯანულ ენებზე) 09.00, 12.00, 15.00, 17.00, 20.00, 23.00 „ბრიფინგის დრო„ 11.00 დ/ფ „მეცნიერება ფილმებში„ 14.00 დ/ფ „სახელგანთქმული თვითმფრინავები„ 16.00 დ/ფ „თანამედროვე იარაღი„ 19.00 ტ/სერ „საიდუმლო აგენტები„ 4 სერ. 22.00 „თავისუფალი ტრიბუნა„ 00.00 „მოამბე„ (აფხაზურ„ ოსურ„ სომხურ„ აზერბაიჯანულ ენებზე)

07.30 იმედის დილა 09.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 00.00 ქრონიკა 09.10 იმედის დილა (გაგრძელება) 10.00 სერ. „იღბლიანი მოახლე„ 11.30 სერ. „უკვდავი ამბავი„ 12.30 ფორტ ბოიარი 13.00 სერ. „გაქცევა – 4„ 14.45 სერ. „24 – 4„ 15.45 სერ. „დამალული სიმართლე„ 17.40 სერ. „თილისმა„ 18.50 სერ. „სახიფათო ვნება„ 21.00 სერ. „მარტოსული„ 22.00 მხ/ფ. „იღბლიანი სლევინი„ (ბ.უილისი) 00.15 სერ. „ღვინის გზა„ 01.00 მხ/ფ. „მწყემსი კეთილი„ (ა.ჯოლი) 03.15 მუსიკა

07.30 დილამშვიდობისა საქართველო 10.00 სერ. „სიყვარული მშვენიერია„ 11.00 სერ. „იდუმალი ქალი„ 12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00 კურიერი 12.30 „შუა დღე„ 15.30 კომედი შოუ (გ/ჩ) 17.00 სერ.„ვნების უფსკრული„ 18.45 სერ. „მგზნებარე გული„ 19.50, 20.05 სერ. „ღირსება და ამბიცია„ 22.00 პროფილი 23.30 ტოპ გოგო 01.00, 03.30 მხ/ფ 03.00 კურიერი დაიჯესტი

06.00, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა 06.05, 12.00, 15.00, 18.00, 00.00 საეკლესიო კალენდარი 06.10 ჩვენ ვუკრავთ კლასიკას 06.20 დოკ/ფ „ველური ბუნება„ 06.45 მხ/ფ „ხარება და გოგია„ I ნაწ. 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 „განთიადი„ 10.00, 18.05, 21.10 ერთსულოვნების ვერნისაჟი 10.05, 12.10, 18.55, 21.55, 00.25 ისტორიის დღიური 10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30 სიახლენი 10.35, 21.05 ლექსით ქებათა ქება 10.40 დოკ/ფ „განცხადებული სასწაულები„ 11.20 ჩვენი ტრაპეზი 11.30 გზა, რომლითაც ვიარე 12.05 ამინდი 12.15 მხ/ფ „კროსვორდის ამოხსნის მოყვარულთათვის„ 13.30 კონცერტიანს.„ლატალი„ 15.05 განთიადის სტუმარი 15.30 დოკ/ფ „ველური ბუნება„ 16.00 მხ/ფ „თვალი პატიოსანი„ 17.30 დოკ/ფ „ლახტის გაკვეთილი„ 18.10 ტელეზღაპარი 18.20, 23.15 ფოტოგალერეა 18.25 დებიუტი 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.20 მხ/ფ „მაგდანას ლურჯა„ 20.40 ძილი ნებისა 21.00 პატრიარქის ქადაგება 21.10 ერთსულოვნების სალონი 22.20, 23.20 უკეთ გავიცნოთ ჩვენი შვილები 23.00 საღამოს ლოცვა 00.35 განთიადის სტუმარი 01.00 მხ/ფ „ხარება და გოგია„ II

**მაესტრო**

7.00 ახალი ამბების კოლაჟი (გამ) 7.30, 8.20, 9.15, 10.30, 12.30, 13.30, 15.30, 16.30, 17.10, 18.40, 1.35, 2.35, 3.35, 4.35, 5.35, 6.35 უცხოეთის ამბები 8.00, 9.00, 10.00, 11.00, 13.00, 14.00, 16.00, 17.00, 20.00 ახალი ამბები 11.30 ყოველდღიური აბები (გამ) 12.00 ახალი ამბები 12 საათზე 14.05 მაესტროს პრესკლუბი 15.00 ახალი ამბები 3 საათზე 18.00 ახალი ამბები 6 საათზე 19.00 ახალი ამბები ინგლისურ ენაზე 19.05, 22.20 თოქ-შოუ „სუბიექტური აზრი„ 20.05, 0.30 თოქ-შოუ „არგუმენტები„ 21.00 ახალი ამბები 9 საათზე 22.00, 1.15 ყოველდღიური აბები 0.00 ახალი ამბები (ღამის გამოშვება)

**პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის" ნებართვით**

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


31 იანვარი

**ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი**

აშშ დოლარი — 1,6602

ევრო — 2,2308

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 2,6870

რუსული რუბლი — 0,0553

**ამინდის პროგნოზი 31 იანვრისთვის**





# „ახალ თაობასთან“ ერთად

# მსოფლიოს ხალხთა ზღაპრები

## ტომი 1 ამერიკული ზღაპრები






## მალე, მალე, მალე „ახალ თაობასთან“ ერთად

# ილია II ოქროს ხანა

სამტომეულის მე-2 ტომი


## ვინ შეცვლის თამარ ტატიშვილს?

ეკა ირემაშვილი

საქართველოს ეროვნული კინოცენტრის ხელმძღვანელს თამარ ტატიშვილს 2013 წლის 25 თებერვალს თანამდებობაზე ყოფნის ვადა ეწურება, შესაბამისად, კულტურის მინისტრი გურამ ოდიშარია ვალდებული იქნება, ამ დროისათვის კინოცენტრს ახალი დირექტორი დაუნიშნოს.

როგორც საგანგებო პრესკონფერენციაზე თამარ ტატიშვილმა განაცხადა, ის ვალდებულია, ფართო საზოგადოებას მიაწოდოს ინფორმაცია იმ განხორციელებული თუ განსახორციელებელი პროექტების შესახებ, რომელიც მისი სამწლიანი ხელმძღვანელობის განმავლობაში ეროვნულმა კინოცენტრმა განახორციელა.

ბერლინალეს საერთაშორისო კინოფესტივალზე გამგზავრებამდე თამარ ტატიშვილმა ისიც გაახმოვანა, რომ წლევანდელ ბერლინალეს საკონკურსო სექციას ქართული ფილმი გახსნის, რაც უკვე დიდი გამარჯვებაა. ორი ქართული ფილმი — ნანა ექვთიმიშვილის „გრძელი ნათელი დღეები“ და ზაზა რუსაძის „ჩემი საზნის ნაკეცი“ ბერლინალეს საკონკურსო პროგრამაშია.

პრესკონფერენციაზე საუბარი შეეხო პირველ ქართულ-ბრიტანულ ოფიციალურ თანამშრომლობას და ბენ ჰოპკინსის ფილმს „ეპიკა“. ეროვნული კინოცენტრის ხელმძღვანელის თქმით, ბენ ჰოპკინსის ფილმი მასშტაბური კომერციული კომედია იქნება.

თამარ ტატიშვილი ეროვნული კინოცენტრის ხელმძღვანელად 2010 წლის 25 თებერვალს დაინიშნა. თავის მხრივ, ეროვნული კინოცენტრი განსაზღვრავს სახელმწიფო პოლიტიკას კინოს სფეროში. კინოცენტრი წარმოადგენს კულტურის და ძეგლთა დაცვისა სამინისტროსთან არსებულ საჯარო სამართლის იურიდიულ პირს, რომელიც შეიქმნა ეროვნული კინემატოგრაფიის სახელმწიფო მხარდაჭერის მიზნით 2000 წლის 5 დეკემბრის საქართველოს კანონის საფუძველზე და ამოქმედდა 2001 წლის აპრილში. დაარსებიდან დღემდე კინოცენტრმა დააფინანსა 80-მდე ფილმი რამდენიმე მილიონი ლარის ინვესტიციით, საქართველო წარმოადგინა საერთაშორისო კინოფესტივალებსა და ბაზრობებზე, გამოსცა არაერთი მნიშვნელოვანი პუბლიკაცია კინოს შესახებ, მონაწილეობა მიიღო საქართველოში კინოხელოვნების პოპულარიზაციისკენ მიმართული პროექტების დაფინანსებაში. ეროვნული კინოცენტრი დღესაც აგრძელებს მუშაობას საქართველოში კინოს განვითარებისთვის. ის არის ქვეყანაში კინოსექტორის ხელშემწყობი ძირითადი წყარო.

— ეროვნული კინოცენტრი არსებობს იმისთვის, რომ ქართულ კინემატოგრაფს ხელი შეუწყოს შემდეგ ეტაპებზე — კინოს განვითარება, წარმოება, დისტრიბუცია, პოპულარიზაცია. ჩვენი ხელშეწყობით გვინდა განვითარდეს დიდი ტრადიციების



მქონე ქართული კინოს მრავალფეროვანი კულტურა. თანამედროვე რეალობაში შეიქმნას კონკურენტუნარიანი ბაზარი, ციფრულ ეპოქაში შენარჩუნდეს ეროვნული კინოტრადიციები და, ამავე დროს, საფუძველი ჩაეყაროს თანამედროვე ქართულ კინემატოგრაფს. საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის მიზანია ქართული კინემატოგრაფის განვითარებისათვის სახელმწიფო მხარდაჭერის უზრუნველყოფა და კოორდინაცია. ეროვნული კინოცენტრი განსაზღვრავს სახელმწიფო პოლიტიკას კინოს სფეროში. კინოცენტრის ერთ-ერთი პრიორიტეტია, კინო გახდეს ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისთვის ხელშემწყობი პროდუქტი, კულტურულ-საგანმანათლებლო ღირებულებასთან ერთად. კინოცენტრი აქტიურად იზრუნებს კინოს ბიზნესის განვითარებაზე საქართველოში. ჩვენი კინოცენტრის ძირითადი ამოცანებია ეროვნული ფილმწარმოების ფინანსური მხარდაჭერა, კინოსექტორის განვითარების სტრატეგიული კურსის განსაზღვრა, კინოგანათლების განვითარების ხელშეწყობა, კინოქსელის განვითარების ხელშეწყობა, საერთაშორისო ბიზნესკავშირების განვითარება, კინომემკვიდრეობის დაცვისკენ მიმართული პროექტების მხარდაჭერა, კინოფესტივალებისა და სხვა ღონისძიებების ჩატარების მხარდაჭერა, კინოექსპორტის განვითარება ადგილობრივ და საერთაშორისო დონეზე, კინოინფრასტრუქტურის განვითარების ხელშეწყობა. ეროვნული კინოცენტრი თავის საქმიანობას ოთხი შიდა-სტრუქტურული მიმართულების მეშვეობით ახორციელებს — სახელმწიფო სუბსიდირების მიმართულება, დისტრიბუციისა და კინოექსპორტის მიმართულება, სტრატეგიული დაგეგმარებისა და კვლევის მი-

გაგრძელება მე-8 გვერდზე

## ასტროპროგნოზი 31 იანვრისთვის

ყველამ გაითვალისწინეთ! წარმატებული დღეა

**ვერძი** — ფული გაქვთ, პრობლემები არ გაწუხებთ. **კურო** — არავის ენდოთ, მხოლოდ საკუთარ თავს დაუჯერეთ. **ტყუპები** — სახლში სიახლეა, ძვირფას საჩუქარს მოგართმევენ. **კირჩხიბი** — გზიდან ფულს და საჩუქარს მიიღებთ. **ლომი** — ახალი სამსახური მოგეწონებათ და ფულიც გექნებათ. **ქალწული** — იმიჯის შეცვლა ნამდვილად ღირს, იფიქრეთ ამაზე. **სასწორი** — მოაწყვეთ განტვირთვის დღე, ამდენი მუშაობა არ გარგებთ. **ღრიანკალი** — პრობლემას ერთ დღეში მოაგვარებთ. **მშვილდოსანი** — ახალი პროექტი საინტერესო აღმოჩნდება. **თხის რქა** — ყველა საქმეს ბოლომდე მიიყვანთ, უფროსობა დაგაჯილდოვებთ. **მერწყული** — ნურავის დაელოდებით, საქმე თქვენ მოაგვარეთ. **თევზები** — უარი არ თქვათ პასუხისმგებლობაზე, საქმეს ნუ გაექცევით.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

## ცენოვი საქართველოში დაბრუნდა



29 იანვარს საქართველოს პრემიერ-მინისტრი ბიძინა ივანიშვილი ევროპის ჭიდაობის ფედერაციის პრეზიდენტ ცენო ცენოვს შეხვდა. შეხვედრას სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრი ლევან ყიფიანი, ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი ლერი ხაბელოვი და ჭიდაობოს ფედერაციის პრეზიდენტი ლუკა კურტანიძე ესწრებოდნენ. ვიზიტის მიზეზი 19-24 მარტს თბილისში გასამართი ევროპის ჩემპიონატის მოსამზადებელი სამუშაოების გაცნობა იყო. ცენოვმა მოინახულა სპორტის სასახლე და თბილისის ის სასტუმროები, რომლებიც ევროპირველობის სტუმრებს უმასპინძლებენ. ევროპის ჭიდაობის ფედერაციის პრეზიდენტმა ბიძინა ივანიშვილს მიღებისთვის მადლობა გადაუხადა და იმედი გამოთქვა, რომ ევროპის ჩემპიონატს თბილისი უმაღლეს დონეზე უმასპინძლებს.

— ევროპის ჩემპიონატისთვის მზადება გეგმაზომიერად მიმდინარეობს. საქართველოს ჭიდაობის ფედერაციის ახალ ხელმძღვანელობასთან საკმაოდ მჭიდრო და საქმიანი ურთიერთობა გვაქვს და ვხედავ რა აქტიურ მუშაობას, დარწმუნებული ვარ, მომავალ უმნიშვნელოვანეს ტურნირს უმაღლეს დონეზე უმასპინძლებთ, — განაცხადა ცენოვმა პრემიერ-მინისტრთან შეხვედრის შემდეგ.

მ. ჟ.




ჩვენს უსაყვარლეს და განუმეორებელ რედაქტორს სოსო გოგინაშვილს ვულოცავთ დაბადების დღეს! ვუსურვებთ სიკეთეს, ჯანმრთელობას, წარმატებებსა და უდიდეს წყალობას ოჯახთან და ახლობლებთან ერთად!

სიყვარულით, „ახალი თაობა“

## კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. ფრანგი დრამატურგი, „სევილიელი დალაქის“ ავტორი; 2. ვეგეტატიური, უსქესო გამრავლების გზით წარმოშობილი შთამომავლობა; 3. ფანჯრების მწარმოებელი ჩეხური ფირმა; 4. პერუში მცხოვრები უძველესი ცივილიზაციის მქონე ინდიელთა ტომი; 5. მინდვრის ყვავილი; 6. ძველბერძენი ფილოსოფოსი, ორატორი; 11. ქათმისებრთა ოჯახის გარეული ფრინველი; 13. მაღალხარისხოვანი შალის საკოსტუმე ქსოვილი; 14. დანიელი მეზღაპრე; 15. მოკლე დისტანციაზე მორბენალი მძლეოსანი; 17. „ფორმულა-1“-ში მონაწილე ბრიტანელი ავტომრბოლელი; 18. ამერიკის სტეპებში გავრცელებული მგელი; 19. ფულის ერთეული ალბანეთში.

**თარაზულად:** 7. ფრანგული სადესერტო ღვინო; 8. ფოტოხელოვნების ფუძემდებელი საქართველოში; 9. ბელგიური ავიაკომპანია; 10. იოლი, შემოსავლიანი თანამდებობა; 12. შვეიცარიაში გამოყვანილი, სამაშველო სამუშაოებისათვის განკუთვნილი დიდი ტანის ძაღლი; 14. მდინარე მტკვრის მარჯვენა შენაკადი; 16. კარსტული მღვიმე აფხაზეთში; 18. ქვეყნის ყველა მდინარის რესურსების სისტემატიური კრებული; 20. ვაშლის ღვინო; 21. აფრიკული ანტილოპა; 22. მოკლებეწვიანი მონადირე ძაღლის ჯიში; 23. აზრი, ჩანაფიქრი; 24. პოპულარული კაფე-რესტორანი ძველ თბილისში, ხელოვანთა თავშეყრის ადგილი.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა

